# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 11 მაისი 2002 №84 (1606) | ფასი 50 თეთრი


**ქორეა-იაპონია 2002 მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 20 დღე**



## ინგლისის ნაკრები მსოფლიო ომში ნაბახუსევი გაემგზავრება



გზას დალოცვა უნდაო და, ჯზიაში წასვლამდე ნაკრები ლოთიანად მოილხენს დევიდ და ვიქტორია ბექემების მამულში. დედოფალმა კი სვენ გორან ერიკსონის რჩეულები უკვე დალოცა

## ვერ არის კარგი საქმე

მეტოქეს შვიდ გოლს რომ გაუტან, თავად კი არ გაუშვებ და მაინც არ შეგაქებენ. მაგრამ არაუშავს, გერმანიას ქუვეითთან ნახევარი გუნდი აალდა



თბილისი. ლოკომოტივი. 12 მაისი. 17.30 საათი

### ლოკომოტივი VS დინამო

# სამნი ერთ თოკზე

## ვაკეში მარადიული ცეცხლი გვინდა

ხვალ ვაკეში თამაში დაიწყება და ცეცხლიც აინთება . თუ ჩემპიონობა სურთ, „ლოკომოტივი" და „დინამო" მართლა უნდა აენთონ, სხვაგვარად არ გამოვა.

მაგრამ ხორვატი ივო გამოცდილი კაცი ჩანს და თავის ბიჭებს აფრთხილებს – ითამაშეთ მხოლოდ სამართლიანად!

რჯაინიგზის გუნდის დამრიგებელი კი ამ თბილისურ დერბის საჩემპიონო თამაშად მიიჩნევს და, მიდი და შეედავე.

თუმც საქართველოს ჩემპიონობისთვის მეცამეტე ჯერზე ხომ უკვე სამი გუნდი იბრძვის. „ტორპედოს" ხვალ ალბათ აღარ დაუცდება ფეხი – „მერანს" თეთრიც აღარ უჭყავის და თანაც ქუთაისში არც არასდროს გაუმწარებია ტორპედოელები.

დუელი ზღვაზე – ესეც ხვალ არის. „ბათუმს" და „კოლხეთს" ინტერტოტო მონატრებიათ და ეგებ ბათუმშიც შედგეს თვალსასეირო ბურთაობა.

გადარჩენის ძლიერი და ზოგჯერაც არანორმალური ინსტინქტები კი ქვექვსეულში უნდა მოვიკითხოთ.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები



ზაზა ჯანაშია რომ გასატანად გაიწევს, დინამოელებმაც კარგად იციან

# რა მოხდა მერე?!

## ბლატერს ერჩივნა, ქართველი ყოფილიყო: ხომ შერჩებოდა 500 მილიონი



მიშელ ზენ-რუფინენმა იოზეფ ბლატერი ლენარტ იუჰანსონს ხახაში ჩაუგდო

ჟოაო ავალანჟს, ორ ათეულ წელზე მეტხანს რომ თავკაცობდა მსოფლიო ფეხბურთს, მემკვიდრე ნაუხდა. 29 მაისს ფიფას პრეზიდენტის არჩევნებია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ზეპ ბლატერს მეორე ვადით არჩევა არ უწერია. პრეზიდენტობას ვინ ჩივის, შვეიცარიელს ეგებ სხვა სკამზე, ბევრად მოუხერხებელზე მოუხდეს გადაჯდომა — დღე დღეზე მის წინააღმდეგ საქმე აღიძვრება. საქმე ამად ღირს, ნახევარი მილიარდი დოლარის გაფლანგვაზეა ლაპარაკი.

ეს ამბავი კი ბლატერს მისმა ძველმა და დაუძინებელმა მტერმა, უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა დამართა ფიფას გენერალური მდივნის მიშელ ზენ-რუფინენის დახმარებით. სწორედ ზენ-რუფინენმა შეაკოწიწა მისხალ-მისხალ ის სამასგვერდიანი მამხილებელი საბუთები, მოსამართლის მაგიდაზე რომ დაიდება.

ამასთანავე, ზენ-რუფინენი, ტომით შვეიცარიელი, ის კაციც გახლავთ, ზეპ ბლატერი შვილს რომ უწოდებდა, ახლა კი...

იხილეთ მეოთხე გვერდი

# ცივა-ცხელა დინამოურად

## აქეთ პრესატაშე, იქეთ ჟურნალი, მაისის ბოლოს კი ზირაქიშვილი



ზაზა ზირაქიშვილი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲨᲘ“ საკადრო სიახლეა — გუნდს ახალი პრესატაშე ჰყავს, რომელიც გუშინდელიდან შეუდგა საქმეს. ერთი სიტყვით, კლუბის ურთიერთობებს პრესასთან და საზოგადოებასთან ახლა უკვე ლევან სალუქვაძე გაუძღვება.

ახალი ამბავი კიდევ ის არის, რომ კლუბმა თავისი ჟურნალი გამოსცა, რომელსაც „ჩვენი დინამო“ ჰქვია. ამ ყოველთვიურ გამოცემას „დინამოს“ ყოფილი პრესატაშე დავით ერაძე ხელმძღვანელობს.

მთარული ხმებით „დინამოში“ კიდევ არის მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები. კერძოდ, კულუარებში კლუბის აღმასრულებელი დირექტორის გია ფირცხალავას სხვა თანამდებობაზე გადასვლის შესახებ ალაპარაკდნენ — ფირცხალავა ან კლუბის მენეჯერი გახდება, ან ბადრი პატარკაციშვილის დაარსებულ ოლიმპიურ ფონდში დაიწყებს მუშაობას.

ხმები ერთია, მაგრამ თვით ბატონმა გიამ ყოველივე უარყო, მსგავსი არაფერი გამიგიაო.

და კიდევ. კლუბსა და კლუბის მიერ დასჯილ საქართველოს მეთორმეტე ეროვნულის საუკეთესო ფეხბურთელსა და ბომბარდირ ზაზა ზირაქაშვილს შორის ურთიერთობები დამთბარა. შესაძლოა, მომავალი სეზონიდან ზირაქიშვილმა კვლავ „დინამოში“ ითამაშოს. ზაზას კონტრაქტი ივნისში ეწურება. ფირცხალავას თქმით, ყველაფერი მაისის ბოლოს გადაწყდება.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲙᲘᲚᲐᲫᲔ**

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

## 8 ტური

ხვალ თბილისში საჩემპიონო თამაშია – მეცამეტე ეროვნულის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ასე მოინათლა დედაქალაქური დერბი. „ლოკომოტივი“ თუ „დინამო“, რომელი იძალებს, ამას ვაკის კოხტა სტადიონზე იხილავენ ქომაგები.

დაძაბულობამ მართლაც კულმინაციას უწია, პრინციპული ტურის წინ ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტიც გვარიანად ჩაფიქრდა. იქაურებს მოსაფიქრებლად ორი დღე არ ეყოთ და გუშინ ბოდიშის მოხდით გვაუწყეს, მერვე ტურის მსაჯ-დელეგატებს მხოლოდ ხვალ შუადღისას გეტყვითო.

თბილისში რომ ლიდერები ერთმანეთს დატორავენ, მაშინ ჩემპიონი „ტორპედო“ გაჭირვებულ „მერანს“ ეცემა, ხოლო გულისყური დედაქალაქისკენ ექნება. რიონისპირელები ამავდროულად რკინიგზელებთან წაგებული მატჩის გადათამაშებას ი ითხოვენ და ცა-დედამიწის შეწუხებით იმუქრებიან.

ქვეექვსეულშიც ხომ ნულარ იკითხავთ. ხვალ ბოლნისსა და ზესტაფონში სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებებია. წაგებული ცალი ფეხით პირველ ლიგაშია.

# მსაჯი? მსაჯზე ბოდიში, თამაში? რამდენიც გინდა

ქუთაისი. ტორპედო. 12 მაისი. 17.30 საათი

### ტორპედო — მერანი

ბათუმი. დინამო. 12 მაისი. 17.30 საათი

### ბათუმი — კოლხეთი

დისკვალიფიცირებული: ფანჩულიძე, წიჟნიაძე (კოლხეთი)

*ასლან ბალაძე, „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი:*

— რა უნდა გითხრათ. ასეთი ჩავარდნა „ბათუმის“ ისტორიაში არ მახსოვს. უკვე რამდენი ხანია, თამაში არ მოგვიგია. ამიტომ საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვართ. მიუხედავად ასეთი წარუმატებელი პერიოდისა, ინტერტოტოს თასზე გასვლის შანსი მაინც შეგვრჩა. ამისთვის ჩვენივე კონკურენტი ფოთის „კოლხეთი“ უნდა დავამარცხოთ. მართალია, ეს რთული იქნება, მაგრამ უნდა შევძლოთ. უკან დასახევი გზა არ გვაქვს. საბედნიეროდ, ტრავმა არავის აწუხებს. ვეცდებით, გავიმარჯვოთ.

*ხოხო ფილია, „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი:*

— „ტორპედოსთან“ მძიმე მატჩი გადავიტანეთ. საჭირო ქულა მოვიპოვეთ, თუმც სამი წამყვანი ფეხბურთელი „დავკარგეთ“ — ელდარ გვასალიამ ტრავმა მიიღო, ჰამლეტ წივწივაძე და გელა ფანჩულიძე კი გააფრთხილეს, რაც მათთვის მეორე აღმოჩნდა. ბადრი ახვლედიანსაც მცირე ტრავმა აწუხებს, თუმც შეიძლება მან ითამაშოს. „ბათუმთან“ მატჩს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ინტერტოტოს თასის საგზური ხომ ჩვენს შორის უნდა გაირკვეს. ამიტომ ძალიან დაძაბული მატჩი იქნება. ვეცდებით, სასურველ შედეგს მივაღწიოთ. რამდენიმე ფეხბურთელი კი დაგვაკლდება, მაგრამ არა უშავს.



ანატოლი მილჩენკომ მსაჯ-დელეგატები „დამალა“

ზესტაფონი. ცენტრალური. 12 მაისი. 17.30 საათი

### მეტალურგი — გორდა

დისკვალიფიცირებული: მერკვილიშვილი (მეტალურგი)

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 12 მაისი. 17.30 საათი

### სიონი — სამგურალი

მცხეთა. არმაზი. 12 მაისი. 17.30 საათი

### ვიტ ჯორჯია — გურია

### I-VI ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 7 | 7 | 0 | 0 | 10:0 | 40 |
| ლოკომოტივი | 7 | 5 | 0 | 2 | 10:4 | 40 |
| ტორპედო | 7 | 4 | 1 | 2 | 7:5 | 39 |
| კოლხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:8 | 25 |
| ბათუმი | 7 | 1 | 0 | 6 | 3:12 | 22 |
| მერანი | 7 | 1 | 0 | 6 | 3:10 | 20 |

### VII-XI ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | 30 |
| სამგურალი | 7 | 5 | 0 | 2 | 10:5 | 22 |
| მეტალურგი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:10 | 22 |
| სიონი | 7 | 3 | 0 | 4 | 13:11 | 22 |
| გორდა | 7 | 4 | 1 | 2 | 15:11 | 20 |
| გურია | 7 | 0 | 0 | 7 | 3:20 | 8 |



„პარმამ“ „იუვენტუსს“ სკუდეტო აჯობა, იტალიის თასი თავად დაიტოვა

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XXXVIII ტური

დეპორტივო 3:0 რეალი

## იტალია

თასის ფინალი
საპასუხო მატჩი

პარმა 1:0 იუვენტუსი (1:2)

## პოლონეთი

თასის ფინალი
საპასუხო მატჩი

ვისლა 4:0 ამიკა (4:2)

## ჩეხეთი

XXX ტური

პრადის კრალოვე 1:1 ბლშანი
სიგომი 0:1 სპარტა
ბოჰემიანსი 2:1 ლიბერეცი
ბრნო 1:2 ოპავა
ტეპლიცე 1:0 პრჟიბრამი
ბანიკი 0:1 სიგმა
სლავია 1:0 ჟიჟკოვი
იაბლონეცი 2:0 დრნოვიცე

uefa·european under 17 championship

17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

დანია. 27 აპრილი-10 მაისი

მატჩი მესამე ადგილისთვის

ინგლისი 4:1 ესპანეთი

ფინალი

საფრანგეთი 0:0 (2:4 პენ) შვეიცარია

## ჰოკეი

მსოფლიოს ჩემპიონატი

მატჩი მესამე ადგილისთვის

შვედეთი 5:3 ფინეთი


## იყიდება

გაზ–2107 თეთრი ფერის, 1990 წელს გამოშვებული, კარგ მდგომარეობაში.

ტელ. 69-89-56 (საღამოს) კახა




## ავსტრია

ბუნდესლიგა. XXXVI ტური

**რაპიდი 3:0 შტურმი**

1:0, 2:0 ვალნერი (12, 82), 3:0 სობოტზინკი (90)
შტურმი: სიდორჩუკი, პრეგელი, ფერნანდესი, ბოსნარი, დაგა, მილნბი (კრილი 56), შულტი, შტრაფნერი, საბიჩ, მარტენსი (ამოა 46), დ. მუზინიჩ
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
გაფრთხილება: მუჟირი
მსაჯი: დრაბეკი
8 000 მაყურებელი
ბრეგენცი — ზალცბურგი 1:1; გრაცერი — ადმირა 5:1; რიდი — ავსტრია 1:0; ტიროლი — კერნტენი 3:1

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 36 | 23 | 6 | 7 | 63:20 | 75 |
| შტურმი | 36 | 18 | 11 | 7 | 68:42 | 65 |
| გრაცერი | 36 | 17 | 12 | 7 | 69:39 | 63 |
| ავსტრია | 36 | 14 | 11 | 11 | 53:38 | 53 |
| კერნტენი | 36 | 14 | 8 | 14 | 40:52 | 50 |
| ზალცბურგი | 36 | 13 | 10 | 13 | 42:40 | 49 |
| ბრეგენცი | 36 | 12 | 9 | 15 | 51:70 | 45 |
| რაპიდი | 36 | 11 | 10 | 15 | 37:49 | 43 |
| რიდი | 36 | 9 | 9 | 18 | 37:54 | 36 |
| ადმირა | 36 | 3 | 6 | 27 | 25:81 | 15 |

ჩვენ ჩემპიონატში
აქამდე არ მომხდარა,
რომ ტურნირის
მიწურულს
სამ გუნდს ებრძოლოს
ჩემპიონობისთვის.
ხვალ
„ლოკომოტივი“ –
„დინამო“,
ბევრისგადამწყვეტი
თამაში

თბილისი. ლოკომოტივი. 12 მაისი. 17.30 საათი

ლოკომოტივი VS დინამო

# FAIR PLAY, ბიჭებო!

## შუშაკი ჯანაშიას უფრთხის და ხერხემალს უფრთხილდება





კახა გოგიჩაიშვილი

**„ლოკომოტივი“** ჩემპიონობასთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა. რკინიგზელებმა კარგად იციან „დინამოს“ ძალა, ამიტომ ხვალინდელი თამაშისთვის მუხლჩაუხრელად ემზადებიან.

ვიდრე ფეხბურთელები ოფლს ღვრიან, მანამ კლუბის თავკაცებიც თავისებურ მზადყოფნას აცხადებენ. რკინიგზის „ბოსები“ ვარჯიშზეც აგულიანებენ ბიჭებს. უფრო სერიოზულ მხარდაჭერას (ცხადია, ფინანსურს) გამარჯვების შემთხვევაში ჰპირდებიან.

ხვალ გადამწყვეტი მატჩია, „ლოკომოტივი“ მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. მართალია, მეტოქე ძლიერია, ჩვენ კი გარკვეული პრობლემები მოგვეძალა, მაგრამ შანსები მაინც თანაბარია — ასე ფიქრობენ კლუბის თავკაცები.

–ვარჯიში ჩვეულებრივია, ძირითადად ბურთით და ფეხბურთელებიც ათასჯერ ნაკეთებს, უკვე დაზეპირებულს კიდევ ერთხელ იმეორებენ. წვრთნა მსუბუქია და ინტენსიური. ლოკომოტიველებს დაძაბულობას ვერ შეამჩნევთ, თუმც სახუმაროდაც არ სცალიათ.

გუნდის კაპიტანი **კახა გოგიჩაიშვილი** გუშინ სავარჯიშოდ არ გასულა. „ლოკომოტივის“ ლიდერი დაჭიმული კუნთის მოშუშებას ცდილობს და გართულებებს ერიდება. ყოფილმა დინამოელმა ჩემპიონობის ფასიც იცის და დაკარგული პირველობის სიმწარეც უგემია.

— ჯერაც არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა. ხვალ ცოტას ვირბენ და თუ ფეხმა არ შემაწუხა... კვირას ფრე არც ერთს ხელს არ აძლევს, ამიტომ სტუმარ-მასპინძელი მხოლოდ გამარჯვებისთვის გავალთ მოედანზე. „დინამოს“ დასკვნით ეტაპზე ქულა არ დაუკარგავს, მაგრამ „ლოკომოტივიც“ წარმატებულად თამაშობს. შეიძლება ვთქვათ, რომ ვიპოვეთ ჩვენი თამაში.

საქართველოში გოგიჩაიშვილის თითქმის მუდმივი თანაგუნდელი **ზაზა ჯანაშია** ენაწყლიანობით მაინცდამაინც არ გამოირჩევა. ისევ საჩემპიონო მარათონი და მოწინააღმდეგე ისევ „დინამო“. ჯანაშია მხოლოდ სამი სიტყვით შემოიფარგლა — აუცილებლად უნდა გავიტანო!

**დავით დათვაძის** აზრით, ხვალინდელ თამაშში გაიმარჯვებს ის, ვისაც მეტი ძალა და უტეხი ნებისყოფა ექნება.

**გიორგი ბალაშვილი**, რკინიგზელთა ერთ-ერთი გამოცდილი მცველი ვარჯიშიდან შეუმჩნევლად მიდის. საღამოს ტელეფონით შევეხმიანეთ, მაგრამ ეროვნული ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა რატომღაც გვიუცხოვა — კარგით, მორჩით ხუმრობასო და ყურმილი დაგვიკიდა. თანაგუნდელებში თუ ავერიეთ.

კიდევ ერთი ყოფილი დინამოელი და შემდგომში „დინამოს“ მუდმივი მეტოქე **გია ჯიშკარიანი** ნავარჯიშევს ჩაფიქრებული ჩანდა.

— ხვალ ყველაფერი არა, მაგრამ ბევრი რამ გაირკვევა. გამარჯვებული ერთ დიდ ნაბიჯს გადადგამს პირველობისკენ. ეს ისეთი თამაშია, როცა შეცდომის უფლება არ გაქვს.

პრობლემები საკმაოდ დაგვიგროვდა, გოგიჩაიშვილს ფეხი აწუხებს, სირაძეს ბოლომდე არ მოუშუშებია ტრავმა, ხოლო კაიდარაშვილი, ალბათ, ამ სეზონში ვერც შეგვეშველება. მიუხედავად ამისა, გუნდში საბრძოლო განწყობაა. ბიჭები ჩემპიონატის დასასრულს ცოტა კი გადაიღალნენ, მაგრამ დღეს ეს არავის ახსოვს.

ჩვენ რამდენჯერმე დავატრიალეთ „დინამოს“ თამაშების ვიდეოფირი, დღესაც გუნდთან ერთად საბოლოოდ გავაანალიზებთ ყველაფერს და მერე ვინ ძლიერია, თამაში გამოაჩენს. შანსებს კი ორივე გუნდისთვის თანაბრად ვაფასებთ. დღეს ერთი რამ შემიძლია დაგპირდეთ — დაძაბული, უშელავათო და საინტერესო თამაში იქნება.

**გამუჩა ძგანტალიანი**

საქართველოში დაბრუნებულმა ზაზა ჯანაშიამ (მარცხნივ) „დინამოს“ და მის მწვრთნელს ივო შუშაკს საფიქრალი გაუჩინა



**გუშინ** დიღმის ბაზაზე „დინამოს“ საღამოს ვარჯიშს დავესწარით. მოთელვის შემდეგ ივო შუშაკმა თავისი მრევლი სამ გუნდად დაყო და ერთმანეთში ორკარა ათამაშა. ბოლოს კი ფეხბურთელებმა ათლეტიზმის დარბაზს მიაკითხეს და იქაც ოფლი მოიდინეს.

— პრესინგ! პრესინგ! — გაჰყვიროდა შუშაკი შეგირდებს ორკარას დროს და გუშინდელი ვარჯიშის ლაიტმოტივიც ეს იყო.

ნავარჯიშევს პირველად დინამოელ პლეიმეიკერ **გიორგი აშჩაბაძეს** გავესაუბრეთ.

— თქმა არ უნდა, „ლოკომოტივთან“ ძალიან დაძაბული მატჩი იქნება. ვინც წააგებს, ის გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლას, ფაქტობრივად, გამოეთიშება, რაც ამ შეხვედრას დაძაბულობას მატებს.

**— ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპზე „ლოკომოტივში“ თამაშობდი და, ბუნებრივია, მის სუსტ და ძლიერ მხარეებს კარგად იცნობ — როგორ უნდა ითამაშოს გუნდმა, რომ „ლოკომოტივთან“ წარმატებას მიაღწიოს?**

— მე რომ „ლოკომოტივში“ ვთამაშობდი, მაშინ გუნდს კახა ცხადაძე წვრთნიდა და „ლოკომოტივიც“ სხვა ტაქტიკით თამაშობდა, ახლა კი „ლოკომოტივი“ უფრო დაცვითი ფეხბურთისკენ გადაიხარა, მე ასე ვფიქრობ.

**— გასაგებია, მაგრამ თუ „ლოკომოტივი“ მართლა ფიქრობს ჩემპიონობაზე „დინამოსთან“ მოგება მართებს, თანაც შინ და უნდა შეუტიოს...**

— ვფიქრობ, თასის ნახევარფინალისგან განსხვავებით, „ლოკომოტივი“ სხვა ტაქტიკას აირჩევს, მაგრამ არა მგონია, რაღაც ისეთი სიახლე შემოგვთავაზოს, რისთვისაც მზად არ ვიქნებით.

*ალეკო ამისულაშვილი:*

— მიმაჩნია, რომ ეს თამაში ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება. ეს მატჩი ჩემპიონის ბედს გადაწყვეტს.

**— მცველი ხარ და ზაზა ჯანაშიას შესახებ რას იტყოდი? ნახევარფინალის პირველ მატჩში მის წინააღმდეგ თამაში გაგიჭირდათ?**

— ჯანაშია საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. ნახევარფინალში კი მის წინააღმდეგ თამაშისას, განსაკუთრებული სირთულეები არ ყოფილა, თუმც ჯანაშია მაინც ჯანაშიაა.

**— როგორ ფიქრობ, ახლა რა მოხდება?**

— გავალთ და მოვიგებთ, ამისთვის ყველაფერს გავიღებთ.

*ალეკო გოგობერიშვილი:*

— ძალიან ძნელი თამაში გველის. მართალია, თასის ნახევარფინალიდან „ლოკომოტივმა“ გამოგვაგდო, მაგრამ თასს თავისი სპეციფიკა აქვს, ეს კი ჩემპიონატია. ჩვენც ხომ ჩემპიონატშიღა შეგვიძლია გამარჯვება და ერთიორად გვწადია „ლოკომოტივთან“ წარმატების მიღწევა. რაც შეეხება შუშაკის ნათქვამს, გოგობერიშვილისგან „ლოკომოტივთან“ იგივეს ველი, რაც „ბათუმთან“ იყო, ისლა დამრჩენია, მისი ნდობა გავამართლო და უფრო და უფრო მოვუმატო — მე ხომ ტრავმის გამო, ფაქტობრივად, სამი თვე გამიცდა და მსუბუქი ვარჯიში ერთი თვის წინა დავიწყე.

*კარლოს ალბერტო და როჩა:*

— „ლოკომოტივი“ ძალიან კარგი გუნდია, თასის ნახევარფინალებში მას გოლი ვერ გავუტანეთ, რადგან ერთი სული გვქონდა, გაგვეტანა და ბევრს ვუტევდით, მეტოქე კი მთლიანად დაცვაზე იყო გადართული, წინ არ მიდიოდა, ახლაც ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ უნდა მოვიგოთ.

**ივო შუშაკი** ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელების დარად, თავისი ბუცების ქაცვების რეცხვას შეუდგა, მერე კი კაბინეტში მიგვიპატიჟა და არც მცირე ინტერვიუზე დაგვზარდა.

**— რატომ მოხდა ისე, რომ პლეოფში თქვენმა გუნდმა 2:0 მოუგო შინ „ლოკომოტივს“, სათასო მატჩებში კი გოლიც ვერ შეუგდო?**

— „დინამოს“ გაზაფხულზე დიდი წინსვლა დაეტყო, რაც შედეგზეც აისახა. რაც შეეხება „ლოკომოტივს“, თასის ნახევარფინალის მეორე შეხვედრაში მას რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, ჩვენ კი მასზე ორი თავით მაღლა ვიდექით, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ და „ლოკომოტივიც“ დამსახურებულად გავიდა თასის ფინალში.

ხვალინდელ მატჩში კი ჩვენ ჩვენი უნდა დავამტკიცოთ. „დინამოსი“ მჯერა და არანაირი მიზეზი არ მაქვს, რომელიმე მეტოქის მეშინოდეს.

**— საქმეს ისეთი პირი უჩანს, გიორგი მიქაძეს არც „ლოკომოტივთან“ დააყენებთ სასტარტოში, ისევე როგორც ბოლო მატჩში „ბათუმთან“...**

— ეს ჯერ არ გადამიწყვეტია.

**— „ბათუმთან“ რატომ არ ათამაშეთ სასტარტოში?**

— იმიტომ, რომ ბობოხიძეს უნდა შეეგდო გოლი და მოახერხა კიდეც ეს.

**— თქვენ ორი ფორვარდით თამაშს ამჯობინებთ და რატომ არ ანიჭებთ თავდასხმაში უპირატესობას ბობოხიძე-მიქაძის წყვილს? ვიტალი დარასელია ხომ უფრო შემტევი ნახევარმცველია, ვიდრე ფორვარდი...**

— დარასელია, ბობოხიძე, მიქაძე — ამ სამივე თავდამსხმელის კმაყოფილი ვარ და სამივეს აქვს შანსი, „ლოკომოტივთან“ ითამაშოს.

**— „ლოკომოტივის“ ფორვარდ ზაზა ჯანაშიას პერსონალურ მეურვეს მიუჩენთ თუ ისევ ზონური დაცვით ითამაშებთ?**

— დაცვის ხაზი ისევე ითამაშებს, როგორც ადრე — ჩვენ ხომ თხუთმეტ მატჩში მხოლოდ ერთი ბურთი გავუშვით. ჯანაშიას ძალიან ვუფრთხით და იმ ზონაზე, სადაც ის თამაშობს, ცხადია, ყურადღებას გავამახვილებთ, მაგრამ პერსონალურ მეურვეს არ მივუჩენთ — ეს რომ გავაკეთოთ, თამაშს ცოტა აგვირევს კიდეც ყურადღება ყველა ლოკომოტიველს უნდა მივაქციოთ.

**— თუ მატჩი ფრედ დამთავრდა, კმაყოფილი დარჩებით?**

— ერთ მიზანს დავსახავ — ისეთ მაღალ დონეზე ვითამაშოთ, როგორც ჯერ არ გვიჩვენებია. თუ ეს გამოგვივიდა, ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში კმაყოფილი ვიქნები. „დინამომ“ უკვე ყველას დაანახა, რომ ხასიათი და მორალი გააჩნია. გარდა ამისა, ჩვენ გუნდს ხერხემალიც აქვს და არ მინდა, რომ ეს ხერხემალი გავტეხო ანუ ფეხბურთელებს დისკომფორტი შევუქმნა და რაღაც-რაღაცეებში დავავალდებულო. გუნდს იმას მოვთხოვ, რომ ხისტად, მთელი გულით, მაგრამ მხოლოდ ფეარ პლეის წესების დაცვით ითამაშოს.

**დავით თაბართქილაძე**



„ლოკომოტივ“ — „დინამოს“ წლეულს უჩხუბრად არ ჩაუვლია

# ტარიელ გულში მღეროდა

## კოკუაშვილმა თავში ხელი თუ შემოირტყა, ქუთაისელები რიკოთს გადაკეტავენ

„ტორპედომ" 180 წუთში დაკარგა ლიდერობა, მთელი სეზონის მანძილზე რომ არ გაუხდია სათუოდ. შინ „ლოკომოტივთან" მარცხის და ფოთში ნათამაშები უგოლო მატჩის შემდეგ ქუთაისურების საჩემპიონო შანსი საეჭვოდ მოსჩანს.

„ტორპედო" — „ლოკომოტივმა" ახალი სკანდალი წარმოშვა. შეხვედრის 71-ე წუთზე ლევან ფანიაშვილმა რკინიგზელებს მკაცრი ლომაია გაუგდო უკრაინელ პოროშინზე თავდასხმისთვის. სკანდალიც აქედან დაიწყო. ლომაიას მალე ზაზა ჯანაშიაც მიაყოლა ფანიაშვილმა. ქუთაისელთა აზრით, მსაჯმა ჯანაშიას შეცვლამდე მიიღო ეს გადაწყვეტილება და „ლოკომოტივს" 9 კაცით უნდა გაეგრძელებინა თამაში.

„ტორპედოს" 24 საათი ჰქონდა გასაპროტესტებლად და ერთობ საეჭვო ვითარებაში წარადგინეს ქუთაისურებმა სფფ-ში თავიანთი სარჩელი. ფედერაციის ინფორმაციით, იმერელთა პროტესტი დაგვიანებული იყო. რიონისპირელებმა თავიანთი მოთხოვნები სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზეც წარადგინეს, მაგრამ დისციპლინარებმა საქმის გარჩევა დელიკატურად გადაულოცეს სფფ-ის საგანგებო კომიტეტს. ყოველივე რომ ამით არ დამთავრდებოდა, ცხადზე ცხადი იყო და გუშინ ტორპედოელებმა ჟურნალისტთა სახლში პრესკონფერენცია გამართეს. მასმედიის წარმომადგენლებს ქუთაისური კლუბის დირექტორატის წევრი მიხეილ ქორქია, მენეჯერი ვლადიმერ გუცაევი და მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი წარუდგნენ.

***მიხეილ ქორქია:*** — ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი პრეტენზიები საიმისოდ, რომ მატჩი გადათამაშდეს. ორ მომენტზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, ჯერ ერთი, ვერ ვიხსენებ მსაჯს, რომ ასეთ ვითარებაში როდისმე პენალტი დაენიშნოს. საბჭოთა კავშირის დროინდელ პირველობებზეც კი არ მომხდარა ასეთი რამ. ფანიაშვილს რომ ლომაია არ გაეძევებინა და თერთმეტმეტრიანი არ დაენიშნა, სკანდალი არ მოხდებოდა. მეორეც, მატჩი 17 წუთით შეწყდა. დრო დანიშნული მქონდა და ვაკონტროლებდი. ფანიაშვილმა კი შეხვედრის გაგრძელების შემდეგ მხოლოდ ათი წუთი ათამაშა გუნდები, თუნდაც ეს მოტივია საკმარისი საიმისოდ, რომ მატჩი გადათამაშდეს.

***ვლადიმერ გუცაევი:*** — ფანიაშვილმა კიდევ ერთი სერიოზული შეცდომა დაუშვა, გაძევებული ფეხბურთელი შეაცვლევინა სტუმრებს. ასეთი რამ არსად მომხდარა. სად გაგიგიათ, მსაჯთან სიტყვიერი შეთანხმებით ფეხბურთელი შეცვლილიყოს, ყველაფერი ხომ ოფიციალურად უნდა დაფიქსირებულიყო. ჯანაშიამ ორჯერ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა ფანიაშვილს. არბიტრმა მას წითელი ბარათი უჩვენა და ფეხბურთელი მოედნიდან რომ გადიოდა, მაშინ დაიწყო შესასვლელად მზადება მანუჩარ ივარდავამ. მსაჯის მხრიდან ეს სერიოზული დანაშაულია და ფიფაუეფასა და სფფ-ის კოდექსის თანახმად, მკაცრ შეფასებასაც იმსახურებს. როგორც გუნდის მენეჯერი, მოვითხოვ რომ ეს საკითხი საგანგებო კომიტეტმა განიხილოს. მაქვს კიდეც ამის საფუძველი, რადგან პროტესტი დროულად შევიტანე ფედერაციაში ათას ლართან ერთად.

**— სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე თქვენ განაცხადეთ, რომ ათასი ლარი ფედერაციის სალაროში არ შეგიტანიათ, რადგან არ იცოდით, თუ ეს საჭირო იყო.**

— რა მნიშვნელობა აქვს, ვინ შეიტანა ფული. ეს თანხა სფფ-ში დროულად მიიტანა „ტორპედოს" წარმომადგენელმა დიმიტრი რამიშვილმა.

**— სფფ-ში საპირისპიროს ამტკიცებენ. სამსაჯო და საშეჯიბრო კომიტეტების განცხადებით, ფედერაციაში დადგენილ ვადაში „ტორპედოს" საჩივარი არ შესულა, იგივეს ამბობს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძეც.**

— ფედერაციის გენერალური მდივანი მილინებით იმყოფებოდა უცხოეთში და მგონი მის გარეშე სფფ-ში ვერაფერს ახერხებენ. ვიმეორებ, პროტესტი დროულად შევიტანე ფედერაციაში და შესაძლოა, ამის შესახებ მერაბ ჟორდანიამ საქმის კურსში არ ჩააყენა თავისი თანამშრომლები, ამიტომაც ითქვა, „ტორპედოს" საჩივარი არ წარმოუდგენიაო.

**— თუ შეგიძლიათ, გვიჩვენოთ ათასი ლარის სფფ-ის სალაროში შეტანის დამადასტურებელი ქვითარი?**

— ასეთი ქვითარი, ალბათ, არის... არ დავინტერესებულვარ, დარწმუნებული ვარ, რამიშვილს ამ მხრივ ყველაფერი წესისამებრ აქვს მოგვარებული.

***რევაზ ძოძუაშვილი:*** — თუ პროფესიონალის თვალით შევხედავთ მომხდარს, ყველაფერი მსაჯის ბრალია. ძლივს გამოჩნდა ისეთი მსაჯი, რომელზედაც ამბობენ, ფულს არ იღებს, პატიოსანიაო და ამიტომაც ვანდეთ ამგვარი საპასუხისმგებლო თამაში. მე არ ვამბობ, რომ ფანიაშვილი გამიზნულად შეცდა, მაგრამ ფაქტია, მისი მოქმედება ძვირად დაგვიჯდა. კი, ბატონო, მისი პრინციპულობა დასაფასებელია, მაგრამ ისე უნდა განსაზღვრო, შენი ნაბიჯი დამღუპველი არ გამოდგეს. მე გუნდში უმთავრესად დისციპლინაზე ვამახვილებ ყურადღებას. გინახავთ როდისმე ჩემი ფეხბურთელის არასპორტული საქციელი. რკინიგზელებმა და მსაჯმა თავისი საქციელით გადარიეს ქუთაისელი გულშემატკივრები. ერთი რომ შემომერტყა თავში ხელი და მეყვირა, რას მიკეთებენ ამას-მეთქი, გადმოცვივდებოდა ხალხი მოედანზე და ამაზრზენი რამ მოხდებოდა, მაგრამ პირიქით, იქით ვაწყნარებდი სტუმრებს და კორექტულობისკენ მოვუწოდებდი. ეს ჩვენი საქციელი ანელებს ქომაგის რისხვას, თორემ... გუშინწინ შევხვდი გულშემატკივრებს, აღელვებულები არიან, რიკოთის გვირაბს გადავკეტავთ თუ მომხდარს ფედერაციაში არ განიხილავენო. არ შეიძლება, ქუთაისში ფეხბურთი მოკვდეს და ამაზე ყველა უნდა დაფიქრდეს. მატჩი უნდა გადათამაშდეს. მივცემთ 500-500 ლარს მსაჯებს ჩვენ და „ლოკომოტივი" და გვიმსაჯონ კაცურად.

***ვლადიმერ გუცაევი:*** — საწყენია, დაიწერა პრასზე არიან ტორპედოელებიო, ჩვენს პრეზიდენტს ბიზნესში მცირე პრობლემები შეუქმნეს, მაგრამ მომხდარი მნიშვნელოვნად არც დატყობია გუნდს. სამჯერად კვებას რომ თავი დავანებოთ, დელიკატესები და აღდგენითი საშუალებებიც არ აკლიათ ბიჭებს. ყოველთვიურად მარტო კვებაზე 7 500 დოლარი გამოიყოფა კლუბის ბიუჯეტიდან. მცირე ჩავარდნები „ტორპედოს" კი არა, „ბაიერნს" და „რეალსაც" ჰქონიათ, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ნორმალურად მუშაობით ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

***მიხეილ ქორქია:*** — ტელევიზია არ აშუქებს ქართულ ფეხბურთს ისე, როგორც საჭიროა. თუ ამ მხრივ რაღაც არ გამოსწორდა, სპონსორები გაგვექცევიან. ერთი ლარი არ შემოდის ტელევიზიიდან კლუბში. „ტორპედოს" თითოეულ მატჩს 10-12 ათასი მაყურებელი ესწრება სისტემატურად, გაგიკვირდებათ, მაგრამ შემოსავალი ერთლარიანი ბილეთების გაყიდვიდან 500 ლარსაც არ სცილდება. უჭირს ხალხს, არაფერი არა აქვთ ფეხბურთის გარდა და ასე თუ გაგრძელდა, ამის დაკარგვის საშიშროებაც იქნება. ამიტომ სფფ-მ ობიექტურად უნდა განიხილოს ჩვენი პროტესტი. ვიცი, წინ საპრეზიდენტო არჩევნებია და აკაკი ჩხაიძის და ბადრი პატარკაციშვილის პიროვნებებს ფედერაციაში ანგარიშს გაუწევენ, მაგრამ პოლიტიკას სამართლიანობა არ უნდა ვანაცვალოთ. მჯერა, სიმართლის მიღწევაში ჩემი ლოკომოტიველი კოლეგები ხელს არ შემიშლიან".

აი, ეს ითქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე, რომელზეც მხვერავის რანგში „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტი ტარიელ ლვაბერიძეც იმყოფებოდა. ლვაბერიძის „სარბიელისთვის" მიცემული კომენტარი ნათლად მოწმობს, რომ რკინიგზელები არაფრის დამთმობნი არ არიან.

**„დღეს ტორპედოელთა ნაზრევი მოვისმინე და ვთვლი, რომ მათი პრეტენზიები უსაფუძვლოა. საპრეტენზიო ჩვენ უფრო გვაქვს, მსაჯს პოროშინის მკარეზე თავდასხმა უნდა დაეფიქსირებინა და პირიქით, ტორპედოელი დაესაჯა. მიმაჩნია, რომ დამსახურებულად გავიმარჯვეთ და ამას ვერავინ წაგვართმევს. სიტუაციას ჩვენც ვაკონტროლებთ, გვაქვს დადასტურებული ინფორმაცია, რომ ქუთაისელებისგან ფედერაციაში დადგენილ ვადაში პროტესტი არავის შეუტანია. თუ საგანგებო კომიტეტმა ეს საქმე განიხილა, ერთ დარღვევას მეორე დაემატება და ამას ასე არ დავტოვებთ"** — თქვა ლვაბერიძემ.

ბუნებრივია, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს თბილისში დაბრუნებული სფფ-ის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას მოსაზრებაც. **„ამბობენ, რაღაც პროტესტი ფედერაციაში შემოვიდაო, მაგრამ გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. დავულაპარაკებ თანამშრომლებს, გავარკვევ რა, როგორ, რა ფორმით მოხდა და ამის შემდეგ მივიღებთ კონკრეტულ გადაწყვეტილებას"** — გვითხრა ჩოლარიამ გუშინდელი სატელეფონო საუბრისას.

**ბაატა ძვანტალიანი**



ტორპედოელები რკინის ქალამნებით: ვლადიმერ გუცაევი, მიხეილ ქორქია და რევაზ ძოძუაშვილი



იოზეფ ბლატერსა და მიშელ ზენ-რუფინენს შორის მოსამართლე ჩადგა

# ბლატერგეიტი

## სად გაქრა 800 მილიონი?!

## დამუნჯებულ ფიფას პრეზიდენტს სასამართლო აალაპარაკებს

*ლენარტ იუჰანსონი უეფას თასზე „ფეიენოორდ" — „დორტმუნდის" ფინალურ მატჩს საკმაოდ მშვიდად ადევნებდა თვალს „დე კუიპის" ტრიბუნიდან. შვედი კმაყოფილია, მან კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს*



იუჰანსონმა ფინალის წინ ჟურნალისტებს უთხრა, ფიფას 24-კაციანი აღმასრულებელი კომიტეტი შვედეთის სასამართლოში ფიფას პრეზიდენტის წინააღმდეგ საქმის აღძვრას აპირებსო. იურისტები უახლოეს დღეებში აღძრავენ საქმეს, რაც ფიფას გენერალური მდივნის, შვეიცარიელი მიშელ ზენ-რუფინენის მასალების საფუძველზე მოხდება.

ადრეც ვწერდით, რომ ზენ-რუფინენი ფიფას აღმასრულებელი კომიტეტისთვის ამ ორგანოს ხელმძღვანელის მიერ ფინანსური მაქინაციების აღმნუსხველი დოკუმენტაციის წარდგენას აპირებდა. ბლატერის თანამემამულემ ეს უკვე გააკეთა, აღმასრულებელი კომიტეტი ზენ-რუფინენის 2-გვერდიან მოხსენებას გაეცნო, რომელიც კიდევ 300-გვერდიანი დამამტკიცებელი საბუთებითაა ზურგგამაგრებული. ზენ-რუფინენის ბრალდების ძირითადი არსი კი ბლატერის პრეზიდენტობის პერიოდში 800 მილიონი შვეიცარიული ფრანკის (500 მილიონი დოლარის) გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარება გახლავთ. ფიფას პარტნიორის ISL-ISMM ფინანსური კრახის და 300 მილიონიანი ვალიც დიდ სიძნელეს შეუქმნის ბლატერს. სხვათა შორის, ფიფას, ფინანსური პარტნიორის კრახი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ფიფაში დაწყებულ მონიტორინგს დაემთხვა. ბლატერმა კი გამოძიება შეაჩერა, რითაც მის მიმართ გაჩენილი ეჭვი უფრო გაძლიერდა.

„შვედური კანონების მიხედვით, დანაშაულის დაფარვაც დანაშაულია. ჩვენ გვქონდა დოკუმენტები, რომლების არ წარგენაც, არ შეიძლებოდა" — განაცხადა ლენარტ იუჰანსონმა. მისივე თქმით, ბლატერის პოზიცია უკვე იმდენად შერყეულია, საპრეზიდენტო არჩევნებზე ფიქრი აღარც უნდა ულირდეს. „ეს ტრაგიკული სიტუაციაა — როცა პრეზიდენტი თავის უფლებებს ამეტებს და გამოძიებას აჩერებს, ეს ნიშნავს, რომ მას რაღაც აქვს დასამალი" — დასძინა იუჰანსონმა.

ბლატერზე ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა, კორეელმა ჩანგ მონგ ჯუნმაც ილაპარაკა. ეს ის კაცია, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჩასცა ლახვარი შეფს, როდესაც ავსტრალიის ტელევიზიით, ბლატერისთვის მოულოდნელად, მხარი ფიფას პრეზიდენტობის პოსტზე ისა ჰაიატუს დაუჭირა. ჯუნს ბლატერისთვის ხელი არც ახლა დაუკლია: „ბლატერმა ფიფას რეპუტაცია შეულახა. ის თავის უფლებებს ხშირად აჭარბებს. ავტორიტარულად მართავს ამ ორგანიზაციას. რაც მალე გავთავისუფლდებით „ბლატერგეიტისგან", მით უკეთესი." — თქვა კორეელმა.

ფიფას პრეზიდენტის რეპუტაცია კიდევ უფრო შეარყია ახალმა ინფორმაციამ იმის თაობაზე, თუ როგორ ცდილობდა ფიფას დღევანდელი პრეზიდენტი ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტ, არგენტინელ ხულიო გრონდონას მეშვეობით აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის მოწვევას, სადაც გენერალური მდივანი მიშელ ზენ-რუფინენი უნდა გადაეყენებინა. იუჰანსონის თქმით, ბლატერმა გრონდონას წერილი გაუგზავნა ზემოხსენებული გეგმით.

„ზენ-რუფინენი პატიოსანი და პროფესიონალი ადამიანია, ვინც სამუშაოს დაკარგვის საფრთხის მიუხედავად, აგრძელებს ფეხბურთის სიწმინდისთვის ბრძოლას, მეც და ჩემი მეგობრებიც მას მხარს ვუჭერთ" — განაცხადა იუჰანსონმა.

ფიფას პრეზიდენტის მხრიდან ჯერჯერობით არანაირი კომენტარი არ ისმის. ბლატერს ბოლო ორ თვეში იმდენი რამ დაატყდა თავს, როგორც ჩანს, პასუხის თავიც არ აქვს.

29 მაისის ფიფას კონგრესამდე კი, რომელზეც ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიონ, სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება.

**სერგი ძორიძე**

# კორეა–იაპონია 2002

## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 20 დღე

### ურუგვაი

## ფონსეკა ამოთხარეს პუა დაბრმავდა

**ურუგვაის** ნაკრების თავკაცმა ვიქტორ პუამ გულშემატკივრებს თვალები დააჭყეტინა. 23-კაციან სამუნდიალო განაცხადში ქომაგებმა დანიელ ფონსეკას გვარს მიაგნეს.

ფონსეკამ ათწლიანი ევროპული კარიერის შემდეგ ქაცვები ურუგვაის „ნასიონალში" ჩაარჭო და თანამემამულეებს თავი გაახსენა.

არადა, ფონსეკას 1997 წლის შემდეგ ნაკრების მაისურა თვალით აღარ უნახავს. მწვრთნელმა ქვეყანას აუხსნა, რომ დანიელ-მეგოლემ დაიმსახურა ადგილი ნაკრებში და ამ სიტყვებისთვის პრესა განარისხა. უამრავი ახალგაზრდა კაცია შენს გარშემო, თვალები გაახილეო — ასეთი იყო ჟურნალისტების რჩევა.

***მეკარეები:*** *ფაბიან კარინი (იუვენტუსი, იტალია), ფედერიკო ელდუაიენი (პენიაროლი), გუსტავო მუნუა (ნასიონალი);*

***მცველები:*** *ხუან ხოსე ბიზერა (პენიაროლი), ალეხანდრო ლემბო (ნასიონალი), გუსტავო მენდესი (ნასიონალი), გონსალო სორონდო (ინტერი, იტალია), პაოლო მონტერო (იუვენტუსი, იტალია), დარიო როდრიგესი (პენიაროლი);*

***ნახევარმცველები:*** *გონსალო დე ლოს სანტოსი (ვალენსია, ესპანეთი), სებასტიან ეგურენი (მონტევიდეო უონდერერზი), გაბრიელ პაბლო გარსია (ვენეცია, იტალია), ფედერიკო მაგალიანესი (ვენეცია, იტალია), ჯანი გიგუ (რომა, იტალია), ფაბიან ონილი (პერუჯა, იტალია), ნიკოლას ოლივერა (სევილია, ესპანეთი), დიეგო პერესი (დეფენსორ სპორტინგი, პერუ), მარსელო რომერო (მალაგა, ესპანეთი);*

***თავდამსხმელები:*** *სებასტიან აბრეუ (კრუზ ასული, მექსიკა), დანიელ ფონსეკა (ნასიონალი), რიჩარდ მორალესი (ნასიონალი), დიეგო ფორლანი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), რუბენ ოლივერა (დანუბიო), ალვარო რეკობა (ინტერი, იტალია), მარიო რეგუერო (რასინგი, ესპანეთი), გუსტავო ვარელა (ნასიონალი), დარიო სილვა (მალაგა, ესპანეთი)*

### ინგლისი

## ბალი, ბალი, ბალდათია? ბალდათი კი არა ტოკიოა, ტოკიო!

**ომში** წასვლის წინ ხომ აცილებდნენ მებრძოლებს? ჰოდა, მსოფლიოს ჩემპიონატი ინგლისელთათვის ომისგან რამ გაყო? საკადრისი გაცილება ფეხბურთელებსაც სჭირდებათ.

ხვალ ინგლისში დიდი საქველმოქმედო წვეულება გაიმართება, თან ისეთი, 400-მდე ნარჩევ სტუმარს რომ უმასპინძლებს. დევიდ ბექემმა ფეხმოტეხილობა არად ჩააგდო, მეუღლეს ჰკადრა, ჩვენს მამულში, ჰერთფორდშირში, სუფრა გავშალოთო. ვიქტორია მეორე ნახევარს დაყაბულდა და ხალხიც უკვე დაპატიჟებულია.

ბექემთა მამულში წინასწარ სამზადისს უკვე შეუდგნენ. იმისთვის, რომ აღმოსავლურმა იერმა დაიბუდოს, ბალჩეული იაპონურად შეკაზმეს. ხუმრობა საქმე ხომ არაა, 60 ათასი ორქიდეა შეუკვეთეს, სუფრაზე კი იაპონურ კერძებს ჩაამწკრივებენ.

რა თქმა უნდა, იქ იქნება ნაკრების უკლებლივ ყველა მოთამაშე და დევიდ ბექემის „მანჩესტერელი" თანაგუნდელები.

პირადი მოსაწვევებით დაპატიჟეს ელტონ ჯონი და რომან კიტინგი.

ვინც ფიქრობს, რომ ხვალ 400 კაცი ტაშ-ფანდურის მოსაწყობად შეიყრება, ცდება. ამ წვეულებას დამოუკიდებელი ტელეკომპანია „აი ტი ვი" გადასცემს და დაახლოებით 500 ათასი გირვანქის შეგროვებაცაა დაგეგმილი. მთლიან თანხას გადაურიცხავენ ეროვნულ საბჭოს, რომელიც ბავშვებზე ძალადობის აღსაკვეთად ზრუნავს. ვიქტორია ადამსს ასეთი საქმეები ადრეც უკეთებია და როგორც ხედავთ, ახლაც არაფერი ეშლება.

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS ლონდონიდან

დევიდ ბექემი (მარცხნივ) სვენ გორან ერიკსონს პრემიერ ტონი ბლერთან სალამს აცლის და თავის მამულში წაიყვანს

### კოსტა რიკა

## კოსტა ბიჭ-ბუჭებს ერეკება

**კოსტა რიკის** ნაკრების მთავარმეგოლეები — პაულო ვანჩოპე და ერნან მედფორდი ჯანზე არიან და კორეა-იაპონიაშიც გუნდთან ერთად გაემგზავრებიან.

მედფორდი ერთადერთი კაცია, რომელსაც 1990 წლის ჩემპიონატზე უთამაშია. მან მარტის თვეში საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო, თუმცა ინტენსიური მკურნალობის შემდეგ გამოჯანმრთელდა. კოლუმბიასთან ამხანაგურ მატჩში ერნან მედფორდმა ერთი ტაიმი ითამაშა კიდეც.

ვარაუდობენ, რომ მწვრთნელი ალეშანდრე გიმარაეში ნახევარმცველ ოსკარ როხასს და მცველ ალექსანდრ მადრიგალსაც იახლებდა მუნდიალზე, მაგრამ ისინი შემადგენლობის მიღმა დარჩნენ. როხასი და მადრიგალი მექსიკური „ლა პიედედის" ფეხბურთელები არიან. ამ სეზონში „ლა პიედედმა" ჩემპიონატის ნახევარფინალამდე მიაღწია, რაც ორივე კოსტარიკელის უდიდესი დამსახურება ყოფილა. მიუხედავად ამისა, გიმარაეშმა მათ ყმაწვილკაცები — უინსტონ პარქსი და დანიელ ვალეხოსი ამჯობინა.

***მეკარეები:*** *ერიკ ლონისი (საპრისა), ალვარო მესენი (ალახუელენსე), ლესტერ მორგანი (ჰერედიანო);*

***მცველები:*** *კარლოს კასტრო (ალახუელენსე), აროლდ უოლესი (ალახუელენსე), მაურისიო რაიტი (ჰერედიანო), ხუან ხოსე როდრიგესი (სან კარლოსი), დანიელ ვალეხოსი (ჰერედიანო), რეინალდო პარქსი (საპრისა), ჯერვის დრუმონდი (საპრისა), ჟილბერტო მარტინესი (საპრისა), ლუის მარინი (ალახუელენსე);*

***ნახევარმცველები:*** *ვილმერ ლოპესი (ალახუელენსე), მაურისიო სოლისი (ალახუელენსე), ვალტერ ჩენტენო (საპრისა), როდრიგო კორდერო (ჰერედიანო), როლანდო ფონსეკა (ალახუელენსე);*

***თავდამსხმელები:*** *უილიამ სანსინგი (ჰერედიანო), რონალდ გომესი (ოფი, საბერძნეთი), უინსტონ პარქსი (უდინეზე, იტალია), პაულო ვანჩოპე (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), სტივენ ბრისი (ალახუელენსე), ერნან მედფორდი (საპრისა)*

**ამხანაგური მატჩი**

**კოსტა რიკა 1:2 კოლუმბია**

0:1, 0:2 კასტილიო (39, 42), 1:2 სენტენო (53)

# ამხანაგური მატჩი

## ბირჰოფმა ფიოლერს თავური შეახსენა





REUTERS ფრაიბურგიდან

ოლივერ ბირჰოფმა ჰეთ თრიქი შეასრულა

### გერმანია

**გერმანია 7:0 ქუვეითი**

1:0 ფრინგსი (10), 2:0 ბირჰოფი (24), 3:0 დაისლერი (40), 4:0 ბირჰოფი (43), 5:0 კელი (44), 6:0 ბირჰოფი (71), 7:0 იანკერი (77)

**გერმანია:** კანი, ლინკე, რამი, მეცელდერი, კელი (ფ. ერნსტი 67), იერემისი, დაისლერი (ბ. ფრაიერი 62), ფრინგსი, კლოზე, ბირჰოფი (ბიროფკა 73), იანკერი

მწვრთნელი: რუდი ფიოლერი

**ქუვეითი:** ალ-ხალდი, ალ-შურტა, ჯ. მუბარაქი, ფუსა, ალ-შამარი, ბარიქი, ალ-თაიერი, ალ-ოტა (ჯალაბი 89), ალი, ალ-მუტაირი (ლაბი 65), საიედი (რაჯაბი 67)

მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)

20 000 მაყურებელი

**ფრაიბურგის** „დრაიზამშტადიონზე" გერმანიამ ქუვეითს 7:0 მოუგო, თუმცა დიდი ვერაფერი ფეხბურთი ითამაშა. ამიტომ ანგარიში სტუმართა სისუსტეზე უფრო მიუთითებს, ვიდრე მასპინძელთა სიძლიერეზე, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ბუნდესნაკრებს ძირითადის ბევრი მოთამაშე აკლდა — რუდი ფიოლერმა „ლევერკუზენისა" და „შალკეს" ფეხბურთელები შეგნებულად არ გამოიძახა, რადგან დღეს ქვეყნის თასის ფინალი აქვთ სათამაშო, „დორტმუნდიდან" კი მხოლოდ ისინი იყვნენ, ვისაც ოთხშაბათს უეფას თასის გადამწყვეტ მატჩში არ უთამაშია.

სამაგიეროდ, ექვსთვიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა სებასტიან დაისლერი, ფეხბურთელი, ვისაც გერმანელთა ახალ თაობაში ყველაზე ნიჭიერად მიიჩნევენ. დაისლერმა ქუვეითელებს მესამე გაუტანა, „ნაციონალმანშაფტის" ყოფილმა კაპიტანმა ოლივერ ბირჰოფმა კი ჰეთ თრიქი შეასრულა. თავი გამოიჩინა ბაიერნელმა კარსტენ იანკერმაც, რომელიც ასევე ხანმოკლე შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ნაკრებს.

ყველაფრის მიუხედავად, რუდი ფიოლერი კმაყოფილი დარჩა თავისი ბიჭების გარჯით: მაღალ ბურთებზე სახიფათოდ ვთამაშობდით, ბურთსაც კარგად ვაკონტროლებდით, მართალია, ასეთი შემადგენლობით თამაში ხშირად არ მოგვიწევს, მაგრამ ახალგაზრდების შემართებით მაინც კმაყოფილი გახლავართო.

14 მაისს გერმანელები კარდიფში უელსს შეხვდებიან, ოთხ დღეში ლევერკუზენში ავსტრიას უმასპინძლებენ, 22-ში კი იაპონიაში გაემგზავრებიან.

**სოლომონ ბულისკერია**



REUTERS ფრაიბურგიდან

სებასტიან დაისლერი (№10) გოლით დაბრუნდა

### გიო ახვლედიანის სვეტი

## სად არის ბაჯო?

**ამ კვირაში** უეფას თასის ფინალი კი იყო, მაგრამ ჩვენ მაინც სხვა განსასჯელი გაგვიჩნდა.

დღე არ გაივლის, რომელიმე ნაკრების მწვრთნელმა სამსოფლიოთასო შემადგენლობა არ გამოაცხადოს და ყველანი ვხედავთ, უფრო სწორად, ვერ ვხედავთ ამ სიებში სამყაროს უგანთქმულეს და ჩვენთვის საყვარელ ფეხბურთელებს. მაგრამ მწვრთნელს ხომ არ ასწავლი?

თუმცა, თუ გაჭირდა ასწავლი და მანქანასაც დაუმტვრევ ისე, როგორც ლუიშ ფელიპე სკოლარის დაუმტვრიეს ბრაზილიაში, რომარიო რატომ არ მიგყავს მსოფლიოს თასზეო. მაინც არ წაიყვანა. პელემ კი მართლაც გასაოცარი კომენტარი მოუხერხა ამ ამბავს, ბრაზილიის ნაკრებში ახალგაზრდები თამაშობენ, რომარიო კი უკვე ასაკოვანი ფეხბურთელიაო. დინო ძოფიც ბევრად ხნიერი იყო, ვიდრე პაოლო როსი. 1958 წელს კი, მსოფლიოს ჩემპიონატზე, როცა იქ ფავორიტად ჩასულ არგენტინის ნაკრებს გაუჭირდა, მწვრთნელმა სამშობლოდან 42 წლის ანხელ ლაბრუნა დაიბარა. უშველა, თუ არა სხვა საკითხია, მაგრამ ხომ დაიბარა.

ამასწინათ, რობერტო ბაჯოს შესახებ იყო ფილმი და იქ ჯოვანი ტრაპატონიმაც ილაპარაკა, ბაჯო ღმერთის ნაჩუქარი გენიოსიაო. ხუთი წლის წინანდელი ფილმი იყო და დონ ტრაპიც ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, მაგრამ მობერებულმა ჩათვალა, რომ სასწაულით გამოჯანმრთელებული ბაჯო ზედმეტი ფუფუნებაა მისი გუნდისთვის, რადგან დელ პიერო და ტოტი ჰყავს. ოთხი წლის წინათაც ასე იყო — ჩეზარე მალდინიმ დიდი ტანჯვის შემდეგ გადაწყვიტა ბაჯოს წაყვანა.

მაშინდელი ბაჯო კი ხომ გახსოვთ?

მგონია, რომ ბაჯო უფრო დიდი ფეხბურთელია, ვიდრე ვთქვათ, ტოტი. ის კი არა, რომ ზოგადად — დღესაც, ბაჯო საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელია, უბრალოდ, ისეთი გაალმასებით არ ჩაგიხტება ფეხებში, როგორც ტოტი. ტოტის კი არ ვერჩი, იმას მოგახსენებთ, რომ იტალიელ მწვრთნელებს არ უყვართ ბაჯო, რომელიც მერამდენე წელიწადია გუნდიდან გუნდში მოგზაურობს და სასწაულებს სჩადის.

ახლა რომ ვიხსენებ, ოთხი წლის წინათაც რაღაც ამგვარს ვწერდი, ჩეზარე ამბობს, დელ პიერო უფრო ახალგაზრდაა და უფრო მჭირდებაო. რა ვთქვათ? დელ პიერო ყოველთვის ბაჯოზე ახალგაზრდა იქნება, ბაჯო კი ფეხბურთის გენიოსია და ამით დავამთავროთ.

ალბათ ისევე, როგორც რომარიო, რომელსაც თურმე მყრალი ხასიათი ჰქონია.

თუმცა, ბრაზილია სხვა შემთხვევაა, იქ არ გამოიძახეს ჟარდელი და ელბერი. მაგრამ ახლა ამის გარჩევას ვერ მოვყვებით, ბაჯო კი მართლაც უნდა ყოფილიყო იქ ვაზუმროთ და, ბუდისტია ბოლოს და ბოლოს.

სახალხო შეკითხვა: ბაჯო თუ არ მიგყავს, ვინ მიგყავს, დი ბიაჯო?




REUTERS როტერდამიდან

როტერდამში „ფეიენოორდის" გამარჯვებას დღემდე ზეიმობენ

# ბაზრობიდან როტერდამამდე

**რურის ზეგანზე გაშენებულ დორტმუნდში გუშინ ასი ათასი კაცი გამოვიდა ქუჩებში, ერთი მიმართულებით აიღეს გეზი და უმეტესობას შავ-ყვითელი სამოსი ემოსა. რა მიხვედრა უნდა, რომ „ბორუსიას" გამარჯვებას ზეიმობდნენ. და იმასაც რა მიხვედრა უნდა, რომ ბუნდესლიგის მოგებას აღნიშნავდნენ, თორემ უეფას თასის ფინალში ხომ... ერთი სიტყვით, გუშინ დორტმუნდში ბუნდესჩემპიონობისადმი მიძღვნილი ოფიციალური ზეიმი გაიმართა, რაც მათთვის ავადმოსაგონარი უეფას თასის ფინალის გამო წინა უქმეებზე არ მოესწრო. და როტერდამში? როტერდამელებს, ცხადია, თავისი ზეიმი ჰქონდათ. ახლა კი უეფას თასის ისტორიის საინტერესო ფაქტები გავიხსენოთ.**

უეფას თასის გუშინწინდელი ფინალი რიგით 31-ე იყო 1972 წლიდან მოყოლებული. მანამდე, 1958 წლიდან არსებულ ბაზრობათა თასს ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს სახელი დაერქვა. უეფას თასის პირველი ფინალი ინგლისური გამოდგა, „ტოტენჰემმა" „ვულვერჰემპტონი" დაამარცხა.

* * *

როტერდამის „დე კუიპს" ევროპული თასების ფინალებისთვის, ოთხშაბათის მატჩის ჩათვლით, 10-ჯერ უმასპინძლია. 1972 და 1982 წლებში აქ ჩემპიონთა თასის ფინალები ჩატარდა, 1974 წელს როტერდამში უეფას თასის საპასუხო ფინალური მატჩი ჩაატარა მასპინძელმა „ფეიენოორდმა" (მოგეხსენებათ, მაშინ უეფას თასის ფინალი ორ მატჩად ტარდებოდა). ყველაზე მეტჯერ „დე კუიპზე" თასების მფლობელთა თასის ფინალები ჩატარებულა — 1964, 1968, 1974, 1985, 1991 და 1997 წლებში.

* * *

„ფეიენოორდი" ევროპული თასების ერთ რეკორდსაც ფლობს. 1969-1970 წლების სეზონში, როტერდამელებმა ისლანდიური „რეიკიავიკი" ორი მატჩის ჯამში 12:0 დაამარცხეს, თუმცა ეს შედეგი არაფერია 1972-73 წლების სეზონის შედეგთან შედარებით, როცა უეფას თასის პირველ წრეში ლუქსემბურგული „რუმელანჟი" 21:0 გაანადგურეს. ამ რეკორდს „ფეიენოორდი" „ჩელსისთან" ინაწილებს, რაკი ლონდონელმა არისტოკრატებმა იმავე სეზონში მეორე ლუქსემბურგულ კლუბ, „პაუზრაგეს" გამოუყვანეს წირვა იმავე ანგარიშით, ოღონდ თასების მფლობელთა თასზე.

* * *

1958-1971 წლებში, ანუ ბაზრობათა თასის პერიოდში არც ერთი გერმანული და ჰოლანდიური კლუბი ამ თასის ფინალში არ გასულა.

* * *

„დორტმუნდი" და „ფეიენოორდი" გუშინწინდლამდე ერთმანეთს ბოლოს 1999-2000 წლების ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირზე შეხვდნენ, მაშინ ორივე მატჩი 1:1 დასრულდა.

* * *

როტერდამულმა კლუბმა ჰოლანდიური კლუბების ისტორიაში მეოთხედ მოიგო უეფას თასი. ტიტების ქვეყანას პირველი უეფას თასი სწორედ „ფეიენოორდმა" მოუტანა 1974 წელს. მეორე, 1978-ში „პსვეინდჰოვენმა" მოიგო, მესამე კი 1992 წელს „აიაქსმა".

* * *

დორტმუნდის „ბორუსიას", გერმანიის ახალგამომცხვარ ჩემპიონს შეეძლო სამივე ევროპული თასის მომგებ კლუბთა ელიტარულ სიაში ჩაწერილიყო. დორტმუნდელებმა 1968 წელს თასების მფლობელთა თასი, 1997 წელს კი ჩემპიონთა თასი მოიგეს. მაგრამ, „დორტმუნდს" უეფას თასის ფინალებში ბედი არ სწყალობს, „ბორუსია" უეფას თასის ფინალისტი 1993 წელსაც იყო და მაშინ რობერტო ბაჯოს „იუვენტუსთან" ორი მატჩის ჯამში 1:6 დამარცხდა.

* * *

სამივე ევროთასის მომგები გუნდები „აიაქსი", „იუვენტუსი", „ბაიერნი" და „ბარსელონა" არიან.

* * *

გერმანელთაგან უეფას თასი მიონხენგლადბახის „ბორუსიას" (1975,79), ფრანკფურტის „აინტრახტს" (1980), ლევერკუზენის „ბაიერს" (1988), მიუნხენის „ბაიერნს" (1996) და „შალკეს" (1997) მოუგიათ. ამის გარდა გერმანული კლუბები 6-ჯერ გასულან უეფას თასის ფინალში: იგივე მიონხენგლადბახის „ბორუსია" (1975;80), „კიოლნი" (1986), „შტუტგარტი" (1989) და „დორტმუნდი" (1993). აღსანიშნავია, რომ 1980 წლის ფინალი გერმანული იყო, მაშინ ფრანკფურტის „აინტრახტმა" „მიონხენგლადბახი" დაამარცხა.

* * *

ყველაზე მეტჯერ, 9-ჯერ უეფას თასი იტალიურ კლუბებს მოუგიათ. გერმანელებთან ერთად 6 გამარჯვებით, მეორე ადგილს ინგლისელები იყოფენ. ჰოლანდიელთა მონაგარი ზემოთხსენებული 4 უეფას თასია. ამის გარდა „ტვენტემ" 1975 წელს და „ალკმაარმა" 1981 წელს, უეფას თასის ფინალებში ითამაშეს.

* * *

და ბოლოს, ბაზრობათა თასის ჩათვლით ყველა ევროპული თასის საერთო მონაგარით პირველ ადგილზე ინგლისია, ამ ქვეყნის კლუბებს 27 ევროპული ჯილდო აქვთ, მეორე ადგილზე იტალიაა 26 თასით, ესპანეთი 24 თასით მესამეა, გერმანიას კი ჯერჯერობით მხოლოდ 16 თასი მოუგია.



REUTERS დორტმუნდიდან

მათიას ზამერი და მისი „დორტმუნდი" ბუნდესსალითის ამარა დარჩნენ

## უეფას თასის ყველა ფინალი 1958-2002

| წელი | ფინალი |
|---|---|
| 1958 | ბარსელონის ნაკრები (ესპანეთი) 2:2, 6:0 ლონდონის ნაკრები (ინგლისი) |
| 1960 | ბარსელონა (ესპანეთი) 0:0,4:1 ბირმინგემი (ინგლისი) |
| 1961 | რომა (იტალია) 2:2, 2:0 ბირმინგემი (ინგლისი) |
| 1962 | ვალენსია (ესპანეთი) 6:2, 1:1 ბარსელონა (ესპანეთი) |
| 1963 | ვალენსია (ესპანეთი) 2:1, 2:0 დინამო (ზაგრები, იუგოსლავია) |
| 1964 | სარაგოსა (ესპანეთი) 2:1 ვალენსია (ესპანეთი) |
| 1965 | ფერენცვაროში (უნგრეთი) 1:0 იუვენტუსი (იტალია) |
| 1966 | ბარსელონა (ესპანეთი) 0:1, 4:2დ.დ. (1:0) სარაგოსა (ესპანეთი) |
| 1967 | დინამო (ზაგრები, იუგოსლავია) 2:0, 0:0 ლიდსი (ინგლისი) |
| 1968 | ლიდსი (ინგლისი) 1:0, 0:0 ფერენცვაროში (უნგრეთი) |
| 1969 | ნიუკასლი (ინგლისი) 3:0, 3:2 დოჟა უიპეშტი (უნგრეთი) |
| 1970 | არსენალი (ინგლისი) 1:3, 3:0 ანდერლეხტი (ბელგია) |
| 1971 | ლიდსი (ინგლისი) 0:0, 2:2 (სტუმრად გატანილით), 1:1 იუვენტუსი (იტალია) |
| 1972 | ტოტენჰემი (ინგლისი) 2:1, 1:1 ვულვერჰემპტონი (ინგლისი) |
| 1973 | ლივერპული (ინგლისი) 3:0, 0:2 მიონხენგლადბახი (გფრ) |
| 1974 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) 2:2, 2:0 ტოტენჰემი (ინგლისი) |
| 1975 | მიონხენგლადბახი (გფრ) 0:0, 5:1 ტვენტე (ჰოლანდია) |
| 1976 | ლივერპული (ინგლისი) 3:2, 1:1 ბრიუგე (ბელგია) |
| 1977 | იუვენტუსი (იტალია) 1:0, 1:2 ბილბაო (ესპანეთი) |
| 1978 | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 0:0, 3:0 ბასტია (საფრანგეთი) |
| 1979 | მიონხენგლადბახი (გფრ) 1:1, 1:0 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) |
| 1980 | აინტრახტი (გფრ) 1:0, 2:3 მიონხენგლადბახი (გფრ) |
| 1981 | იფსვიჩი (ინგლისი) 3:0, 2:4 ალკმაარი (ჰოლანდია) |
| 1982 | გიოტებორგი (შვედეთი) 1:0, 3:0 ჰამბურგი (გფრ) |
| 1983 | ანდერლეხტი (ბელგია) 1:0, 1:1 ბენფიკა (პორტუგალია) |
| 1984 | ტოტენჰემი (ინგლისი) 1:1, 1:1 (პენ.4:3) ანდერლეხტი (ბელგია) |
| 1985 | რეალი (ესპანეთი) 3:0, 0:1 ვიდეოტონი (უნგრეთი) |
| 1986 | რეალი (ესპანეთი) 5:1, 0:2 კიოლნი (გფრ) |
| 1987 | გიოტებორგი (შვედეთი) 1:0, 1:1 დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) |
| 1988 | ლევერკუზენი (გფრ) 0:3, 3:0 (პენ.3:2) ესპანიოლი (ესპანეთი) |
| 1989 | ნაპოლი (იტალია) 2:1, 3:3 შტუტგარტი (გფრ) |
| 1990 | იუვენტუსი (იტალია) 3:1, 0:0 ფიორენტინა (იტალია) |
| 1991 | ინტერი (იტალია) 2:0, 0:1 რომა (იტალია) |
| 1992 | აიაქსი (ჰოლანდია) 0:0, 2:2 ტორინო (იტალია) |
| 1993 | იუვენტუსი (იტალია) 3:0, 3:1 დორტმუნდი (გერმანია) |
| 1994 | ინტერი (იტალია) 1:0, 1:0 კაზინო (ზალცბურგი, ავსტრია) |
| 1995 | პარმა (იტალია) 1:0, 1:1 იუვენტუსი (იტალია) |
| 1996 | ბაიერნი (გერმანია) 2:0, 3:1 ბორდო (საფრანგეთი) |
| 1997 | შალკე (გერმანია) 1:0, 0:1 (პენ.4:1) ინტერი (იტალია) |
| 1998 | ინტერი (იტალია) 3:0 ლაციო (იტალია) |
| 1999 | პარმა (იტალია) 3:0 მარსელი (საფრანგეთი) |
| 2000 | გალათასარაი (თურქეთი) 0:0 (პენ.4:1) არსენალი (ინგლისი) |
| 2001 | ლივერპული (ინგლისი) 5:4დ.დ. (4:4) ალავესი (ესპანეთი) |
| 2002 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) 3:2 დორტმუნდი (გერმანია) |



ვანო ოქროპირიძე
ბერლინიდან



# გწამდეთ ღმერთის, ითამაშეთ ფეხბურთი

## ზე რობერტო მოკლულ ძმაკაცებს იხსენებს და წარსულის ეშინია

*„ღმერთი ერთგულია", „იესო ჩვენს გვერდითაა", „იესოს შენ უყვარხარ!" — ბოლო ხანია, ფეხბურთელთა უმეტესობას საკლუბო მაისურის შიგნით სხვა მაისურა აცვია. გოლს რომ გაიტანენ, ზემოთას იხდიან და... რა აწერიათ შიგნითა მაისურაზე, წინასწარ განსაზღვრა ძალიან ძნელია, ზოგს შვილი დაუხატავს, ზოგს ცოლი თუ საყვარელი (თანამედროვედ რომ ვთქვათ, მეგობარი გოგონა). მაგრამ რა ნაწერა ამშვენებთ ბუნდესლიგაში მოთამაშე ბრაზილიელებს, ეს უკვე ყველამ იცის — იგი აუცილებლად ღმერთთანაა დაკავშირებული. სტატიის თავში მოყვანილი სიტყვები, სწორედ ბუნდესლიგელ ბრაზილიელებს ეკუთვნით. პირველი ფრაზა შტუტგარტელმა ადემარმა წაიწერა გულზე, მეორე ლევერკუზენელმა ლუსიომ, მესამე კი მისმა თანაგუნდელმა ზე რობერტომ. სამივეს, ისევე როგორც ევროპაში სახელდაგდებული ბრაზილიელების უმეტესობას ერთი რამ აერთიანებთ, ღატაკი ოჯახისა და ფაველასის (ბრაზილიურად ქალაქის გარეუბანში ბარაკის ტიპის დასახლებას ნიშნავს) შვილები არიან, მათთვის არც კრიმინალური ცხოვრებაა უცხო და არც ნარკოტიკები.*

*დღეს ისინი ბოლო მოდელის ავტომანქანებით დაჭრიან, ჰუგო ბოსისა თუ პიერ კარდენის ტანსაცმელი აცვიათ, თავისუფალ დროს საუკეთესო რესტორნებსა თუ ბარებში ატარებენ, ანგარიშზე რამდენიმე მილიონი უდევთ, მაგრამ... ისინი თავიანთი ბავშვობის დროინდელ კოშმარს ვერ ივიწყებენ, ამიტომაც ევროპაში მოთამაშე ბრაზილიელებმა საგანგებო ფონდი შექმნეს და სოლიდურ თანხებს გასცემენ. ბრაზილიაში ღარიბთათვის სკოლების შექმნასა და სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეებისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ ფონდში თავიანთი წილი გერმანელ ჰაიკო ჰერლიხსა და მარკო ბოდესაც შეაქვთ.*

*„მიკვირს ცოცხალი როგორ ვარ, ყოველდღე მარტოდმარტო ერთ ყუთ ლუდს ვსვამდი, მერე კი შეზარხოშებული ნარკოტიკებს ვეძალებოდი.*

*მეგობარმა მიშველა, ერთ დღეს ბიბლია მაჩუქა და..." — იხსენებს ადემარი. მოსაგონარი სხვებსაც აქვთ. აი, მაგალითად, ზე რობერტოს, რომელმაც გერმანულ „ბილდს" ლამის აღსარება ჩააბარა.*

**გუშინდელივით** მახსოვს ჩემს ცხოვრებაში უმძიმესი დღე. ფეხბურთის სათამაშოდ ვიყავი, დაღლილმა სახლში შევირბინე, სამზარეულოში შევვარდი, მინდოდა წყალი დამელია. მოულოდნელობისგან შევცბი, იქ დედაჩემი დამხვდა, რომელიც მაგიდასთან იჯდა და ცხარე ცრემლით ტიროდა. ცხადია, მიზეზი ვკითხე, არ მეუბნებოდა, მაგრამ ბოლოს რომ არ მოვეშვი, მითხრა, რომ მამამ მიგვატოვა. მაშინ ათი წლის ვიყავი. ეს უდიდესი დარტყმა იყო ოჯახისთვის, შოკირებულნი ვიყავით, მაგრამ რას ვიზამდით... სან პაულუს ფაველასში, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, ჩვენნაირი ოჯახი ბევრი იყო. ფეხბურთის ქომაგებს ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ დღეს მაღალანაზღაურებად ბრაზილიელ ფეხბურთელთა უმეტესობა სწორედ ასეთი ულარიბესი ოჯახებიდან ვართ.

ჩემი ცხოვრების ყოველი დღე ლუკმაპურისთვის ბრძოლა იყო, აქ მართლა ლუკმა პურზეა ლაპარაკი. მამის წასვლამდე ოჯახში შვიდნი ვიყავით, ძალიან ვიწროდ ვცხოვრობდით, თუმცა ბინაზე ვინ ფიქრობდა, როცა საჭმელი არ გვქონდა. ბავშვებს ტკბილეული რომ გვინდოდა, შაქარს ვიპარავდით და ცხელ ტაფაზე ვადნობდით, კანფეტებს ასე ვაკეთებდით. ამის გამო მშობლები სულ გვეჩხუბებოდნენ, რადგან გაზი მალე თავდებოდა, ახალი ბალონის ფული კი აბა, სად გვქონდა.

მამის წასვლის მერე, ყველანი დედის კისერზე დავრჩით და აქ დაიწყო ის, რაც ფაველასის მაცხოვრებლებისთვის ჩვეულებრივი ამბავია: ქურდბაცაცად გადავიქეცი, ვიპარავდი ყველაფერს, რაც ჯიბეში მეტეოდა, ძირითადად საჭმელს, ტკბილეულს, ხილს. მაღაზიაში რამეს რომ მოვიპარავდი და გარეთ გავიდოდი, ისეთს მოვკურცხლავდი, კაციშვილი ვერ მეწეოდა, ჩემი სპრინტერული სიჩქარეც სწორედ ამ საქმეში ჩამომიყალიბდა.

მერე კი თანამოსაქმეებიც გავიჩინე, ხუთი მეგობარი ვიყავით, დილის რვის ნახევარზე ვხვდებოდით ერთმანეთს, ჯერ ფეხბურთს ვთამაშობდით სიცხის გაცლამდე, მერე მაღაზიებს მივადგებოდით, ბოლოს ისევ ბურთს ვაგორებდით, საღამოს კი სახლში ბედნიერი შევდიოდი. რაც უფრო ვიზრდებოდით, მე და ჩემს მეგობრებს მით უფრო მეტი სისულელეები მოგვდიოდა თავში. ჩვენი ხუთეულიდან სამი მალე ნარკოტიკების საქმეში გავიდა. მოგვიანებით მათ ჩემი ბევრი მეგობარი შეუერთდა. ისინი სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდნენ ამ ბინძურ ჭაობში. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ჩემი ორი საუკეთესო მეგობარი ლისა და მაცოლა პოლიციელებმა მოკლეს. ისინი საკმაოდ ცნობილ ნარკოდილერებთან იყვნენ შეკრულნი და ამ საქმეს შეეწირნენ.

ამ ამბავმა ბევრი რამ დამანახა ცხოვრებაში. დედაჩემიც ძალიან დამეხმარა — ეს შემზარავი ფაქტი რომ მოხდა, სულ გვერდით მედგა, მამშვიდებდა და ბევრს მელაპარაკებოდა. მან დამარწმუნა, რომ ასეთ გარემოცვაში მეც იგივე მომელოდა. ახლა რომ ვუფიქრდები, ვრწმუნდები, რომ აბსოლუტურად მართალი იყო. დედა საავადმყოფოში ექთნად და მოხუცთა თავშესაფარში მომვლელად მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ სახლში იშვიათად იყო, მაინც ახერხებდა ჩვენს მოვლას, აღარც საჭმელს გვაკლებდა. ხუთი და-ძმანი ვიყავით და მის მზრუნველობასა და სითბოს ყველანი ვგრძნობდით.

ერთ დღეს კი ჩვენს ოჯახში რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა. დედა დიდი ხნის არყოფნის მერე ეკლესიაში წავიდა, ჩვენზე რომ ელოცა. იქიდან აშკარად შეცვლილი დაბრუნდა. მან აგვიხსნა, რომ ეკლესიაში ღმერთს ესაუბრა. გვითხრა, რომ ღმერთს ვუყვარდით, იგი ჩვენს გვერდით იდგა და ჩვენ მას უნდა მივნდობოდით. ეს მე და ჩემმა და-ძმებმა თავიდან არასერიოზულად აღვიქვით. ბრაზილიაში საკმაოდ ბევრი ლაპარაკობს ღმერთთან ამგვარ შეხვედრებზე. თუმცა დედის მონაყოლი ამას არ ჰგავდა, მისმა საქციელმა დაგვარწმუნა ამაში. იგი ბევრად უფრო მშვიდი გახდა, თითქოს ამ ამბავმა ძალა შთაბერა, თანაც იგი უკვე თვლიდა, რომ ოჯახზე მის გარდა უკვე ვიღაც ზრუნავდა, ვიღაც ფიქრობდა. ამის მერე ჩვენი საქმეები მართლაც უკეთ წავიდა. მე კი ცხოვრებაში პირველად მოვკიდე ხელი ბიბლიას და კითხვა დავიწყე. ვერც კი წარმოვიდგენდი თუ ასეთი საინტერესო იყო. მაშინ გავიგე, რომ ღმერთი მარტო ჩვენი მამა კი არ იყო — მამა, რომელიც მე არ მყავდა — არამედ, იგი იყო ის, ვისაც შეეძლო მნიშვნელოვნად განესაზღვრა ჩვენი ცხოვრება. სწორედ ბიბლიიდან გავიგე, რომ მე ღმერთის შვილი ვიყავი და შემეძლო მისთვის ნებისმიერი გაჭირვებისას მიმემართა. ასევე გავიგე, რომ შემეძლო უბრალოდ მივსულიყავი მასთან და როგორც საუკეთესო მეგობრისთვის ჩემი გულისნადები მომეყოლა. ასე დავიწყე ურთიერთობა ღმერთთან. მე მას მარტო მაშინ კი არ ვესაუბრებოდი, როცა მიჭირდა, არამედ, მაშინაც, როცა მილხინდა. უბრალოდ ვესაუბრებოდი და მადლობას ვუხდიდი.

ამ დროს უკვე ვიცოდი, რომ ოჯახს მარტო იმ შემთხვევაში დავეხმარებოდი, თუ პროფესიული კარიერისკენ გადავდგამდი ნაბიჯს. მე კი მეშინოდა, მეგონა ვერ შევძლებდი. სწორედ მაშინ იყვნენ სკაუტები ჩვენს სანახავად მოსულნი. ისინი ათას ბავშვს უნდა დაკვირვებოდნენ, მათგან კი სულ 25 შეერჩიათ, მერე ამ 25-ს ცალკე ავარჯიშებდნენ გარკვეულ ხანს და ბოლოს 7-8 ფეხბურთელს აარჩევდნენ, მათ კი თავის გამოჩენის შანსი უკვე პროფესიულ კლუბში მიეცემოდათ. მე იმ ათასიდან ერთ-ერთი ვიყავი და არ მჯეროდა გამარჯვების, თუმცა მოულოდნელად გავიგე, რომ 25 შერჩეულში მოვხვდი, მაშინ უბედნიერესი ბავშვი ვიყავი, ეს იყო პროფესიული კარიერისკენ გადადგმული ჩემი პირველი და უდიდესი ნაბიჯი, ცხადია, ღმერთის შეწევნით...

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

წინა კოსმოპოლიტურ მიმოხილვაში მკითხველს და პელეს დავპირდით, რომ ვაახლებდით ანალიტიკურ წერილს, სადაც დავამტკიცებდით, რომ ეს ადამიანი (ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ) სულაც არ არის ფეხბურთის მეფე. და აი, დღეს, დაპირების მიუხედავად, სულ სხვა თემას გთავაზობთ. მიზეზი მარტივია. ერთი, რომ ჩვენს სიტყვას კაცი არ უნდა ენდოს და მეორე — რა დამტკიცება ამას უნდა. ამიტომაც, გთხოვთ მოგვიტევოთ, თუ არაფერს ვიტყვით ფეხბურთელზე, რომელიც კაცობრიობას ოთხ წელიწადში ერთხელ ეჩვენებოდა (შუალედებში სად იყო ისტორიისთვის უცნობია) და იმ ოთხ წელიწადში ერთხელ გამოჩენებიდან პირველად ორ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა (ისიც სათადარიგო იყო და მოედანზე ბოლოს შედიოდა), მეორედ და მესამედ პირველსავე თუ მეორევე მატჩში შავდებოდა და მერე აღარ თამაშობდა, მეოთხედ კი ისეთ თანავარსკვლავედში მოხვდა, როგორიც იყო კარლოს ალბერტოს, ტოსტაოს, გერსონის, ჟაირზინიოს, რიველინოს და სხვათა თანავარსკვლავედი.

ერთი სიტყვით, დღეს სჯობს ვიმსჯელოთ კაცზე, რომელსაც მეოთხედ დაემუქრნენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანდნენ, მუქარა აღასრულეს და ჩვენი ფიქრით, ეს უფრო აქტუალური იქნება. ალბათ, მიხვდით, ლაპარაკია რობერტო ბაჯოზე, რომელმაც ერთი ჩემპიონატის წინ კიკინა მოუშვა, მეორეს წინ თავი გადაიპარსა, მესამეს წინ წვერი თხასავით (ლენინივით) მოუშვა, მეოთხეს წინ მგონი თავი მოიძრო, მაგრამ განათლებული იტალიელი მწვრთნელები მაინც ცნობენ და ხელებს ასავსავებენ (ტანშიც აჟრიალებთ თუ არა, ჩვენთვის უცნობია). კი მაგრამ, თუკი მწვრთნელებს მისი წაყვანა არ უნდათ, ბოლოს როგორღა ხვდებოდა ეგ დალოცვილი ყველა მუნდიალზეო, იკითხავს გაგრია. როგორ, ბატონო და, ბუდისტია, დალაი ლამას იცნობს, ირმის ნეხვში ჯდება, მედიტაციას ეძლევა, ნირვანას აღწევს და ისეო, ვპასუხობთ ჩვენ.

ესე იგი, ასეა: ბაჯო ირმის ნეხვში ჯდება და მედიტაციას ეძლევა. მისგან გამოსხივებული ველი კი იტალიის მოსახლეობაზე მოქმედებს, იყოლიებს მას და მწყობრად მიჰყავს ნაკრების მწვრთნელის კაბინეტთან. მწვრთნელი, ამ დროს, კომპიუტერში ამუშავებს ტაქტიკურ ვარიანტს, როგორ უნდა გაცვალონ დი ლივიომ და დი ბიაჯომ პოზიციები ისე, რომ თავთავიანთი დიებიც გაიყოლონ. მუშაობს კაცი და ქვევიდან ესმის ერის ხმა — წაიყვანე ბაჯო! მწვრთნელი ფანჯარაში თავს ჰყოფს და ფართე, მლიქვნელური ღიმილით აცხადებს, რომ ბაჯო რა ხანია, შეყვანილი ჰყავს სიაში. მაგრამ ერის მოტყუება შეუძლებელია. ერი იძახის, რომ იგი რ. ბაჯოს წაყვანას ითხოვს, მას კი სიაში დ. ბაჯო ჰყავს და იწყება ეროვნული მოძრაობა: რ. ბაჯო, რ. ბაჯო — გაიძახიან იტალიელები. ამასობაში თავად ბაჯო ნირვანას აღწევს და მწვრთნელიც იძულებულია დანებდეს, ოღონდ მისი პირობა ასეთია: გაიტანოს ბაჯომ დარჩენილი ერთი შეხვედრის ბოლო 7 წუთში სამოცდასამი გოლი და წავიყვანო. ერთი თანხმდება.

შემდეგ მოვლენები ასე ვითარდება: დარჩენილი ერთი შეხვედრის ბოლო 7 წუთში ბაჯოს 64 გოლი გააქვს, რის შემდეგაც, მსაჯის წამატებულ დროში სავარცხელს ხელუკულმა ისვრის და მოწინააღმდეგის თავდამსხმელის (ის მეკარესთან პირისპირაა გასული) წინ ტყე ალიმართება, რის გამოც გოლი ველარ გააქვს.

და პირობა პირობაა! ნაკრების მწვრთნელი იძულებულია რ. ბაჯო მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანოს, ოღონდ გულის სიღრმეში ფიქრობს, რომ იქ სათადარიგოთა სკამზე დასვამს. მერე, რა ხდება იქ, მსოფლიოზე? იტალია პირველსავე შეხვედრაში მარცხდება. თამაშის დამთავრებამდე წამებია. დი ბიაჯო და დი ლივიო თავიანთი დი-ების თან გაყოლებას ვერ ახერხებენ, სულ ცვლიან და ცვლიან. მწვრთნელი განბილებით ისე მლის ხელებს, რომ მოწინააღმდეგე კოლეგას ორჯერ კარგი ალიყურის ჭამა უწევს და ამ დროს... ბაჯო სათადარიგოთა სკამიდან ფიქრით ათანაბრებს ანგარიშს.

იტალია შემდეგ ეტაპზეა!

იგივე მეორდება შემდეგ შეხვედრებშიც... მეოთხედფინალამდე, იქ კი... იქ, განრისხებული მწვრთნელი ხერხს მიმართავს, ბაჯოს ატყუებს, თამაში შვიდზე იწყებაო, მაშინ, როდესაც ხუთზე იწყება და მიზანს აღწევს, „სკუადრა აძურა" კი ჩემპიონატს ეთიშება.

შინ დაბრუნებული, დაღონებული რობერტო ახალი ვარცხნილობის ძიებაშია.

- აი, ასე იყო აქამდე. დღეს კი იტალიურმა საფეხბურთო ინტელექტმა შვებით ამოისუნთქა — ბაჯო ჩემპიონატზე არ მიჰყავთ.

**ბაჩუნა ძიძია**

მოძრავი სტრიქონი: გილოცავთ მსოფლიოს ჩემპიონატის მოახლოებას. თემურ და ჯესიკა ლენგები



რობერტო ბაჯოს მეთოთხმეტე დალაი ლამა მფარველობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ იწრთობოდა იუვენტუსი



მარჩელო ლიპიმ საჩემპიონოდ იღრიალა

ბოლო ოთხი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იტალიაში ჩემპიონის ვინაობა 34-ე ტურამდე არ ირკვევა, ხოლო ეს ტური დრამატიზმითაა ავსავსე. ასე მოხდა წლეულსაც, როდესაც „ინტერმა" ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე მოპოვებული გვარიანი უპირატესობა ბოლო ტურის წინ ერთ ქულამდე დაიყვანა და შემდეგ, გადამწყვეტ, ფაქტობრივად, ფინალის ტოლფას შეხვედრაში, „ლაციოსთან" დამარცხდა. გაიმარჯვა „იუვენტუსმა", რომელმაც თავის ბოლო შეხვედრაში უდინეში, „უდინეზეს" მოუგო.

თუმცა 5 მაისის დრამატიზმსა და გრძნობათა ფოიერვერკზე უფრო მნიშვნელოვანი, ვინ იცის, ეგებ სწორედ ბოლო თვენახევრის მანძილზე გაწელილი პროცესი იყო, როდესაც „ინტერი" ქულებს კარგავდა, „იუვენტუსი" კი ბეჯითად ავსებდა პირველ ადგილთან გაჩენილ ნაპრალს. ფაქტია, ჩემპიონატის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი ბოლოა. ამ დროს გუნდები, რომ იტყვიან, ფინიშის სწორს გადიან და ეს, ალბათ, მთელი სეზონის განმავლობაში, ყოველდღიური წვრთნის დროს უნდა გაეთვალისწინებინათ „შავ-ლურჯებს". ხოლო თუ არ გაითვალისწინეს, გამოდის, შეცდომა დაუშვიათ.

რაც შეეხება მესამე ლიდერს, „რომას", რომელმაც საბოლოოდ მეორე ადგილი მოიპოვა, ჩემპიონატის მანძილზე შიგადაშიგ უსახური პერიოდები ჰქონდა და, იქნებ, სწორედ ამიტომაც ველარ გაიმეორა შარშანდელი.

ქვემოთ კი ერთი კვირის წინ გასრულებული სეზონის საკვანძო და ღირსშესანიშნავ დღეებს გადავავლოთ თვალი.

**26 აგვისტო:** იწყება ჩემპიონატი და „ინტერი" „პერუჯასთან" 4:1 გამარჯვებით (ორი გოლი კრისტიან ვიერის გააქვს) იმთავითვე ამჟღავნებს საჩემპიონო ამბიციებს. იმავდროულად იგებს „იუვენტუსიც". „ვენეციის" კარში ორ-ორი გოლი დავიდ ტრეზეგესა და ალესანდრო დელ პიეროს გააქვთ. აი, „რომა" კი პირველ ქულებს ჰკარგავს. ვერონაში ჩემპიონის შეხვედრა 1:1 მთავრდება.

**16 სექტემბერი:** „რომა" პიაჩენცაში 0:2-ს აგებს, „ინტერი" კი მსაჯის წამატებულ წუთებში ადრიანოს გოლით „ვენეციას" ამარცხებს და სამი შეხვედრიდან სამი მოგება უგროვდება. „იუვენტუსს" იმავე ტურში „კიევოსთან" გადახდა დიდი ბრძოლა, შინ 0:2-ს აგებდა, მაგრამ სამი გოლის გატანა მოახერხა.

**23 სექტემბერი:** „რომა" როგორც იქნა იმარჯვებს. „ფიორენტინასთან" თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კრისტიან პანუჩის გოლით სასწორი მის სასარგებლოდ (2:1) იხრება. მაგრამ იმარჯვებს „ინტერიც" (1:0 „ტორინოსთან"), ხოლო „იუვენტუსი" ლეჩეში 0:0-ს თამაშობს.

**21 ოქტომბერი:** „ინტერი" პირველად მარცხდება, თანაც მილანურ დერბიში — 2:4. ამ მარცხის გამო „შავ-ლურჯები" ლიდერობას კარგავენ და მათ ადგილს ჩემპიონატის სენსაცია, „კიევო" იკავებს. ამასობაში, „რომა" ძლიერდება. ის ჯობნის „ლეჩეს" — 5:1.

**28 ოქტომბერი:** რომაულ დერბიში იგებს „რომა" — 2:0, ხოლო „ინტერი" ტურინში „იუვენტუსთან" 0:0-ს თამაშობს. ამასობაში „კიევო" აგრძელებს სასწაულების ჩადენას, ამარცხებს შინ „ტორინოს" (3:0) და ცხრილის სათავეში რჩება.

**4 ნოემბერი:** „ინტერი" „ლეჩესთან" 2:0-ს იგებს და მეორე ადგილზე ადის. ამ შეხვედრაში მოედანს უბრუნდება რონალდო, თუმცა მხოლოდ 14 წუთით — ბარძაყის კუნთი სტკივდება. „იუვენტუსი" კი ვერონაში 2:2-ს თამაშობს ანუ აგერ უკვე მეექვსე შეხვედრაა არ მოუგია. „რომა" ბერგამოში „ატალანტასთან" თამაშობს 1:1-ს.

**25 ნოემბერი:** სასწაულმოქმედი „კიევო" „პერუჯას" 2:0-ს უგებს და კვლავ პირველ ადგილზეა, მაგრამ „ინტერი" კვალში უდგას — „ფიორენტინას" სჯობნის 2:0-ს. „რომა" მესამეზე ადის. ის „ბოლონიას" ამარცხებს 3:1, „იუვე" კი კვლავ უქმეოდაა და „ლაციოსთან" 0:1 მარცხდება.

**2 დეკემბერი:** ლიდერი იცვლება. „ინტერი" „ატალანტას" ბერგამოში უგებს 4:2-ს, ხოლო „კიევოს" „მილანი" ამარცხებს — 3:2. „რომა" გაჭირვებით, ბოლოწამს, დიეგო ფუზერის გატანილი გოლით სჯობნის აუტსაიდერ „ვენეციას", „იუვენტუსი" კი ნავსს ტეხს — „პერუჯას" 2:0-ს უგებს.

**16 დეკემბერი:** „კიევო" მორიგ სასწაულს სჩადის, „სან სიროზე" ამარცხებს „ინტერს" — 2:1. „ინტერი" ლიდერობას კარგავს, მესამეზე ჩადის, „კიევო" კი ლიდერობას იბრუნებს, ოღონდ, „რომასთან" ერთად (რომაელებს „მილანმა" ვერ გაუძლო — 1:0).

„იუვენტუსს" მორიგი სამი ქულა ემატება. „დელე ალპიზე" „პიაჩენცა" მარცხდება — 2:0.

**6 იანვარი:** „ინტერი" „ლაციოს" 0:0-ს ეთამაშება, „რომა" „ტორინოს" 1:0-ს უგებს, „კიევო" და „იუვენტუსი" კი „ატალანტასა" და „უდინეზეს" სჯაბნიან.

**24 იანვარი:** გამოიკვეთა ტრიო, რომელთა რბოლაც საბოლოოდ გასრულებული ჩემპიონატის სახედ იქცა: „იუვენტუსი" „კიევოს" მისსავე მოედანზე 3:1-ს უგებს. ეს ტურინელთა ზედიზედ მეხუთე გამარჯვებაა. „ინტერი" აუტსაიდერს, ასეთი კი მთელი სეზონის მანძილზე „ვენეცია" იყო, 1:1-ს ეთამაშება, ხოლო „რომა" „პიაჩენცას" ამარცხებს.

**10 თებერვალი:** „იუვენტუსი" ნამდვილ გლადიატორულ სულისკვეთებას ამჟღავნებს, ათი კაცით უმკლავდება სტუმრად „რომას" და შეხვედრა 0:0 მთავრდება. „ინტერს" კონკურენტთა ქულების კარგვამ თითქოს სარგებელი უნდა ანახოს, მაგრამ „შავ-ლურჯები" თავად მარცხდებიან — „ბოლონია" 2:1 უგებს. ეს იყო პირველი მატჩი, რომელიც „ინტერმა" სტუმრად წააგო.

**24 თებერვალი:** „ინტერი" ძალებს იკრებს, „უდინეზეს" 3:2-ს უგებს და ლიდერის პოზიციას უბრუნდება. „იუვენტუსი" კი ტურინულ დერბიში 2:2-ს თამაშობს, ისიც 89-ე წუთზე გატანილი გოლით. „რომა" მეორეზეა — „პერუჯას" უგებს 1:0-ს.

**3 მარტი:** ისევ მილანური დერბია. „ინტერი" კრისტიან ვიერის გოლით 1:0-ს იგებს. „იუვე" „ბოლონიას" სჯობნის 2:1-ს, აი, „რომა" კი ლეჩეში 1:1-ის მეტს ვერ ახერხებს და მესამეზე ჩადის.

**9 მარტი:** „ინტერი" და „იუვენტუსი" „სან სიროზე" ხვდებიან ერთმანეთს. მსაჯის წამატებულ წუთებში კლარენს ზეედორფის საუცხოო დარტყმამ მასპინძლები გადაარჩინა — 2:2. იმავე დღეს, რომაულ დერბიში „რომა" „ლაციოს" 5:1-ს უგებს.

**24 მარტი:** „სან სიროზე" „ინტერი" შთამბეჭდავად, 3:1 ამარცხებს „რომას", აი, „იუვენტუსი" კი, როგორღაც პარმაში წაგებას ახერხებს — 0:1

**30 მარტი:** „იუვე" შინ, „ლაციოსთან" 0:0-ს თამაშობს, „ინტერი" „ფიორენტინას" 1:0-ს უგებს და მათ შორის სხვაობა 6 ქულა ხდება. „რომა" „ბოლონიას" სჯობნის 3:1

**7 აპრილი:** „იუვე" არ ნებდება, პერუჯაში იგებს 4:0-ს, ხოლო „ინტერი" შოკშია — „სან სიროზე" „ატალანტამ" 2:1 აჯობა. ამასობაში უჭირს „რომასაც", ვენეციაში 0:2-ს აგებს და ბოლო წუთებში დანიშნული ზედიზედ ორი პენალტის წყალობითღა ახერხებს ქულის მოპოვებას.

**21 აპრილი:** „ინტერი" ვერონაში „კიევოსთან" 2:2-ს თამაშობს, „იუვენტუსი" კი პიაჩენცაში 1:0-ს იგებს ანუ „შავ-ლურჯები" ტურინელებს ერთი ქულითღა უსწრებენ. „რომა" და „მილანი" უგოლოდ სცილდებიან ერთმანეთს.

**5 მაისი:** „ლაციო" „ოლიმპიკოზე" ამარცხებს „ინტერს" — 4:2. „იუვე" უდინეში 2:0-ს იგებს და ჩემპიონი ხდება. „რომა" ტურინში, „ტორინოს" სჯობნის 1:0. „რომა" მეორეზეა.

**ბაჩუნა ძიძია**



10 თებერვალი: ძამბროტას „იუვენტუსმა" კანდელას (წინ) „რომას" კაცნფყლულმა გაუძლო



რონალდო, ცხადია, დაღონებულია

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 24 |
| უბნერი (პიაჩენცა) | 24 |
| ვიერი (ინტერი) | 22 |
| დი ვაიო (პარმა) | 20 |
| მანიერო (ვენეცია) | 18 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი ტურინი (2) | ■ | 0:2 | 0:0 | 1:0 | 3:2 | 1:1 | 2:1 | 2:0 | 3:0 | 3:1 | 3:3 | 2:0 | 5:0 | 3:0 | 1:0 | 3:0 | 2:1 | 4:0 | 34 | 20 | 11 | 3 | 64:23 | 71 | 13 | 3 | 1 | 38:11 | 42 | 7 | 8 | 2 | 26:12 | 29 |
| 2 | რომა რომი (1) | 0:0 | ■ | 0:0 | 1:0 | 5:0 | 2:0 | 3:1 | 1:0 | 3:1 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 3:2 | 5:1 | 2:1 | 1:0 | 34 | 19 | 13 | 2 | 58:24 | 70 | 13 | 4 | 0 | 33:8 | 43 | 6 | 9 | 2 | 25:16 | 27 |
| 3 | ინტერი მილანი (5) | 2:2 | 3:1 | ■ | 2:4 | 1:2 | 0:0 | 1:0 | 4:1 | 1:2 | 2:0 | 0:0 | 3:1 | 2:1 | 3:2 | 3:0 | 2:0 | 2:0 | 2:1 | 34 | 20 | 9 | 5 | 62:35 | 69 | 11 | 3 | 3 | 33:17 | 36 | 9 | 6 | 2 | 29:18 | 33 |
| 4 | მილანი (6) | 1:1 | 0:0 | 0:1 | ■ | 3:2 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 3:1 | 2:1 | 0:0 | 0:0 | 2:3 | 2:1 | 3:0 | 5:2 | 1:1 | 34 | 14 | 13 | 7 | 47:33 | 55 | 7 | 8 | 2 | 25:14 | 29 | 7 | 5 | 5 | 22:19 | 26 |
| 5 | კიევო ვერონა (დ) | 1:3 | 0:3 | 2:2 | 1:1 | ■ | 3:1 | 2:0 | 2:0 | 2:1 | 1:0 | 3:0 | 4:2 | 1:1 | 1:2 | 2:1 | 2:1 | 2:2 | 1:1 | 34 | 14 | 12 | 8 | 57:52 | 54 | 9 | 5 | 3 | 30:21 | 32 | 5 | 7 | 5 | 27:31 | 22 |
| 6 | ლაციო რომი (3) | 1:0 | 1:5 | 4:2 | 1:1 | 1:1 | ■ | 2:2 | 5:0 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 5:0 | 2:0 | 5:4 | 1:0 | 3:0 | 4:2 | 34 | 14 | 11 | 9 | 50:37 | 53 | 10 | 6 | 1 | 38:18 | 36 | 4 | 5 | 8 | 12:19 | 17 |
| 7 | ბოლონია (10) | 0:0 | 1:3 | 2:1 | 2:0 | 3:1 | 2:0 | ■ | 2:1 | 1:0 | 1:0 | 1:0 | 1:2 | 2:1 | 0:1 | 2:1 | 4:3 | 3:2 | 1:1 | 34 | 15 | 7 | 12 | 40:40 | 52 | 12 | 2 | 3 | 28:17 | 38 | 3 | 5 | 9 | 12:23 | 14 |
| 8 | პერუჯა (11) | 0:4 | 0:0 | 0:2 | 3:1 | 2:2 | 0:0 | 1:0 | ■ | 2:0 | 2:1 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 1:2 | 3:1 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 34 | 13 | 7 | 14 | 38:46 | 46 | 10 | 4 | 3 | 24:15 | 34 | 3 | 3 | 11 | 14:31 | 12 |
| 9 | ატალანტა ბერგამო (7) | 0:2 | 1:1 | 2:4 | 1:1 | 1:2 | 0:1 | 2:2 | 2:1 | ■ | 4:1 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 1:5 | 1:0 | 2:1 | 2:0 | 1:0 | 34 | 12 | 9 | 13 | 41:50 | 45 | 6 | 6 | 5 | 22:23 | 24 | 6 | 3 | 8 | 19:27 | 21 |
| 10 | პარმა (4) | 1:0 | 1:2 | 2:2 | 0:1 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 2:1 | 1:1 | ■ | 0:1 | 2:2 | 1:0 | 2:0 | 2:2 | 1:1 | 2:0 | 2:1 | 34 | 12 | 8 | 14 | 43:47 | 44 | 8 | 6 | 3 | 22:15 | 30 | 4 | 2 | 11 | 21:32 | 14 |
| 11 | ტორინო ტურინი (დ) | 2:2 | 0:1 | 0:1 | 1:0 | 2:2 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 1:2 | 1:0 | ■ | 1:1 | 1:3 | 3:1 | 5:1 | 1:1 | 1:0 | 1:2 | 34 | 10 | 13 | 11 | 37:39 | 43 | 7 | 5 | 5 | 23:18 | 26 | 3 | 8 | 6 | 14:21 | 17 |
| 12 | პიაჩენცა (დ) | 0:1 | 2:0 | 2:3 | 0:1 | 2:2 | 1:0 | 2:0 | 2:0 | 1:2 | 2:3 | 3:1 | ■ | 0:1 | 1:2 | 3:0 | 1:2 | 3:0 | 5:0 | 34 | 11 | 9 | 14 | 49:43 | 42 | 8 | 1 | 8 | 30:18 | 25 | 3 | 8 | 6 | 19:25 | 17 |
| 13 | ბრეშა (8) | 0:4 | 0:0 | 1:3 | 2:2 | 2:2 | 1:1 | 3:0 | 3:0 | 3:3 | 1:4 | 1:2 | 2:2 | ■ | 2:0 | 0:0 | 1:1 | 3:0 | 3:2 | 34 | 9 | 13 | 12 | 43:52 | 40 | 5 | 8 | 4 | 28:26 | 23 | 4 | 5 | 8 | 15:26 | 17 |
| 14 | უდინეზე უდინე (12) | 0:2 | 1:1 | 1:1 | 1:2 | 1:2 | 1:4 | 0:1 | 0:0 | 1:2 | 3:2 | 2:2 | 1:1 | 3:2 | ■ | 2:1 | 0:1 | 1:2 | 1:0 | 34 | 11 | 7 | 16 | 41:52 | 40 | 4 | 5 | 8 | 19:26 | 17 | 7 | 2 | 8 | 22:26 | 23 |
| 15 | ჰელას ვერონა (15) | 2:2 | 1:1 | 0:3 | 1:2 | 3:2 | 3:1 | 0:1 | 1:1 | 3:1 | 1:0 | 0:1 | 1:0 | 2:0 | 1:0 | ■ | 2:1 | 1:2 | 1:0 | 34 | 11 | 6 | 17 | 41:53 | 39 | 9 | 3 | 5 | 23:18 | 30 | 2 | 3 | 12 | 18:35 | 9 |
| 16 | ლეჩე (13) | 0:0 | 1:1 | 1:2 | 0:1 | 2:3 | 1:2 | 1:0 | 2:3 | 0:2 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 1:3 | 1:2 | 1:1 | ■ | 4:1 | 2:1 | 34 | 6 | 10 | 18 | 36:56 | 28 | 3 | 6 | 8 | 19:24 | 15 | 3 | 4 | 10 | 17:32 | 13 |
| 17 | ფიორენტინა ფლორენცია (9) | 1:1 | 2:2 | 0:1 | 1:1 | 0:2 | 0:1 | 1:1 | 1:3 | 3:1 | 1:2 | 0:0 | 1:3 | 1:0 | 0:0 | 0:2 | 1:2 | ■ | 3:1 | 34 | 5 | 7 | 22 | 29:63 | 22 | 3 | 6 | 8 | 16:23 | 15 | 2 | 1 | 14 | 13:40 | 7 |
| 18 | ვენეცია (დ) | 1:2 | 2:2 | 1:1 | 1:4 | 0:0 | 0:0 | 0:1 | 0:2 | 0:1 | 3:4 | 1:1 | 2:3 | 1:2 | 2:1 | 0:1 | 1:1 | 2:0 | ■ | 34 | 3 | 9 | 22 | 30:61 | 18 | 2 | 6 | 9 | 17:26 | 12 | 1 | 3 | 13 | 13:35 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეამაყება, ვარ რომაელი

## ალესანდრო ნესტა: კაცი, რომელსაც სძინავს

**მასზე ევროპის ბობოლა გუნდები ნადირობენ, რომის „ლაციო" კი მისანაცვლად შეთავაზებული დიდი ფულის მიუხედავად დღემდე ვერ შელევია. სულით ხორცამდე რომაელ ალესანდრო ნესტასაც მშობლიური გუნდის დატოვების პერსპექტივა სულაც არ ხიბლავს და კარიერის გაგრძელებასაც „ლაციოში" აპირებს.**

**— ალესანდრო, ძალიან ბევრმა ადამიანმა თქვენი გვარი პირველად 1994 წელს გაიგო, როდესაც პოლ გესქოინს ფეხი მოსტეხეთ...**

— ეს შემთხვევით მოხდა. ბურთი მე მქონდა. ის კი უკნიდან მოვარდა და, ფაქტობრივად, საკუთარი თავი დააშავა. ჩემი ბრალი არ ყოფილა.

**— არა, ბრალს კი არ გდებთ...**

— გასაგებია. მეც უბრალოდ მინდა განვმარტო, რა და როგორ მოხდა.

**— მას შემდეგ, აგერ უკვე რვა წელიწადი გავიდა და თქვენ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ხართ...**

— მართლაც დიდი დრო გავიდა. ბავშვი აღარ ვარ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე და, მართალი გითხრათ, კმაყოფილი ვარ საკუთარი კარიერით.

**— თქვენ „ლაციოს" ისტორიაში პირველი ფეხბურთელი ხართ, ვინც ევროპული თასი აღმართა. ამასთან, თქვენ „ლაციოსთან" ერთად სკუდეტოც მოიპოვეთ. ალბათ, დაბადებით და აღზრდით რომაელი, ამ ტრიუმფს სხვათაგან განსხვავებულად აღიქვამდით...**

— ჩემს სიყმაწვილეში „ლაციო" მცირებიუჯეტიანი გუნდი იყო და საჩემპიონო პირი არ უჩანდა. რამდენიმე წელიწადი სერია B-შიც კი გავატარეთ. ერთი სიტყვით, სკუდეტოზე არც ვოცნებობდით, მაგრამ პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი დაჟინებით მიიწევდა კლუბის გაძლიერებისკენ. დღეს შეიძლება ითქვას, რომ შრომა წყალში არ არის გადაყრილი.

**— მე კი მაინტერესებს, თქვენ, როგორც რომაელი, უფრო ხარობთ, ვიდრე სხვანი?**

— არა. ვფიქრობ, იმ დღეს, ყველას ერთნაირად უხაროდა. მართალია, რომაელი ვარ, სხვა ქალაქში არასდროს მიცხოვრია და თავს ბედნიერ კაცად მივიჩნევ, მაგრამ იმას, რომ სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ თანაგუნდელებზე მეტად მიხაროდა, ვერ ვიტყვი.

**— მაშინ, ასე გკითხავთ, თქვენს მერე „რომა" რომ გახდა ჩემპიონი, როგორც რომაელმა, რა განიცადეთ?**

— მეწყინა, რადგან „ლაციოს" და „რომას" პაექრობა ჩვენ, რომაელებს ბავშვობიდან გვაქვს შესისხლხორცებული. მეორე მხრივ კი უნდა ითქვას, რომ იმ სეზონში „რომამ" დამსახურებულად გაიმარჯვა.

**— თქვენმა ჩემპიონობისდროინდელმა, დღეს კი ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა ამ ხუთი წლის წინ თქვა, დადგება დღე, როდესაც ნესტას ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებენო...**

— ჩემზე თქვა? არა, ეს შეუძლებელია.

**— რატომ შეიცხადეთ, მცველები ევროპის საუკეთესონი ვერ ხდებიან?**

— ის კი არა, ამ ორი წლის წინ „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში მეხუთე ადგილზე რომ გავედი, ძალიან გამიკვირდა და გამიხარდა. ამაზე მეტს როგორ უნდა მივაღწიო?

**— მაგრამ თქვენ ძალიან ელეგანტური სტილის ცენტრალური მცველი ხართ...**

— უფრო ახალგაზრდა რომ ვიყავი, ხშირად ნახევარდაცვაში მათამაშებდნენ. და ვინ იცის, რასაც თქვენ ამბობთ, იქნებ სწორედ ამის გამო იყოს.

**— მერწმუნეთ, თქვენ ძალიან გრაციოზული სტილი გაქვთ. კლაუდიო ჯენტილე გვახსენდება...**

— არა, ჯენტილე ჯენტილეა. სხვა ჯენტილე არ არსებობს. ის დიდი ფეხბურთელი იყო, ერთ-ერთი საუკეთესო მეურვე. იმხანად იტალიაში ყველა მცველი პერსონალური მეურვე იყო. დღეს კი ზონურ დაცვაზე ვართ გადასული და ამდენად სხვა ტექნიკური ილეთების დახვეწა გვიწევს.

**— თქვენს დადებით თვისებებზე რას იტყვით?**

— ერთი თანდაყოლილი თვისება მაქვს — დროის ხანგრძლივ მონაკვეთში ყურადღება არ მეფანტება, თუმცა ნაკლიც აურაცხელი მაქვს.

**— მაგალითად...**

— ძალიან მინდა ბურთი უკეთ ვაკონტროლო.

**— მაგრამ, შორიდან არ ჩანს, რომ თქვენ ბურთის კონტროლი გიჭირთ...**

— ჰო, მაგრამ გოლები ვერ გამაქვს.

**— კარიერაში სამი გოლი გაქვთ გატანილი...**

— არ ვუტევ ხოლმე.

**— რატომ? ვერ უტევთ თუ არ უტევთ?**

— მწვრთნელები დაცვაში დარჩენას მავალებენ.

**— გატყობთ, გული გწყდებათ გოლები რომ არ გაგაქვთ...**

— ძალიან. წელან რომ სამი გოლი ახსენეთ, ვერ წარმოიდგენთ, ჩემთვის რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა. გოლი დიდ სიამოვნებას განიჭებს, დაცვაში კი ვერაფერს აკეთებ. განგიმარტავთ: მცველმა შეიძლება ასზე მეტი ორთაბრძოლა მოიგო, მაგრამ ერთხელ თუ შეგეშალა, გოლი გადის და მერე იწყება ერთი ამბავი, ყველა შენს შეცდომაზე ლაპარაკობს. ხომ წარმოგიდგენიათ, თავდამსხმელებს რამხელა უპირატესობა აქვთ.

**— ერთი სიტყვით, ახალგაზრდებს თავდამსხმელობას ურჩევთ...**

— ნამდვილად.

**— უფრო ზოგად საკითხებზე გადავიდეთ. დღეს ფეხბურთის მთავარი პრობლემა რა არის?**

— ძალიან ბევრი შეჯიბრება და თამაში ტარდება. მეორე მხრივ კი, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის, მოთამაშეებისთვის, ბევრი თამაში მასტიმულირებელიც კია. ერთი სიტყვით, უცნაური მდგომარეობაა და მას დარეგულირება სჭირდება. არის სხვა ტიპის პრობლემებიც, ვთქვათ, რასიზმი, რომელიც ყოველთვის იყო და დარჩება. მართალია, ფეხბურთელებს მის საწინააღმდეგო კამპანიებში ვერთავენ, მაგრამ შედეგი არ აქვს. ამ პრობლემას ფეხბურთელების დონეზე გადაწყვეტა არ უწერია. აქ ადამიანების სკოლიდანვე სწორად აღზრდაა საჭირო. საერთოდაც, სკოლებში ბავშვებს ცხოვრებისეულ საკითხებზე მეტი უნდა ესაუბრონ, თორემ მერე მათ სხვა, უცხო კულტურის აღქმა უჭირთ.

**— პესიმისტურად მსჯელობთ...**

— არის საკითხები, სადაც ვხედავ, რომ ვერაფერს გავხდები.

**— დოპინგის პრობლემაზე რას იტყვით?**

— დღეს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ პროფესიონალებს იმ უბრალო წამლების დალევისაც გვეშინია, კვირაობით ჩოგბურთის მოთამაშე მოქალაქენი რომ სვამენ. მეეჭვება, ოლიმპიური კომიტეტის აკრძალვები სწორი იყოს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ამბობენ, 1997 წლის შემდეგ გამოშვებული ამერიკული საკვები არ მიიღოთ, რადგან იქ ინგრედიენტების ამკრძალავი კანონი გააუქმესო. ველარ გაიგებ, რა ჭამო და რა დალიო, არადა, ერთმა არასწორად გადაყლაპულმა ლუკმამ შეიძლება კარიერა შეგიწყვიტოს. წარმოიდგინეთ, რა ხდება: სპორტსმენს არც მეტი, არც ნაკლები, 50 მილიგრამი ნანდროლონი სჭირდება, ნორმად კი 2 მილიგრამი დაგვიწესეს.

**— ალბათ, აქ სამი ვარიანტია. ერთი — ფეხბურთელი შეგნებულად სვამს აკრძალულ პრეპარატს; მეორე — მას** ასმევენ ისე, რომ არ ეუბნებიან, რა მისცეს; და მესამე, დიდი დატვირთვისას ორგანიზმი თავად გამოჰყოფს ნანდროლონს...

— ვეჭვობ, მხოლოდ ეს იყოს ახსნა.

**— აბა?**

— შესაძლოა, ამერიკულ საკვებში მართლაც იყოს ჩვენში აკრძალული პრეპარატის შემცველი ინგრედიენტები. განა ყველაფერს აწერენ? ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, ფეხბურთელები, შეგნებულად წამლებს ნამდვილად არ ვყლაპავთ. არც ექიმები გვატყუებენ, თითოეული მათგანი ხომ დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტია. როგორ ფიქრობთ, არაფრის გულისთვის ფეხბურთელებს და მათგან მიღებულ შემოსავალს ერთი ხელის მოსმით დააყენებენ რისკის ქვეშ?

**— კეთილი. ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყავით, ვინ იქნებოდით?**

— არ ვიცი. სწავლით თავი არასდროს მომიკლავს. ალბათ, რაიმე სხვა სპორტს გავყვებოდი. იქნებ ჩოგბურთი მეთამაშა. მიყვარს ჩოგბურთის თამაში.

**— მართალია, ნესტას საინტერნეტო გვერდს 40 კაცი აკეთებსო?**

— გულწრფელად გპასუხობთ: არ ვიცი. ეს ყველაფერი ჩემი ძმის წამოწყებულია და ვნახოთ, რა გამოვა.

**— კვირაში რამდენ წერილს იღებთ?**

— ინტერნეტითაც და ქაღალდზე დაწერილსაც? ძალიან ბევრს. ბევრი მოდის აზიიდანაც.

**— საჩუქრებსაც გიგზავნიან?**

— აღმოსავლეთიდან ხშირია საკუთარი ხელით გაკეთებული ნივთები.

**— ინგლისიდან თუ მოგიდიათ რამე?**

— უამრავი წერილი. როგორც წესი, უფრო უშუალო.

**— მოგაბეზრათ თავი ამ ყველაფერმა?**

— არა, მაგას არასდროს ვიტყვი.

**— თქვენ, ალბათ, ფეხბურთის ისტორიაში პირველი მოქმედი მოთამაშე ხართ, კლუბის დირექტორატში რომ შეიყვანეს. რა გევალებათ?**

— სრულიად არაფერი. იქ ხომ ბანკების დირექტორები და განსაკუთრებულად განსწავლილი ხალხია. მე უბრალოდ მივდივარ, ვჯდები და ვუსმენ, როგორ ლაპარაკობენ ისინი ფინანსებზე, გადარიცხვებსა და მსგავს საკითხებზე. იქ თავს ძალიან უადგილოდ ვგრძნობ.

**— გბეზრდებათ?**

— აბა, არ მესმის, რას ლაპარაკობენ და... ამის გასაგებად ხალხი წლობით სწავლობს. მე კი არ მისწავლია.

**— პიროვნულად რა ცუდი თვისება გაქვთ?**

— გვიან ვიღვიძებ. თუ ვარჯიში არ მაქვს, პირველამდე მძინავს. საშინელებაა.

**— ამაზე უარესი, დავიჯერო, არაფერია?**

— არა. ხალხს ცუდს არაფერს ვუკეთებ. უბრალოდ, გვიან ვიღვიძებ და ამ ძილში ნახევარ დღეს ვკარგავ.

**თარგმნა ბაბუნა ბერიაშ**






ალესანდრო ნესტას როცა არ სძინავს, ფეხბურთს თამაშობს



რობერტო მანჩინი

# იყო ალბერტო, იქნება რობერტო

„ლაციოს" საქმეთა აწევა, მოგეხსენებათ, ინგლისელთა ბრალია. ბრიტანელებმა აიტეხეს, სვენ გორან ერიკსონი მოგვეცითო. შვედმაც გული აიყარა და რომს გაეყარა. მაშინ იმწვრთნელა მცირე ხანს რობერტო მანჩინიმ, რომელიც დინო ძოფმა შეცვალა. ძოფის შემდეგ ალბერტო ძაკერონიმ გაათბო მწვრთნელის სკამი, ახლა კი ისევ რობერტოს ჯერი დადგა.

კლუბის პრეზიდენტი, სერჯო კრანიოტი სასუქს ცვლის, მაგრამ მოსავალი არ ჩანს. პრეზიდენტმა ალბერტო ძაკერონის მკლავი მკლავში გაუყარა და უთხრა, ემაგ „ინტერის" გამწარება, მოსაგები რომ მოგეგო, სკამიდან არ წამოგაგდებდიო.

გუშინ სერჯო კრანიოტიმ ისევ მანჩინის უხმო, ხელში კალამი აიღო, მაგიდაზე ფურცელი დაიდო და გუნდის თავკაცის პოსტი ორწლიანი კონტრაქტით დაუდასტურა — რობერტო მანჩინი რომის „ლაციოს" მწვრთნელია.

კაცმა რომ თქვას, მანჩინის ამბავი რამდენიმე დღის წინაც გვეწერა, მაგრამ კონტრაქტი მხოლოდ გუშინ გაფორმდა და ამიტომაც ვიმეორებთ.

რომიდან შარშან წასულმა მანჩინიმ, გეხსომებათ, „ფიორენტინასთან" ერთად იტალიის თასიც მოიგო, მაგრამ მერე ფლორენციელთა მაშინდელ პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორის შემთხვევით კლუბისთვის განკუთვნილი მილიონები შემოეხარჯა და... (იხილეთ სერია A-ს საბოლოო ცხრილი).

**ვაჟა ხუციშვილი**

## დანია

### თასის ფინალი

**კოპენჰაგენი 1:2 ოდენსე**

0:1 ს. ბერგი (10), 0:2 სიიმი (12), 1:2 ლინდსტრუპი (81)

## ბელგია

### თასის ფინალი

**ბრიუგე 3:1 მუსკრონი**

1:0 მენდოსა (22), 1:1 ბლონდელი (67), 2:1, 3:1 მენდოსა (74, 89)

# ინგლისი

გიორგი ვაშაკიძე

| XXXVIII ტური |
|---|
| დღეს |
| არსენალი - ევერტონი |
| ბლექბერნი - ფულემი |
| ჩელსი - ასტონ ვილა |
| ლიდსი - მიდლსბრო |
| ლესტერი - ტოტენჰემი |
| ლივერპული - იფსვიჩი |
| მანჩესტერი - ჩარლტონი |
| საუთჰემპტონი - ნიუკასლი |
| სანდერლენდი - დერბი ქაუნთი |
| ვესტ ჰემი - ბოლტონი |

| საედიისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 37 | 25 | 9 | 3 | 75:33 | 84 |
| ლივერპული | 37 | 23 | 8 | 6 | 62:30 | 77 |
| მანჩესტერი | 37 | 24 | 4 | 9 | 87:45 | 76 |
| ნიუკასლი | 37 | 21 | 8 | 8 | 73:49 | 71 |
| ჩელსი | 37 | 17 | 13 | 7 | 65:35 | 64 |
| ლიდსი | 37 | 17 | 12 | 8 | 52:37 | 63 |
| ტოტენჰემი | 37 | 14 | 8 | 15 | 48:51 | 50 |
| ვესტ ჰემი | 37 | 14 | 8 | 15 | 46:56 | 50 |
| ასტონ ვილა | 37 | 11 | 14 | 12 | 43:46 | 47 |
| მიდლსბრო | 37 | 12 | 9 | 16 | 35:46 | 45 |
| ფულემი | 37 | 10 | 14 | 13 | 36:41 | 44 |
| ბლექბერნი | 37 | 11 | 10 | 16 | 52:51 | 43 |
| ევერტონი | 37 | 11 | 10 | 16 | 42:53 | 43 |
| ჩარლტონი | 37 | 10 | 13 | 14 | 38:49 | 43 |
| საუთჰემპტონი | 37 | 11 | 9 | 17 | 43:53 | 42 |
| ბოლტონი | 37 | 9 | 13 | 15 | 43:60 | 40 |
| სანდერლენდი | 37 | 10 | 9 | 18 | 28:50 | 39 |
| იფსვიჩი | 37 | 9 | 9 | 19 | 41:59 | 36 |
| დერბი ქაუნთი | 37 | 8 | 5 | 24 | 32:62 | 29 |
| ლესტერი | 37 | 4 | 13 | 20 | 28:63 | 25 |

## ეს ერთიც და მეტი არაფერი

**დღევანდელი** დღეც და მორიგი პრემიერლიგური სეზონიც ისტორიის კუთვნილება გახდება. ყველაფერი ცნობილია ერთის გარდა — ვინ იქნება მესამე უიღბლო, რომელი დაემშვიდობება ინგლისურ ელიტას, „სანდერლენდი" თუ „იფსვიჩი".

ცხრილისა თუ თამაშების ანონსის ერთი თვალის გადავლებითაც ცხადია, უკეთესი მდგომარეობა პიტერ რიდის „სანდერლენდს" აქვს. მის ბიჭებს შინ სულ ცოტა, ფრეც ჰყოფნით უკვე გავარდნილ „დერბი ქაუნთისთან". აი, ჯორჯ ბარლის გუნდზე კი რა გითხრათ — ქალალდზე „იფსვიჩის" მოგება „ლივერპულთან" და ისიც „ენფილდზე" წარმოუდგენელია. ამ შემთხვევაში, „სანდერლენდმაც" უნდა წააგოს, მაგრამ პრემიერლიგაში იმიტომაა ეშხიანი და ჯიგრიანი ბურთაობა, რომ იქ ფავორიტები არ იციან, ბურთი მრგვალია და რა იცი რა მოხდება.

ჩემპიონი და ასოციაციის თასის მფლობელი „არსენალი" „ევერტონს" უმასპინძლებს. სავარაუდოდ, ლონდონელთა კარს მესამე გოლკიპერი, სტიუარტ ტეილორი დაიცავს და აი, რატომ — ტეილორს თურმე ერთი თამაში აკლია, რათა ჩემპიონის ოქროს მედალი მიიღოს, არსენ ვენგერიც გულუხვობას აპირებს.

სანდერლენდის „ლაითზე" მასპინძლებს ბრაზილიელი მცველი ემერსონ ტომე და არგენტინელი ნახევარმცველი ხულიო არკა უნდა დაუბრუნდეთ. ფორმაშია ბომბარდირი კევინ ფილიპსიც. მასპინძლები უეჭველი მოგებაზე ითამაშებენ, მაგრამ ეგებ თავი არც მოიკლან და მხოლოდ ფრით დაკმაყოფილდნენ. ჯონ გრეგორი კი „დერბის" ბოლო პრემიერლიგულ მატჩში დამოძღვრავს. „ცხვრებს" ოთხი ფეხბურთელი რომ არ ეყოლებათ, ფაქტია. იტალიელი ფაბრიციო რავანელი, ქართველი გიორგი ქინქლაძე, კრის რიგოტი და რიჩარდ მავენი „ასტონ ვილას" ყოფილმა მწვრთნელმა მოიძულა, არ მჭირდებითო.

ლივერპულის „ენფილდზე" კი რა მოხდება, ღმერთმა უწყის. „ლივერპული" უმოტივაციოა, ჯორჯ ბარლის „იფსვიჩი" კი დაქოქილი. ბოლო შანსი უნდა გამოვიყენოთო, ამბობენ იფსვიჩელები, მაგრამ ყველაფერი რომ მათ მარიფათზე არ იქნება დამოკიდებული, ესეც ფაქტია. ჯორჯ ბარლის ყველა ჯანზე ჰყავს ნიგერიელი ჯორჯ ფინიდის თამადობით.

ახლა ცოტაც მათზე, პრემიერლიგის ბომბარდირობაზე რომ იქაჩებიან. ჩელსელ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს და მანჩესტერელ რუუდ ვან ნისტელროის 23-23, ხოლო არსენალელ ტიერი ანრის და ნიუკასლელ ალან შირერს 22-22 ბურთი აქვთ შეგდებული. ოთხივე ძირითადში იქნება და ყველანაირად ეცდება, მონაგარს რაც შეიძლება მეტი შემატოს.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ: ინგლისს ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე ჩემპიონთა ლიგაში, „არსენალი", „ლივერპული", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ნიუკასლი" წარადგენენ, უეფას თასზე ლონდონის „ჩელსი", როგორც ასოციაციის თასის ფინალისტი, „ლიდს იუნაიტედი" და ქვეყნის ლიგის თასის მომგები „ბლექბერნ როვერსი". პრემიერლიგას ორი უკვე კარგა ხანია, დაემშვიდობა — „ლესტერი" და „დერბი", მესამის ვინაობას რომ დღეს შევიტყობთ, წყალი არ გაუვა



სტიუარტ ტეილორი ოქროსთვის ითამაშებს

# ესპანეთი

გიორგი დარჯანია

## ამას სიკვდილი, იმას ჩამოხრჩობა
### ტური, რომლის მერეც აღარაფერი შეიცვლება

| XXXVIII ტური |
|---|
| დღეს |
| სარაგოსა - ბარსელონა |
| სევილია - ვილიარეალი |
| რაიო ვალეკანო - სელტა |
| ოსასუნა - ალავესი |
| ტენერიფე - ბილბაო |
| სოსიედადი - ლას პალმასი |
| მალიორკა - ვალიადოლიდი |
| ვალენსია - ბეტისი |
| ესპანიოლი - მალაგა |

| საედიისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 37 | 20 | 12 | 5 | 49:27 | 72 |
| რეალი | 37 | 19 | 9 | 9 | 69:41 | 66 |
| დეპორტივო | 37 | 19 | 8 | 10 | 62:41 | 65 |
| ბარსელონა | 37 | 18 | 9 | 10 | 64:36 | 63 |
| სელტა | 37 | 16 | 12 | 9 | 64:45 | 60 |
| ბეტისი | 37 | 15 | 14 | 8 | 42:32 | 59 |
| ალავესი | 37 | 16 | 3 | 18 | 40:44 | 51 |
| სევილია | 37 | 13 | 11 | 13 | 50:40 | 50 |
| მალაგა | 37 | 12 | 14 | 11 | 42:43 | 50 |
| ბილბაო | 37 | 13 | 11 | 13 | 51:64 | 50 |
| ვალიადოლიდი | 37 | 13 | 9 | 15 | 44:56 | 48 |
| ესპანიოლი | 37 | 13 | 8 | 16 | 46:54 | 47 |
| სოსიედადი | 37 | 13 | 7 | 17 | 47:53 | 46 |
| რაიო ვალეკანო | 37 | 12 | 10 | 15 | 45:52 | 46 |
| ვილიარეალი | 37 | 11 | 10 | 16 | 46:54 | 43 |
| ოსასუნა | 37 | 10 | 12 | 15 | 36:48 | 42 |
| მალიორკა | 37 | 10 | 10 | 17 | 38:51 | 40 |
| ლას პალმასი | 37 | 9 | 12 | 16 | 39:49 | 39 |
| ტენერიფე | 37 | 10 | 8 | 19 | 30:55 | 38 |
| სარაგოსა | 37 | 9 | 9 | 19 | 34:53 | 36 |

**რაკი** ეს ანონსია და არა მიმოხილვა, არაფერი ვთქვათ „დეპორტივო" — „რეალის" გუშინდელ მატჩზე და პირდაპირ ცხრილს ჩავხედოთ, საიდანაც ირკვევა, რომ გასარკვევია:

*1. ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ბოლო (მეოთხე) გუნდის ვინაობა;*

*2. უეფას თასზე გამსვლელი ბოლო (მესამე) გუნდის ვინაობა;*

*3. ორიც გასავარდნი გუნდის ვინაობა*

ახლა მოვყვეთ:

ლიგაში გამსვლელი (სამი გუნდი უკვე ცნობილია) ან „ბარსელონა" იქნება ან „სელტა". საამისოდ კატალონიელებს უკვე გავარდნილ „სარაგოსასთან" ფრეც ჰყოფნით, თან მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ტორო აკუნია და სავო მილოშევიჩი არ ეყოლებათ. ხოლო თუ „ბარსა" დამარცხდა, „სელტამ" კი „რაიო ვალეკანოს" სძლია, ლიგაშიც ვიგოელები გავლენ, რადგან ურთიერთშეხვედრებით ჯობნიან „ბარსელონას".

მეშვიდე ადგილით უეფას თასზე მოხვედრა ერთბაშად ოთხ გუნდს შეუძლია, ოღონდ „სევილიას", „მალაგასა" და „ბილბაოს" ბედი „ოსასუნა" — „ალავესის" მატჩის შედეგზე ჰკიდია. გამარჯვების შემთხვევაში „ალავესი" უეფაზე გავა. აქვე აღვნიშნოთ, რომ „ოსასუნას" გავარდნის საფრთხე აღარ ემუქრება, რაკი ურთიერთშეხვედრებით ჯობნის „ლას პალმასს".

ქვევით კი შესაძლოა რამდენიმე ვარიანტი განვითარდეს:

*1. „ტენერიფე" იგებს, „მალიორკა" და „ლას პალმასი" ვერა და „ტენერიფე" პრიმერაში რჩება;*

*2. „მალიორკა" იგებს და „ლას პალმასი" და „ტენერიფე" ვარდებიან;*

*3. „მალიორკა" აგებს, „ლას პალმასი" ფრედ თამაშობს, „ტენერიფე" ვერ იგებს და ამ შემთხვევაში „ტენერიფე" და „მალიორკა" ვარდებიან, რადგან კანარელები ურთიერთშეხვედრებში ჯობნიან მალიორკელებს.*

# გერმანიის თასი
## ფინალი. ბერლინი. დღეს
## ლევერკუზენი VS შალკე
### სავარაუდო შემადგენლობები

ბუტი, პლასე-კე, ლუსიო, რამელო, ჟივკოვიჩი, შნაიდერი, ბალაკი, ზე რობერტო, ბაშთურქი, ნოივილი, ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

რეკი, ვალდოხი, ვან ჰოოგდალემი, ვან კერკჰოვენი, უდე კამპუისი, ვილმოტსი, ასამოა, მიოლერი, ბიომე, სანდი, მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი

## ორთავჯანი

**დღეს** გერმანიის თასის ფინალში „შალკე" „ლევერკუზენს" ხვდება. გელზენკირხენელებმა ეს ჯილდო შარშანაც მოიპოვეს და მანამდე კიდევ ორჯერ (1937 და 72 წლებში) ფლობდნენ, „ბაიერს" კი ასეთი ბედნიერება ჯერ არ ღირსებია.

რა და როგორ მოხდება, აბა, ვინ იტყვის, მაგრამ ორივე გუნდის მწვრთნელი რომ მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს, ეს გასაგებიც არის და ბუნებრივიც. ლევერკუზენელთა ქარიზმატული დამრიგებელი კლაუს ტოპმიოლერი ამბობს: „ვინც სათასო შეჯიბრებებს სერიოზულად არ ეკიდება, ის ფეხბურთის წინააღმდეგია, ამას გერმანიის თასის წლევანდელი გათამაშებაც ამტკიცებს, ხოლო ფინალი ისეთი რამ არის, იშვიათად რომ გელის და ამიტომ ყველა ფეხბურთელი გამარჯვებაზე ოცნებობს. „შალკე" ჩინებული გუნდია და შაბათს დიდებული მატჩის მომსწრენი გავხდებით. ორივე გუნდი შეუტევს, მაგრამ ჩვენ 3:2-ს მოვიგებთ".

ბაიერელებს, ვისაც მომავალ ოთხშაბათს მადრიდის „რეალთან" ლიგის ფინალიც ელით, უპირველესად, ცხადია, მიხაელ ბალაკის იმედი ექნებათ, რომელიც წლეულს საუცხოო სეზონს ატარებს: „ვერავინ დაიჯერებდა, რომ ჩემპიონები ვერ გავხდებოდით, მაგრამ ისევ მეორე ადგილზე დავრჩით — თქვა ბალაკმა — „ჰერტასთან" ბოლო მატჩის შემდეგ გასახდელში დიდხანს ვტიროდით, თუმცა რაღა გაეწყობა, ახლა ჩემპიონთა ლიგის ფინალს საუკეთესო განწყობით უნდა შევხვდეთ და ამისთვის გერმანიის თასის მოგება მორალურად დაგვეხმარება".



ემილ მპენზა ლევერკუზენელებმა დღესაც თუ წააქციეს, ეგებ უმუნდიალოდ დარჩეს

36 წლის ულფ კირსტენი კი, რომელიც გლაზგოური ფინალის შემდეგ კარიერის დასრულებას აპირებს, თავისიანებს ამხნევებს და ამბობს, იმედია, ისეთ სისულელეს აღარ ჩავიდენთ, როგორმაც ქვეყნის ჩემპიონის ტიტული დაგვაკარგვინაო.

ჰოლანდიელი მწვრთნელის, ჰუუბ სტევენსისთვის ეს ბოლო მატჩი იქნება „შალკეში", ზაფხულიდან ის ბერლინის „ჰერტას" ჩაუდგება სათავეში, მაგრამ მანამდე- „ლოგიკურად ფავორიტი „ლევერკუზენია", თუმცა ნურვის დაავიწყდება, რომ თასის მფლობელები ჩვენ ვართ და არაფრის დათმობას არ ვაპირებთ" — იმუქრება სტევენსი.

გელზენკირხენელთა ერთადერთი პრობლემა ბელგიელი შემტევის, ემილ მპენზას ბარძაყის ტრავმაა. თუმცა მპენზა მინდორზე მაინც გავა და ვინძლო თავი ხიფათში ჩაიგდოს, აკი ნაკრების მწვრთნელმა რობერ ვასეჟმაც შეუთვალა, ეგ ტრავმა არ გაიმიზეზო და მსოფლიოს ჩემპიონატი განზე არ დაგრჩესო.

**სოლომონ გულისაშვილი**

## Copa Toyota Libertadores '2002

**მეოთხედფინალი. 1 მატჩი**

**პენიაროლი (ურუგვაი) ⅹ0 სან კაეტანო (ბრაზილია)**

ⅹ0 ლიმა (25)
პენიაროლი: ბერნბია, ს. გარსია, როსტრუნდო, ბარბოსა, რ. ლიმა, გალეანო (კაზანოვა 69), ბენგოეჩეა (დე სოუზა 76), სედრესი, კანობიო, ბუენო (მ. გარსია 62), დ. ხიმენესი
სან კაეტანო: ლუსიო, როჯერ, დანიელი, დინინიო, რ. კარდოზო, სესა, სერჯინიო, აილტონი (სიმიაო 73), რობერტი (ჟან კარლოსი 46), ბრანდაო (მარლონი 86), ადაოზინიო
მსაჯი: ხორაციო ელიზონდო (არგენტინა)
60 000 მაყურებელი

## საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი პირველი წრე, სამ მოგებამდე



დინამო — სტუ. არჩილ ქლენტი დინამოს არაერთი ლამაზი გარღვევით შეეწია

# სამართალმა პური გატეხა

## ორიანი თუ სამიანი, ხოშტარიას ხუთიანი

| 10 მაისი. სპორტის სასახლე | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| სტუ | 0 |

**დინამო 95:91 სტუ**

ძირითადი დრო 83:83
21:14, 21:21, 19:23, 22:25, 12:8

დინამო: ქლენტი (21), ჩხეიძე (14), ჩუბინიძე (12), მუჯე (10), ჯაფარიძე (8); ტურაშვილი (11), ოგანესიანი (10), კორძაძე (6), წოწელია (2), მაისურაძე (1)
სტუ: სულაძე, ხოშტარია (28), აბრამიძე (12), ბაბიაშვილი (6), შენგელია (17); მინაშვილი (17), ლოსაბერიძე (11), დავითულიანი (2), ოთიურიძე (1)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერუკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

**ირაკლი ფირაშვილი**

ვერ გეტყვით, როგორ გაგრძელდება, მაგრამ „დინამო" — სტუ-ს ნახევარფინალური სერია, „ბასკო" — „აზოტის" მსგავსად, დაძაბულად, ოვერტაიმიანად დაიწყო. პირველი გამარჯვება სალათას ძილის შემდეგ უცებ გამოფხიზლებულ „დინამოს" ერგო. იქნებ სტუ-საც მოუგო, ოვერტაიმიან თამაშში ხომ არაფერია გასაკვირი, მაგრამ „დინამოს" გამარჯვებამ სამართალი შშიერი არ დატოვა. საქართველოს პირველი ჩემპიონი და ახლაც პირველობის მძლომი „დინამო" თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა მისხალ სათამაშო და საანგარიშო უპირატესობას. რაც შეეხება სტუდენტ ირაკლი ხოშტარიას მეოთხე მეოთხედის ბოლოს ჩაგდებულ და მატჩის ოვერტაიმში გადამყვან სამქულიანს, მატჩის დამსწრე ზოგიერთი კომპეტენტური პირის აზრით, სროლა ორიანი იყო და არა სამიანი.

ხოშტარიამ რიგიანად ჩაატარა მატჩი, მაგრამ ურიგოდ კი დაიწყო. სანამ ირაკლი „გახურდებოდა", მოედანზე მისი დინამოელი ოპონენტი არჩილ ქლენტი ბატონობდა. მატჩის დებიუტში ამ ორი ფეხმარდი ბიჭის დუელის ნაცვლად ვიხილეთ მატჩის მონაწილეთა შორის უმსუბუქესის — ქლენტის და უმძიმესის — სტუელი კახა შენგელიას ირიბი პაექრობა. მაშინ, როცა ქლენტი თავისიანებს ლადი გარღვევებით პირველ ქულებს უხვეჭდა, სტუდენტები არაორგანიზებულად უტევდნენ და ხშირად კარგავდნენ ბურთებს, ხოლო რომლებსაც არ კარგავდნენ, შენგელია აგდებდა, ვინაიდან მის თანაგუნდელებს თამაშის რიტმში ჩასაჯდომად დრო დასჭირდათ, ხოლო ქლენტმა სოლიდური დახმარება მიიღო რეზო ჩხეიძისგან. ლიდერობა „დინამოს" ერგო. პირველი ჩემპიონი საწყის მეოთხედში 20:10 დაწინაურდა, ხოლო დიდ შესვენებაზე შვიდქულიანი უპირატესობით წავიდა.

მეორე ტაიმი სტუ-მ უკეთ დაიწყო. სტუდენტებმა მეტოქეს იოლად მოახვიეს თავს სწრაფი თამაში, ხოშტარიას და მინაშვილის მეცადინეობით პირველ წუთნახევარში შვიდი უპასუხო ქულა ჩაუგდეს და ანგარიშიც 0:0-ის შემდეგ პირველად გათანაბრდა — 42:42. „დინამო" არ დაიბნა და არც გადამრბენ ბურთაობაში ჩამორჩა ალგზნებულ მეტოქეს. პირიქით, წინაც გავიდა და მხოლოდ ბოლო ათწუთეულის დასაწყისში აბრამიძის ორიანის შემდეგ დაკარგა უპირატესობა, თუმცა მალევე დაიბრუნა ლიდერობა და ხოშტარიას მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე ორი წამით ადრე რომ არ ეყოჩაღა, ძირითად დროშივე მოიპოვებდა პირველ გამარჯვებას.

ბოლო მეოთხედის დასრულებამდე ნახევარ წუთით ადრე ქლენტმა ორი საჯარიმოდან ერთი ააცილა, ანგარიში 83:80 გახადა და სტუ-ს ხაზსი დაუტოვა მოსაჭიდებლად. სტუდენტებს გაუჭირდათ შეტევის ორგანიზება, ბურთიც დაკარგეს და ძვირფასი წამებიც, მაგრამ მაშინ როგორღაც გადარჩნენ. სირენამდე ექვსი წამით ადრე „დინამოს" პირითი ხაზიდან მათ შემოიტანეს ბურთი; რომელიღაც თანაგუნდელმა ბურთი ხოშტარიას მიაჩეჩა; ორ დინამოელს შორის გახლართულმა და ნახევრად წაქცეულმა ირაკლიმ სროლაც მოახერხა და ჩაგდებაც.

ეს იყო და ეს. ოვერტაიმს აკლდა საბოლოომეოთხედო დრამატიზმი და დაცვაში ყურადღება. „დინამომ" აქ ექვსი ქულის მომხვეჭ ქლენტის წყალობით დამატებით ხუთწუთეულში სტუ-ზე მეტი ქულა მოინაგრა და გაიმარჯვა კიდეც.



## პლეი ოფი მეორე წრე, ოთხ მოგებამდე

# შარლოტში ისეთი სიჩუმეა, კრაზანის გაფრენის ხმა ისმის

9 მაისი

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 2 |
| შარლოტი | 1 |

**შარლოტი 115:97 ნიუ ჯერსი**

შარლოტი: დევისი (26 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა, 7 ჩაჭრა), ვესლი (22), მაგლუა (16), კემპბელი (14), ლინში (12 ქულა, 12 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (16), კიდი (13), მარტინი (13), ვან ჰორნი (12)

საკონტრაქტო ვალდებულება-იძულებანი და ამ შემთხვევაში თითქმის ზედმეტად ქცეული ფორმალობები რომ არ ბოჭავდეს, „ჰორნეთსი" შუა პლეი ოფშივე გადაბარგდებოდა ახალ ბინაში, ანუ ახალ ორლეანში და სეზონის ჩამთავრებას აღარ მოუცდიდა. სკაგამოცვლილ „კრაზანებს" სადღეისოდ დედამდინარე მისისიპისპირა ორლეანში უფრო მეტი გულშემატკივრები ჰყავთ, ვიდრე შარლოტში, სადაც თხუთმეტი წელი უბურთავიათ და აქაურთათვის თავიც შეუყვარებიათ. სხვათა შორის, „შარლოტი" ნბა-ს ერთადერთი გუნდია, რომელსაც თავისი ქომაგები ამგვარად დაუფასებია: გულშემატკივრები მეექვსე მოთამაშედ ულიარებია და თან მათ პატივსაცემად №6 მუდმივ, ხელშეუხებელ ნომრად უქცევია კლუბში.

მაგრამ დრო და მასთან ერთად სიმპათიებიც იცვლება, ქალაქთან იძულებით განშორებული „კრაზანების" მიმართ იქაურთა სიყვარულიც თვალსა და ხელს შუა გაიცრიცა. უწინ პირთამდე გადაჭედილ „შარლოტ კოლიზეუმში" ახლა ალაგ-ალაგლა ჩანს მაყურებელთა კანტიკუნტი ლაქები. გრიალს შეჩვეული „კრაზანები" შინაურ მატჩებს შემზარავ სიჩუმეში ატარებენ.

და მაინც „კრაზანები" ბოლომდე იბრძვიან, ბოლო შარლოტული სეზონის რიხით ჩამთავრებას და ვალმოხდილ გადაბარგებას აპირებენ. „ჰორნეთსი" არსებობაში მეოთხედ გავიდა პლეი ოფის მეორე წრეში. ამაზე შორს არასდროს გაფრენილან „კრაზანები" და „ნიუ ჯერსისთან" მათ პაექრობას ისეთი პირი უჩანს, ვერც ამჯერად გადაფრინდებიან აღმოსავლეთის ფინალში, მაგრამ მათ ხომ დანებება არ სჩვევიათ. აგერ, უკოჩალეს აღმოსავლელებს ერთი გამარჯვება აართვეს და სერიაში 0:2 ჩამორჩენილები ცოტა წამოეწივნენ მეტოქეს. ისინი მხოლოდ შექების ღირსნი არიან, ულიდეროდ, უჯამალმაშბურნოდ თამაშობენ და არავის ტოლს არ უდებენ, თუმცა რატომ ულიდეროდ? ბაირონ დევისი შესანიშნავი წინამძღოლია. ლიგის უკაშკაშეს გამთამაშებელ ჯეისონ კიდთან დუელში გუშინწინ მას დარჩა გამარჯვება. ამჯერად დევისმა თანაგუნდელთაგან მეტი მხარდაჭერა მიიღო, „კრაზანებმა" „ნიუ ჯერსი" პირველად დანესტრეს და ამაზე გაჩერებას არ აპირებენ.

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| საკრამენტო | 2 |
| დალასი | 1 |

**დალასი 119:125 საკრამენტო**

დალასი: ფინლი (37), ლაფრენცი (24 ქულა, 13 მოხსნა), ნოვიცკი (19), ნეში (15 ქულა, 15 პასი)
საკრამენტო: ვებერი (31 ქულა, 16 მოხსნა), ბიბი (29), კრისტი (20), დივაცი (19 ქულა, 13 მოხსნა)

ნბა-ს ორი ყველაზე მარჯვედ შემტევი გუნდის მესამე შეტაკებამ წინა ორზე უხვად გადაასხა ქულების თქეში სწორედ ამის მნდომ ქომაგებს. 9 მაისს დალასური დარბაზის ორივე კალათში 244 ქულა ჩავარდა. მასპინძელმა „რქიანებმა" მეტოქეს 119 ქულა უთავაზეს, მაგრამ მათ მაყურებელ 20 ათას დალასელს უხვქულობას გამარჯვება ერჩივნა.

„საკრამენტომ" რევანში აიღო შინაური მარცხისთვის და სერიაში მეორედ დაწინაურდა. სტუმრებს შეტევაში მისხალი პრობლემაც არ შექმნიათ მიუხედავად იმისა, რომ მთელი პირველი ტაიმი კოჭნატკენმა ირბინა, ხოლო მეორეში ეს საერთოდ ვერ მოახერხა მათმა ოუგოსლაველმა სუპერმჭქულე პრედრაგ სტოიაკოვიჩმა. საბედნიეროდ, „მეფეებს" ჰეჯას გარეშეც ბლომად აღმოაჩნდათ ბურთის ჩამგდები. სერბის გამოკლებით ოთხივე დანარჩენმა დამწყებხუთეულელმა ძალუმად გაშალა ხელი და „მეფე" მეტოქის თავზემოთ ალაზევა. თვით დაცვის სპეციალისტმა და ცუდი შემტევის სახელის მქონე დუგ კრისტიმაც განგმირა „რქიანი" მასპინძლები. მართალია, კრისტი ჩვეულ საქმეს მოსწყდა, მაიკლ ფინლის ყურადღება ვეღარ მიაქცია და დალასელმაც 37 ქულა დააჯახა მის გუნდს, მაგრამ კრისტიმ ბოლო მეოთხედში 14 ქულის ჩაგდებით გამოისყიდა ცოდვა.


REUTERS

დალასელი რიფ ლაფრენცი (თეთრ ფორმაში) და საკრამენტოელი კრის ვებერი ერთმანეთს გადაეხლართნენ

# დანკანი აიკიდეს, კიდი დაიკიდეს

**ბევრი** იბორგეს ჯეისონ კიდის მხარდამჭერებმა თუ კიდისაწყევებმა, დასტა-დასტა საბუთებიც გადმოალაგეს, აი, რატომ უნდა გახდეს სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ უცილობლად ჯეისონ კიდიო, მაგრამ მათი დასაბუთებები მხოლოდ ყაყანად დარჩა. უძვირფასესის წოდება სამართლიანად ერგო „სან ანტონიო სპერზის" თავდამსხმელ-ცენტრს ტიმ დანკანს და არა „ნიუ ჯერსი ნეთსის" სუპერგამთამაშებელ ჯეისონ კიდს.

დანკანის უძვირფასესად დასახელების ცნობამ ჯერ კიდევ ორშაბათს გამოჟონა ნბა-დან, თუმცა გამოკითხვის შედეგები მხოლოდ ხუთშაბათს გახდა ცნობილი, როცა სანანტონიოელი ოფიციალურად და პომპეზურ ღონისძიებაზე დაასახელეს სეზონის უკოჩალეს მოთამაშედ. გამოკითხვაში მონაწილე 126 ჟურნალისტიდან 57-მა დანკანს მისცა პირველი ხმა (პირველი ხმა ათ ქულად ფასობს). ტიმს ჯამში 954 ქულა დაუგროვდა და რაღაც 57 ქულით გაასწრო 47 პირველხმიან კიდს. მესამე ადგილი შაკილ ონილს ერგო 15 პირველხმით და 696 ქულით. შემდეგ მოდიან ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო, 7 პირველი ხმა, 390 ქულა), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი, 1, 98), გერი პეიტონი (სიეტლი, 1, 54), კრის ვებერი (საკრამენტო 0, 37), დირკ ნოვიცკი (დალასი 0, 31), ალენ აივერსონი (ფილადელფია 0, 29), ბენ უოლესი (დეტროიტი 0, 24), პოლ პირსი (ბოსტონი 0, 22), კევინ გარნეტი (მინესოტა 0, 17), მაიკლ ჯორდანი (ვაშინგტონი 0, 16), სტივ ნეში (დალასი 0, 5), ელტონ ბრენდი (კლიპერსი 0, 1), მაიკლ ბიბი (საკრამენტო 0, 1) და პრედრაგ სტოიაკოვიჩი (საკრამენტო 0, 1).

ტიმ დანკანზე ალალია ეს ძვირფასი ტიტული. მაშინ, როცა რეგულარული ჩემპიონატი ჩვეულად მაღალ დონეზე ვერ ჩაატარეს შაკილ ონილმა და ალენ აივერსონმა, სწორედ რომ ტიმი იმსახურებდა პირველობას, თუნდაც ხუთწლიანი სტაბილურობის გამო. დანკანი ხუთი წელია, ნბა-ს მოყვარეების რიგშია და ხუთივე სეზონში შევიდა ნბა-ს პირველ სიმბოლურ გუნდში, ასევე ხუთჯერვე შევიდა უძვირფასესთა ზედა ხუთეულში, სადაც მარშან მეორე იყო ალენ აივერსონის შემდეგ. 1999 წელს კი, როცა მან „სან ანტონიო" ჩემპიონა, სულაც პირველობას იმსახურებდა, მაგრამ რატომღაც (ალბათ ახალგაზრდობის გამო) მხოლოდ მესამეობა არგუნეს.

სტაბილურობის განსახიერება დანკანს ეს სეზონი წინა ოთხზე უკეთესი გამოუვიდა. მატჩში საშუალოდ მოხვეჭილი 25,5 ქულით (მეხუთე ადგილი ნბა-ს ბომბარდირთა სიაში), 12,7 მოხსნით (მეორე ადგილი) და 2,5 დაფარებით (მესამე ადგილი) იგი გახდა ნბა-ს ისტორიაში მხოლოდ მეექვსე მოთამაშე, რომელიც ამ სამივე კატეგორიაში მოხვდა ხუთ რჩეულს შორის.

სტატისტიკაზე საუბარი დანკანს კი განადიდებს, მაგრამ ჩვენ შორს წაგვიყვანს, ამიტომ უბრალოდ ვთქვათ, რომ ტიმი ღირსეული უძვირფასესია. იგი მთელი სეზონის განმავლობაში თითქმის მარტო მიათრევდა „სან ანტონიოს" და ახლა, კარგად ჩატარებული რეგულარული სეზონის შემდეგ პლეი ოფში ძლევამოსილ ჩემპიონ „ლეიკერსთან" და შაკილ ონილთან ღირსეულად აბრძოლებს თავისიანებს.

**ირაკლი ფირცხალაშვილი**


AP სან ანტონიოდან

ტიმ დანკანს ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა გადაუცა კარიერის უდიდესი პრიზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა. (ჩრდილოეთი). XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 001 | ლიუბეკი-ქემნიცი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,1 |
| 17.30 | 002 | აუე-ბრაუნშვაიგი | 3,0 | 3,0 | 2,0 | 1,5 | 1,2 | 1,2 |
| 17.30 | 003 | ვატენშაიდი-კილი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,1 |
| 17.30 | 004 | ლევერკუზენი (მ)-მიუნსტერი | 2,0 | 3,2 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 |
| 17.30 | 005 | ესენი-ვერდერი (მ) | 1,45 | 3,6 | 5,6 | 1 | 1,1 | 2,15 |
| 17.30 | 006 | ფურთი-პადერბორნი | 1,9 | 3,4 | 2,1 | 1,2 | 1 | 1,2 |
| 17.30 | 007 | მაგდებურგი-ფორტუნა | 1,05 | 4,0 | 7,0 | 1 | 1 | 2,5 |
| 17.30 | 008 | ოსნაბრიუკი-დრეზდენი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| 17.30 | 009 | ურდინგენი-დიუსელდორფი | 1,5 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,1 | 2,05 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა. (სამხრეთი). XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 014 | ეინტრახტი-ბაიერნი (მ) | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 17.30 | 015 | მანჰაიმი-შტუტგარტი (მ) | 1,55 | 3,6 | 4,0 | 1,05 | 1,1 | 1,85 |
| 17.30 | 016 | ელვერსბერგი-აალენი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 17.30 | 017 | ფულდა-ანსბახი | 2,3 | 3,2 | 2,5 | 1,3 | 1,1 | 1,4 |
| 17.30 | 018 | ოფენბახი-ბურგჰაუზენი | 2,2 | 3,0 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 17.30 | 019 | ზიგენი-ვეჰენი | 3,0 | 3,0 | 2,0 | 1,5 | 1,2 | 1,2 |
| 17.30 | 020 | რეგენსბურგი-დარმშტადტი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 17.30 | 021 | კიკერსი-კაიზერსლაუტერნი (მ) | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 17.30 | 022 | ჰოფენჰაიმი-ტრიერი | 3,2 | 3,2 | 1,8 | 1,6 | 1,1 | 1,1 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 025 | არსენალი-ევერტონი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 19.00 | 026 | ბლეკბერნი-ფულემი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 19.00 | 027 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 19.00 | 028 | ლიდსი-მიდლსბრო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| 19.00 | 029 | ლესტერი-ტოტენჰემი | 3,0 | 3,2 | 1,9 | 1,5 | 1,15 | 1,15 |
| 19.00 | 030 | ლივერპული-იფსვიჩი | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 19.00 | 031 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 19.00 | 032 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 19.00 | 033 | სანდერლენდი-დერბი | 1,5 | 2,8 | 7,0 | 1 | 1,2 | 2 |
| 19.00 | 034 | ვესტ ჰემი-ბოლტონი | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,1 | 2,3 |
| | | **ინგლისი. 1-ლი დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 19.30 | 035 | ნორვიჩი-ბირმინგემი | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **ინგლისი. მე-2 დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 036 | ბრენტფორდი-სტოკი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| | | **იტალია. სერია „ბ". XXXV ტური** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 037 | ანკონა-ბარი | 1,75 | 2,5 | 5,0 | 1 | 1,2 | 1,65 |
| 18.00 | 038 | კომო-ემპოლი | 2,4 | 1,6 | 5,0 | 1 | 1,6 | 1,2 |
| 18.00 | 039 | კოზენცა-ნაპოლი | 2,7 | 3,0 | 2,2 | 1,4 | 1,2 | 1,25 |
| 18.00 | 040 | ჯენოა-მოდენა | 3,0 | 1,9 | 3,0 | 1,15 | 1,5 | 1,15 |
| 18.00 | 041 | მესინა-ჩიტადელა | 1,6 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 18.00 | 042 | პისტოიეზე-კალიარი | 2,4 | 2,9 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,35 |
| 18.00 | 043 | სალერნიტანა-რეჯინა | 3,1 | 2,8 | 2,1 | 1,45 | 1,2 | 1,1 |
| 18.00 | 044 | სიენა-კროტონე | 1,05 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,65 |
| 18.00 | 045 | ტერნანა-სამპდორია | 2,0 | 2,0 | 4,0 | 1 | 1,3 | 1,3 |
| 18.00 | 046 | ვიჩენცა-პალერმო | 1,75 | 2,5 | 6,0 | 1 | 1,3 | 1,75 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 24.00 | 048 | სარაგოსა-ბარსელონა | 5,6 | 2,8 | 1,6 | 1,85 | 1,2 | 1 |
| 24.00 | 049 | სევილია-ვილიარეალი | 1,4 | 3,5 | 6,0 | 2,1 | 2,8 | 2,2 |
| 24.00 | 050 | რაიო-სელტა | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 24.00 | 051 | ოსასუნა-ალავესი | 2,8 | 3,0 | 1,9 | 1,4 | 1,1 | 1,15 |
| 24.00 | 052 | ტენერიფე-ბილბაო | 1,7 | 3,4 | 3,4 | 1,1 | 1,1 | 1,7 |
| 24.00 | 053 | სოსიედადი-ლას პალმასი | 2,1 | 3,4 | 2,2 | 1,2 | 1,05 | 1,3 |
| 24.00 | 054 | მალიორკა-ვალიადოლიდი | 1,3 | 4,0 | 5,0 | 1 | 1 | 2,2 |
| 24.00 | 055 | ვალენსია-ბეტისი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 24.00 | 056 | ესპანიოლი-მალაგა | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXX ტური** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 21.30 | 057 | სპორტინგი-ლევანტე | 2,0 | 3,0 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 |
| 21.30 | 058 | კორდობა-ხაენი | 2,0 | 3,0 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 |
| 21.30 | 059 | ხიმნასტიკი-ხერესი | 2,5 | 2,9 | 1,8 | 1,3 | 1 | 1,1 |
| 22.00 | 063 | უელვა-სალამანკა | 1,4 | 3,1 | 5,3 | 1 | 1,1 | 1,95 |
| 24.00 | 060 | ატლეტიკო-ექსტრემადურა | 1,6 | 3,1 | 3,4 | 1,05 | 1,05 | 1,6 |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 061 | ალბასეტე-ეიბარი | 1,8 | 2,9 | 4,4 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 21.00 | 064 | ნუმანსია-ფეროლი | 1,9 | 2,0 | 3,6 | 1 | 1,2 | 1,25 |
| 21.00 | 065 | პოლი ეხიდო-ოურენსე | 2,0 | 2,8 | 2,4 | 1,15 | 1,05 | 1,25 |
| 21.00 | 066 | ბადახოსი-ლეგანესი | 2,0 | 2,0 | 3,4 | 1 | 1,25 | 1,25 |
| 22.00 | 062 | ელჩე-ბურგოსი | 1,85 | 2,9 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 23.00 | 067 | მურსია-რასინგი | 2,0 | 2,8 | 2,4 | 1,15 | 1,05 | 1,25 |
| | | **ჰოლანდია. პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 072 | ვენლო-როზენდალი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| 22.30 | 073 | კამბური-დენ ბოსხი | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 074 | ვოლენდამი-დენ ჰააგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 075 | სპარტა-ექსელსიორი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. პლეი-ოფი.** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 180 | ჰეუსდენი-მონსი | 2,1 | 3,0 | 3,1 | 1,2 | 1,2 | 1,5 |
| 19.00 | 181 | სერკლი-ინგელმუნსტერი | 2,3 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 091 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 5,3 | 3,8 | 1,5 | 2,2 | 1,15 | 1,05 |
| 19.00 | 092 | აბერდინი-სელტიკი | 4,0 | 3,4 | 1,65 | 1,8 | 1,15 | 1,1 |
| 19.00 | 093 | ჰართსი-ლივინგსტონი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 19.00 | 094 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 19.00 | 095 | მოზერველი-დანდი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 19.00 | 096 | სტ. ჯონსტონი-ჰიბერნიანი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| | | **დანია. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 114 | ესბიერგი-მიდტიულანდი | 3,2 | 3,3 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 18.00 | 116 | ოდენსე-ოლბორგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 18.00 | 117 | კოპენჰაგენი-ბრონდბიუ | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 18.00 | 118 | სილკებორგი-ვაილე | 1,8 | 3,2 | 3,6 | 1,1 | 1,1 | 1,65 |
| 18.00 | 119 | ვიბორგი-აკადემისკი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| | | **რუსეთი. XII ტური** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 16.00 | 128 | ლოკომოტივი-როტორი | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,55 |
| 16.00 | 129 | შინიკი-ტორპედო | 2,2 | 2,9 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| 16.00 | 130 | კრილია-ანჟი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 16.00 | 131 | სპარტაკი-სოკოლი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,05 | 3,55 |
| 16.00 | 132 | ალანია-დინამო | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 16.00 | 133 | სატურნი-ზილი | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,15 | 2,4 |
| | | **შვედეთი. VII ტური** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 136 | სუნდსვალი-ორგრიტე | 3,3 | 3,0 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |
| 20.00 | 137 | ჰალმსტადი-კალმარი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 20.00 | 138 | ლანდსკრონა-იოტებორგი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 139 | აიკ-მალმიო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 22.00 | 140 | ელფსბორგი-ჰელსინგბორგი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 22.00 | 141 | იორებრო-ნორჩოპინგი | 1,75 | 3,3 | 3,8 | 1,1 | 1,1 | 1,75 |
| | | **ნორვეგია. VII ტური** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 148 | ბოდო გლიმტი-ვიკინგი | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| 22.00 | 149 | ვოლერენგა-ლინი | 2,1 | 3,4 | 2,9 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 150 | ბრინი-მოლდე | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,25 |
| 21.00 | 151 | მოსი-როზენბორგი | 5,0 | 3,6 | 1,55 | 2,05 | 1,15 | 1,05 |
| 21.00 | 152 | სოგნდალი-ბრანი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 21.00 | 153 | სტაბეკი-ოდ გრენლანდი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 154 | სტარტი-ლილესტრიომი | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| | | **ფინეთი. IV ტური** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 161 | ალიანსი-მიუპა | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 20.30 | 162 | ჰამეენლინა-ჰაკა | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 20.30 | 163 | კუოპიო-იარო | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 20.30 | 164 | ლაჰტი-ჰჯკ | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |
| 20.30 | 165 | ტამპერე-ჯაზი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 20.30 | 166 | ვაასა-ინტერი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| | | **გერმანია. თასი. ფინალი (ბერლინში)** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 22.45 | 167 | ლევერკუზენი-შალკე | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| | | **საფრანგეთი. თასი. ფინალი (პარიზში).** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 168 | ბასტია-ლორიანი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| | | **პორტუგალია. თასი. ფინალი.** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 170 | სპორტინგი-ლეიშოესი | 1,15 | 5,6 | 10,0 | 1 | 1 | 3,55 |
| | | **ჰოლანდია. თასი. ფინალი (როტერდამში).** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 171 | უტრეხტი-აიაქსი | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,9 | 1,2 | 1,1 |
| | | **ავსტრია. თასი. ფინალი (გრაცში).** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 20.25 | 176 | შტურმი-გრაცერი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| | | **შვეიცარია. თასი. ფინალი (ბაზელში). 12 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 177 | ბაზელი-გრასჰოპერი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **რუსეთი. თასი. ფინალი (მოსკოვში). 12 მაისი** | | | | | | |
| 17.00 | 179 | ცსკა-ზენიტი | 1,75 | 3,1 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **ამხანაგური მატჩები.** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 17.00 | 414 | სენეგალი-გვინეა | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 17.00 | 415 | ს.არაბეთი-მადაგასკარი | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 19.30 | 416 | საბერძნეთი-რუმინეთი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 417 | აშშ-ურუგვაი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 22.00 | 418 | მექსიკა-კოლუმბია | 1,9 | 3,1 | 3,4 | 1,15 | 1,2 | 1,6 |
| | | **კალათბურთი. ნბა პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 00.30 | 508 | დალასი-საკრამენტო | 1,6 | 12,0 | 1,8 | | | |
| | | **ჰოკეი. ნჰლ პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 24.00 | 519 | დეტროიტი-სენტ ლუისი | 1,55 | 4,0 | 4,0 | | | |
| 24.00 | 520 | კოლორადო-სან ხოსე | 1,9 | 3,6 | 2,9 | | | |
| | | **ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 11 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 532 | სლოვაკეთი-რუსეთი | 2,1 | 4,0 | 2,4 | | | |

**ფორმულა 1.VI რბოლა (ავსტრია. ა1-რინგი)**

**12 მაისი**

**15.00 851 რბოლის გამარჯვებული**

| | |
|---|---|
| მ. შუმახერი | 1,5 |
| ბარიკელო | 5,0 |
| მონტოია | 6,0 |
| რ. შუმახერი | 7,0 |
| კულთარდი | 15,0 |
| რაიკონენი | 20,0 |
| ტრული | 50,0 |
| ბატონი | 50,0 |

**852 უსწრაფესი წრე**

| | |
|---|---|
| მ. შუმახერი | 2,0 |
| ბარიკელო | 3,0 |
| მონტოია | 4,0 |
| რ. შუმახერი | 5,0 |
| კულთარდი | 25,0 |
| რაიკონენი | 25,0 |
| ტრული | 50,0 |
| ბატონი | 50,0 |

**შემდეგ ეტაპზე გასვლა, თასი ალება.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **11 მაისი** | | |
| 17.30 | 807 | ბრენტფორდი-სტოკი | 1,7 | 1,7 |
| 22.45 | 808 | ლევერკუზენი-შალკე | 1,5 | 2,0 |
| 23.45 | 809 | ბასტია-ლორიანი | 1,45 | 2,1 |
| | | **12 მაისი** | | |
| 19.00 | 810 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1,5 | 2,0 |
| 19.30 | 811 | ნორვიჩი-ბირმინგემი | 2,0 | 1,5 |
| 20.25 | 812 | შტურმი-გრაცერი | 1,6 | 1,8 |
| 21.00 | 813 | უტრეხტი-აიაქსი | 3,5 | 1,15 |


# ჯილდო

## ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»

საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58




საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე: 34-41-84, 34-79-81, 92-38-93

| 1-ლი ტაიმი/მირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 11 მაისი | | | | | | | | | |
| 22.45 | 706 | ლევერკუზენი-შალკე | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 19.00 | 707 | ბლექბერნი-ფულემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 708 | ჩელსი-ასტონ ვილა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,1 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 19.00 | 709 | ლიდსი-მიდლსბრო | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,0 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |

| 1-ლი ტაიმი/მირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 710 | ლესტერი-ტოტენჰემი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 19.00 | 711 | საუთჰემპტონი-ნიუკას. | 3,8 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 712 | სანდერლენდი-დერბი. | 1,9 | 8,0 | 25,0 | 3,0 | 4,0 | 12,0 | 20,0 | 8,0 | 12,0 |
| 19.00 | 713 | ვესტ ჰემი-ბოლტონი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 10,0 |
| 24.00 | 714 | ვალენსია-ბეტისი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |


სარბიელი

სპორტული ლატარეა

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო
## თბილისი, ხუდადოვის ქ. №4

# ქერა ბოსებმა ესპანელებს სისხლი უმღვრიეს

## იყოს ძველი დრო, გაძგერებდით გიჟმაჟ რაპირას


REUTERS

კარლოს მოიას ჩოგბურთის მამა-ბიძებისგან ბევრი წყენა ახსოვს

რომი. თიხნარი
საპრიზო 2,58 მილიონი $

**მესამე წრე**

**ტომი ჰაასი (7, გერმანია) — სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი) 6:3, 6:4; ანდრე აგასი (9, აშშ) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 7:6 (7:4), 7:5; ენდი როდიკი (13, აშშ) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 3:6, 6:4, 6:2; ირჟი ნოვაკი (14, ჩეხეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:1; კარლოს მოია (ესპანეთი) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:2, 6:1; ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 4:6, 6:3, 6:3; ტომი რობრედო (ესპანეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:2, 6:4; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:3**

სამესამწრეო მატჩებისთვის რომში როგორც იქნა გადაიკარა და „ფორო იტალიკოს" გამომშრალ-აჩქარებულ თიხნარზეც ეშხიანი ბურთაობა გაჩაღდა. ტურნირს შერჩენილი ხუთი განთესილიდან მეოთხედფინალის პარმაღს აქეთ კიდევ ერთი — ფრანგი სებასტიან გროჟანი (10) გააშეშეს. გროჟანმა ვერაფერი გააწყო იქ მე-7 ჩოგნის მქნეველ ტომი ჰაასთან, ვინაც მასზე ძლიერი ექვსი კაცის გავარდნის შემდეგ რომში უზეპურეს მეჩოგნედ დაშთა.

„ეტყობა, ნალბანდიანთან გუშინდელ შეხვედრაში ძალიან დაიღალა — იოლი გამარჯვების ახსნას გერმანელი ასე ცდილობდა — ხუმრობა ხომ არაა, სამი სეტი წონასწორად იბურთაო და ერთ მომენტში სამი მატჩბურთის გადარჩენაც მოგიხდეს. ასე უილაჯო დღეს ალბათ ამიტომაც იყო — ამბობდა იგი — კორტიც ისე გამოშრა, რომ ბურთს მაგარი საფარივით ასწრაფებდა, ვერ დავმალავ, ესეც კაცურად დამეხმარა".

მის ამ სიტყვებს ფრანგი სევდიანი თავისქნევით ადასტურებდა. თან ფარულად იმის გამოც ემადლიერებოდა, ჰაასმა რევანშზე საუბრით რომ არ წაილო ტვინი — ეგებ ვინმეს მიავიწყდა და, შარშან პარიზულ „მასტერსტურნირზე" ესენი ერთმანეთს სულაც ნახევარფინალში გადაეყარნენ და მაშინ უმჯობესად სწორედ გროჟანმა იბურთავა! მოკლედ, ჰაასი ნელ-ნელა ფორმაში შედის და სამეოთხედფინალოდ, სადაც კარლოს მოიას უნდა შეეხალოს, თავდაჯერებისა და სიჩაუქის ბარაქიან მარაგს მოიძევს.

მეორე სიტყვა ჩვენგან ანდრე აგასის ეკუთვნის. 13-გზის მემასტერსტიტულემ არგენტინელ აგუსტინ კალერისთან დავას წინა დღეს 43 წუთში ძლეულ კრატოხვილთან შედარებით, ჰაი-ჰაი, რომ გაცილებით მეტი დრო ანდომა, მაგრამ მთავარი აქ მაინც სხვა იყო. სახელდობრ კი ისა, რომ 1989 წელს რომაულ ფინალში თამაშის შემდეგ ჯადო-ანდრანიკს მეოთხედფინალამდეც ვერასოდეს გაეღწია. ხოლო ახლა თუ ასე გააგრძელა, ვინძლო, პირველი მეჩოგნე გახდეს, ვისაც 6 რაგინდარა მასტერსტურნირის მოგება მოუხერხდება.

ვეტერანი აგასის გარდა მარდად და გონივრულად გაირჯნენ ჭაბუკი ამერიკელებიც — ენდი როდიკი (13) და ჯეიმს ბლეიკი, რომელნიც რომაულ თიხნარს კარიერაში პირველად სინჯავენ. უნიჭიერესმა ენდიმ შებერებულ უეინ ფერეირას აჯობა, თუმც კი საამისოდ სამსეტიან საჯანდრავში მოუხდა გავლა. ამდენი დრო იმიტომ მოვანდომე, რომ მისი სათამაშო გეგმა თავიდანვე ვერ ამოვიცანიო, იძახდა მერე.

ცნობისათვის: სამი ამერიკელი რომაულ რვეულს ბოლოჯერ 1993-ში შემორჩა. ესენი ჯიმ კურიე, მაიკლ ჩანგი და პიტ სამპრასი იყვნენ. მაშინ, დასტურ უნდა გახსოვდეთ და, ტიტული ერთ-ერთ ამათგანს, კერძოდ კი კურიეს ერგო.

სხვაფრივ — სამკაციანი დელეგაციით იქნებიან წარმოდგენილნი ესპანელებიც. კარლოს მოიას გვერდით ტომი რობრედო და ალბერტ კოსტა იჯილდავებენ.

ხოლო რაღაი სიტყვა ესპანელებზე ჩამოვარდა, აქვე ერთ ამბავსაც უნდა გადავწვდეთ. საქმე აი, რას შეეხება: როგორც მსოფლიოში მესამე ჩოგნის მპყრობელმა, რომის შარშანდელმა ჩემპიონმა და ორიოდე დღის წინ ხორვატი ლიუბიჩიჩის მიერ ოტებულმა ხუან კარლოს ფერერომ განაცხადა, ესპანელ მეჩოგნეებს თამაში დისკრიმინაციის პირობებში უწევთ.

„ჩემი აზრით, ესპანელებს ისე არ გვეპყრობიან, როგორც ვიმსახურებთ და ალბათ უკვე დროა, ზოგიერთმა ჩვენგანმა ამის წინააღმდეგ ხმაც ამოიღოს" — თქვა ფერერომ.

კოლოფერეროს აღშფოთება იმას გამოუწვევია, რომ ლიუბიჩიჩთან ნახსენები შეხვედრა მას, არც მეტი, არც ნაკლები, ბოგანო მეექვსე კორტზე გაამართინეს.

„ეს არახალი ამბავია — განაგრძო „კოლომ" — როცა კარლოს მოია მსოფლიოს მეპირველე იყო, სათანადო პატივისცემით არც მას მოქცევიან".

ფერეროს დემარშს თავად მოიაც შეურთდა. მან უმალვე ის ფაქტი გაიხსენა, რომ 1999 წლის ინდიან უელსზე, სადაც მას, როგორც იმ დროს რეიტინგსიის სათავეში მყოფს, ხელთ პირველი ჩოგანი ეპყრა, რამდენიმე შეხვედრა ცენტრალურზე კი არა, სამარქაფო კორტებზე გაამართვინეს.

„ეს კორტები კი ხარისხით ყოველთვის ჩამოუვარდება სეფემოედნებს — ეს ისევ ფერეროს სიტყვებია — მე, მსოფლიოში მესამე კაცს არც პირველზე თამაშის ნება დამრთეს და არც მეორეზე და გამიშვეს მეექვსეზე, რომელიც იმ საშინელ ავდარში არაფრით იფარებოდა და ისეთი დამპალი იყო, ბურთები კი არა, ბაყაყები დახტოდნენ".

შეგახსენებთ, რომ ATP-ელი ბოსები ანტიესპანურ განწყობილებებში ორი წლის წინაც უმხელიათ. მაშინ ალექს კორეჩასა და ალბერტ კოსტას სამართლიანი გულისწყრომა იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ისინი, მიუხედავად საკლასიფიკაციო ზეთექვსმეტეულში მათი ყოფნისა, საიმსეზონო უიმბლდონისთვის არ განთესეს. სკანდალი მით უფრო ხმაურიანი გამოდგა, რომ ორივე მეჩოგნემ მაშინ საერთოდაც უარი თქვა ტურნირში მონაწილეობაზე.

„აზრზე არა ვარ, ამას განგებ გვიკეთებენ თუ არა, მთავარია, რომ ასეთი ფაქტები ხშირად ხდება და ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ ჩვენი თავი არავის დავაჩაგვრინოთ" — მოიას ამ სიტყვებს ფარული მუქარის სუნი ასდიოდა.

ბერლინი. თიხნარი
საპრიზო 1,224 მილიონი $

**მესამე წრე**

**ჯენიფერ კაპრიატი (1, აშშ) — იროდა ტულიაგანოვა (14, უზბეკეთი) 6:2, 6:0; სირენა უილიამსი (4, აშშ) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 7:6 (7:2), 6:4; ჟუსტინ ენენი (5, ბელგია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 5:7, 6:4, 6:4; დანიელა ჰანტუხოვა (11, სლოვაკეთი) — ელენა დოკიჩი (6, იუგოსლავია) 6:2, 6:3; ამელი მორესმო (7, საფრანგეთი) — სილვია ფარინა ელია (10, იტალია) 6:3, 6:3; სანდრინ ტესტიუ (8, საფრანგეთი) — მარი-გაიანე მიკაელიანი (შვეიცარია) 6:2, 6:2; ნატალი დეში (საფრანგეთი) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:3; ანა სმაშნოვა (ისრაელი) — კრისტინა ტორენს-ვალერო (ესპანეთი) 7:6 (7:0), 6:0**

ჯანიანი ჯენი შარშან მოხვეჭილი როლანგაროსული ტიტულის დასაცავად ისეთი ხათქა-ხუთქით ემზადება, მსოფლიოში პირველ-მეორე დედაკაცისგან რომ გამოელიან კიდეც. ტან და ყველაფერწყობილი უზბეკხათუნის, იროდა ტულიაგანოვას საიმდღეო ძლევას ამერიკელმა ლედიმ მხოლოდ 43 წუთი მოანდომა და კორტი ისე დატოვა, ჯიშიან სხეულზე ერთხელ რაა, საოფლე პირსახოცი ამდენჯერაც არ წაუსვამს.

საამტურნიროდ მაგრად მოვემზადე და შედეგს თავადაც ხედავთო — ამბობდა მერე. მომდევნო წრეში იგი ფრანგ სანდრინ ტესტიუს შეხვდება, ვისთვისაც შარშან ბერლინურ მერვედფინალში კი უძლევია, მაგრამ მას შემდეგ ნათამაშებ ორ შეხვედრაში უკვე ველარაფერი მოუხერხებია.

უმძლავრეს მომგებიან დარტყმებს ჩვეულებისამებრ უმრავლესი იაღლიში შეუხამა და ბულგარელ მაგდალენა მალეევას 93 წუთში მოერია სერენა უილიამსი. პირველ სეტში მას წაგებული ჩაწოდების უკუგება და ტაიბრეიკზე აიდოსტობა დასჭირდა, მეორეში კი მეტოქეს უკვე მესამე გეიმშივე გაედავა და მერე ჩოგანი აღარ აკანკალებია.

ნამატჩევს, კარგად ჯერაც ვერ ვაწოდებო, ჩიოდა და კმაყოფილი ლამის მხოლოდ თავისი მენტალური მდგომარეობით იყო.

მისი სულიცა და ხორციც უმძიმესად გამოიცდება მეოთხედფინალში, სადაც მასსავით ზემძლავრ ამელი მორესმოს უნდა ეპაექროს. ხალხი და ჯამაათი მოუთმენლად ელის ქალთა ჩოგბურთის ამ ორი დედადევის დატაკებას.

**ლევან ძილაურაძე**



**NHL სტენლის თასი**
მეორე წრე, ოთხ მოგებამდე. 9 მაისი

| დასავლეთი | |
|---|---|
| დეტროიტი | 3 |
| სენტ ლუისი | 1 |

**სენტ ლუისი 3:4 დეტროიტი 1:2 0:1 2:1**
1:0 იანგი (5), 1:1 შენაჰანი (14), 1:2 ფიშერი (17), 1:3 ჰოლმსტრომი (23), 1:4 აიზერმანი (44), 2:4 მელანბი (58), 3:4 ტკაჩუკი (59)

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| კაროლინა | 2 |
| მონრეალი | 2 |

**მონრეალი 3:4 კაროლინა 2:0 1:0 0:3 0:1**
1:0 დაკელი (11), 2:0 პერო (12), 3:0 ბერგზინი (31), 3:1 ჰილი (44), 3:2 ბატალია (53), 3:3 კოული (60), 3:4 ვალინი (64)

ICE HOCKEY
IIHF World Championship
SWEDEN

**მსოფლიოს ჩემპიონატი. შვედეთი.**
ნახევარფინალი. 9 მაისი

# სასჯელის უმაღლესი ზომა

# ბულიტი

*დღეს, 11 მაისს, გიოტებორგში სლავური ფინალი შედგება, ფინალი, რომელსაც არავინ ელოდა. არა, რუსების ან სლოვაკების მთავარ მატჩში მონაწილეობას არავინ გამორიცხავდა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, თუ ამას ორივე გუნდი შეძლებდა. 9 მაისის უაღრესად დრამატულ და დაძაბულ ნახევარფინალებში მათ შეუძლებელი შეძლეს, უდიდესი ნებისყოფა და ჟინი გამოამჟღავნეს, თითქოსდა წაგებული მატჩები მოიგეს და თან მეტოქეთა ჯინაზე ბულიტების სერიაში იხეირეს*

**რუსეთი 3:2 ფინეთი 1:1 1:1 0:0 0:0, ბულიტებში 1:0**
0:1 კარალაჰტი (5), 1:1 ზატონსკი (11), 1:2 ჰაგმანი (21), 2:2 აფინოგენოვი (29)

**გადამწყვეტი ბულიტი: კარპოვი**

რა სტატისტიკა, რის მნიშვნელოვანი თამაში, ვალერი კარპოვისთვის ეს სულერთია. რუსი კალაშნიკოვის ავტომატივით ისვრის და ისვრის ბულიტებს და ერთი მეკარეც ვერ უშლის ხელს ამაში. წლეულს მან 7 საჯარიმოდან 6 გამოიყენა (!), ფინელებთან ნახევარფინალში კი იური მარკანენი ისე დაიბრიყვა, თითქოს მის წინ ნჰლ-ის მეკარე კი არა, გამოუცდელი ახალბედა მდგარიყო. ერთი სიტყვით, რუსები პირველივე ბულიტების შემდეგ დაწინაურდნენ (მანამდე კიმო რინტინენმა ააცილა) და ფსიქოლოგიურად გატეხეს მეტოქე. ამის შემდეგ ერთმა ფინელმაც ვერ შეძლო ბრწყინვალედ მოასპარეზე მაქსიმ სოკოლოვის მოტყუება, ხოლო რუსებმა კიდევ ერთი გამოიყენეს და 1993 წლის შემდეგ პირველად გავიდნენ ფინალში. აქვე გეტყვით, რომ საბოლოო ოქმში მხოლოდ ბულიტების სერია — 1:0 აღინიშნება, გოლად კი გადამწყვეტი ბულიტი ითვლება.

მანამდე რუსებმა, ჩეხეთთან შეხვედრის დარად, მთელი მატჩი დაცვაში ჩასაფრებულებმა გაატარეს და ამჯერად კიდევ უფრო გაუჭირდათ. „სუომიმ" 45-12 აჯობა დარტყმების რაოდენობაში, მაგრამ რუსები განსაკუთრებული სულისკვეთებით იბრძოდნენ, ფინელებს კი აშკარად აკლდათ ფსიქოლოგიური სიმტკიცე, რაც ბულიტების სერიამაც ცხადყო.

**შვედეთი 2:3 სლოვაკეთი 1:0 1:1 0:1 0:0 ბულიტებში 0:1**
1:0 აქსელსონი (18), 2:0 ტ. იოჰანსონი (32), 2:1 ორზაგი (36), 2:2 შატანი (59)

**გადამწყვეტი ბულიტი: პალფი**

რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას და სიყვარულს უნდა გრძნობდე სამშობლოსადმი, რომ ნჰლ-ის პლეი ოფში უმძიმესი სერიის დასრულებისთანავე ჩაჯდე თვითმფრინავში და თანამემამულეების დასახმარებლად გასწიო. ზიგმუნდ პალფს ვინ დაადანაშაულებდა, სლოვაკეთის ნაკრებს არ შეუერთდაო, მაგრამ ცნობილმა ლოსანჯელესელმა ბომბარდირმა მაინც გადაწყვიტა შვედეთში გამგზავრება და გადამწყვეტ მომენტში სწორედ მის მიერ ბრწყინვალედ შესრულებულმა ბულიტმა გაიყვანა ისტორიაში მეორედ მისი ქვეყანა ფინალში.

გზა ბულიტებამდე კი რთული აღმოჩნდა. სლოვაკები 0:2 აგებდნენ, არაფერი გამოსდიოდათ, მაგრამ, ისევე როგორც მეოთხედფინალში კანადასთან მატჩისას, განსაკუთრებული შემართება გამოამჟღავნეს, თან ბედმაც გაუღიმათ. პირველი საპასუხო გოლი ვლადიმირ ორზაგმა მაშინ გაიტანა, როგორც კი საჯარიმოთა სკამიდან ადგა და მოედანზე შევიდა. ამ შაიბამ ისე გაამხნევა სლოვაკები, რომ მესამე პერიოდში მასპინძლები მათსავე ზონაში გამოკეტეს და იქამდე არ მოეშვნენ, სანამ არ გაათანაბრეს. კართან ბრძოლაში ყველას მიროსლავ შატანმა დაასწრო. თან ეს საგოლე პასიც ზიგმუნდ პალფიმ აახლა. ოვერტაიმში შვედებმა კვლავ იგდეს ხელთ ინიციატივა, მაგრამ სლოვაკებმა გაუძლეს, ბულიტების სერიაში კი მათმა ლიდერებმა უფრო იოსტატეს და ამან გაჭრა. ჯერ პალფიმ ცხრიანში შესანიშნავი გასროლით, შემდეგ კი რიხარდ ლინტნერმა ტომი სალო და მისი გუნდი ჩემპიონატის ფინალს მიღმა დატოვეს.


REUTERS

ვ ძენ პაბელი პრაიგრაფ ნელზია! რუსებმა ფინელებთან ითამაშეს კი არა, იომეს

# F1

**მეექვსე ეტაპი** **ავსტრიის დიდი პრიზი**

## A-1 რინგი

*შპილბერგი, 12 მაისი*




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . . . **4.326 კმ**
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . . **71 წრე — 307.146 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 კულჰარდი (მაკლარენი) 2 მ. შუმახერი (ფერარი); 3 ბარიკელო (ფერარი); 4 რაიკონენი (ზაუბერი); 5 პანი (BAR); 6 ფერსტაპენი (ეროუსი)

**წრის რეკორდი:** 2001 — კულჰარდი (მაკლარენი) 1:10.843 (219,833კმ/სთ)

# ლაუდამ ავსტრია გადაარჩინა

ავსტრიული ეტაპი არც ისე ხნოვანი ღონისძიებაა — ხვალ 25-ედ ჩატარდება, საფორმულო კალენდარში კი 1997 წლის შემდეგ დამკვიდრდა განახლებულ „A1-რინგზე". საშუალოზე მოკლე ტრეკი უმარტივესი კონფიგურაციისაა სულ შეიდიოდე განიერი, გასასწრებად ხელსაყრელი მოსახვევით და გრძელი სწორი მონაკვეთებით, რაც ერთ-ერთ ყველაზე ჩქაროსნულს ხდის.

წლევანდელ რბოლას ფინანსური პრობლემების გამო ერთხანს ჩაშლის საფრთხე ემუქრებოდა. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციასთან საქმის მოგვარება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ნიკი ლაუდამ ითავა, მთელ ორგანიზაციულ ხარჯებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დავფარავთ, რის გარანტიასაც ვიძლევიო.

„დიდი ავსტრიელის" ავტორიტეტმა გაჭრა და სემეფო რბოლების მეპატრონე ბერნი ეკლსტოუნმა ეტაპს ახალი, ხუთწლიანი ლიცენზია უბოძა, სანაცვლოდ ფედერაცია ყოველ სეზონში ათ მილიონ ევროს მიიღებს, ხოლო მასპინძლებს ბილეთების გაყიდვიდან მიღებული მთელი თანხა და სარეკლამო შემოსავლის ნაწილი დარჩებათ.

ავსტრიის დიდი პრიზი ერთადერთია, რომელიც დღემდე ვერ მოუპოვებია ოთხგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერს. ყველაზე სტაბილური და შედეგიანი „ავსტრიელია" დევიდ კულჰარდი. შოტლანდიელმა შარშან დიდოსტატური გამარჯვება მოიპოვა მიუხედავად იმისა, რომ სტარტზე მხოლოდ მეშვიდე იდგა, თანაც ტრასის სისწრაფის თავისივე რეკორდი თითქმის წამით გააუმჯობესა, წინა ოთხ რბოლაში კი პოდიუმის მეორე საფეხურზე იდგა. თუმცა სტატისტიკას თუ ვენდობით, კულჰარდმა ხვალ ვერ უნდა მიაღწიოს წარმატებას, რადგან „A1-რინგზე" ტრიუმფატორები ყოველწლიურად იცვლებიან.

გუშინდელი ვარჯიში წლეულს ტრადიციული სცენარით წარიმართა — ფერარელებს კონკურენცია ვერავინ გაუწია. პირველ ცდაზე საუკეთესო დრო მიხაელს ჰქონდა, მეორე — ბარიკელოს. შესვენების შემდეგ თანაგუნდელებმა პოზიციები გაცვალეს, მესამე კი უილიამსელი ხუან პაბლო მონტოია იყო.



REUTERS

მიხაელ შუმახერს და კომპანიას გუშინაც ვერავინ გაუწია კონკურენცია

**წლევანდელთა ავსტრიული მონაგარი**

| | რბოლა | ადგილი ჩასათვლელ ექვსეულში 97 | 98 | 99 | 00 | 01 | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კულჰარდი | 5 | II | II | II | II | I | 34 |
| ვილნევი | 5 | I | VI | გ | IV | - | 14 |
| ირვაინი | 4 | გ | IV | I | | - | 13 |
| მ. შუმახერი | 4 | VI | III | | გ | II | 11 |
| ბარიკელო | 5 | - | გ | გ | III | III | 8 |
| ფრენცენი | 5 | III | გ | IV | გ | გ | 7 |
| რ. შუმახერი | 5 | V | V | გ | გ | გ | 4 |
| რაიკონენი | 1 | | | | | IV | 3 |
| ფიზიკელა | 5 | IV | გ | - | გ | გ | 3 |
| ბატონი | 2 | | | | V | გ | 2 |
| პანი | 4 | - | გ | - | | V | 2 |
| სალო | 4 | გ | გ | - | VI | | 1 |
| ტრული | 5 | გ | - | - | გ | გ | 0 |
| დე ლა როსა | 3 | | | გ | გ | გ | 0 |
| ჰაიდფელდი | 2 | | | | გ | - | 0 |
| მონტოია | 1 | | | | | გ | 0 |
| ბერნოლდი | 1 | | | | | გ | 0 |
| იონგი | - | | | | | | - |

შენიშვნა: გ — რბოლას გამოეთიშა; ცხრილში არ არიან დებიუტანტები — სატო, მასა, მაკნიში, ვებერი



# ჯირო დღეს და ყაყანით იწყება

## პანტანის წელსაც ა-ჯირო-თებენ

**„ჯირო დიტალიას"** ორგანიზატორებს ეიმედებათ, რომ წლევანდელი რბოლა წინა, დოპინგსკანდალებით წამურდლულ სანახაობას ყველას ერთხელ და სამუდამოდ დაავიწყებს.

შარშანდელ რბოლას, ეგებ თქვენც გახსოვთ, მთელ გაყოლებაზე თან სდევდა პოლიციელთა რეიდები, რომელთა დროსაც სამართალდამცავები მრბოლთა და მათ მესაჭურვლე-ექიმთა პირად ბარგში რაგინდარა აკრძალულ ნივთიერებებს ებებდნენ.

ვინც ეძებს, ის პოულობს — 53 მრბოლისა და მათი გუნდების ზოგიერთი წარმომადგენლის საქმეები დღემდე იქაურ გამომძიებელთა მაგიდებზე დევს. ამათ შორისაა განთქმული იტალიელი ველომრბოლი მარკო პანტანიც. „ჯიროსა" და „ტურ დე ფრანსზე" ოთხი წლის ნახეირალ იტალიელს შარშან, ერთ-ერთი ასეთი რეიდისას აკრძალული პრეპარატით, ინსულინით სავსე შპრიცი უპოვეს.

ამის მიუხედავად, იტალიის ველოფედერაციამ პანტანის მაინც დართო ნება, რათა მან საწლევანდელო შეჯიბრში იბოლოს, რადგანაც ფედარაციის ბოსთა მტკიცებით, მისი ბრალეულობა პროცედურის დარღვევით დამტკიცდა. მაგიერში რბოლა აეკრძალა მის ორ თანაგუნდელს „მერკატონე უნოდან" და კიდევ ხუთ სხვასაც — ყველა მათგანს შარშან მათ ხაბაკ-ხუბაკში ნაპოვნი წამლებისთვის!

მრავალთა აზრით, პანტანისთვის წლევანდელ „ჯიროში" მონაწილეობაზე ნებართვის მიცემა ვითარებას უკვე სტარტიდანვე დაძაბავს. ისინი ორმაგი სტანდარტისა და მისი მავნებლობის შესახებ ახმაურდნენ...

სხვაფრივ — ეს რბოლა წლეულს პირველად გაივლის 6 ქვეყნის ტერიტორიაზე. ის ჰოლანდიურ გრონინგენში დაიწყება, მერე თანმიმდევრულად გასცდება გერმანულ მიუნსტერს, ბელგიურ ლიეჟს, ლუქსემბურგულ ეშ-სურ-ალცეტესა და ფრანგულ სტრასბურს. საკუთრივ საჩექმეთში ის პიემონტური კუნეოს მახლობლად გასამართი ორი ეტაპით შევა, ხოლო ყველაფერი ლომბარდიის მთავარქალაქ მილანში უნდა დაგვირგვინდეს.

ისე კი, ეს მეოთხედ მოხდება, რაც რომ „ჯირო" იტალიის გარეთ აითვლის პირველ კილომეტრებს.

რბოლა სამ კვირას გასტანს და დღეიდან მოყოლებული 2 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება, ხოლო რაკი კილომეტრებიც ვახსენეთ, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ 1000 მეტრის დაფარვა მრბოლებს 3334-ჯერ მოუხდებათ. თითოეული ეტაპი, როგორც საშუალო არითმეტიკულით გამოდის, სადღაც 167 იქნება.

სტარტზე 9-9-კაცა 22 გუნდი გამოვა, თუმცა ფინიშს, სავარაუდოდ, ამათი ნახევარი თუ მიაღწევს.

საქმის გამორჩევით მცოდნე ხალხი კიდევ იმასაცვარაუდობს, რომ წლევანდელი რბოლა უდრესად დაძაბული გამოდგება და გამარჯვებული დამარცხებულს მხოლოდ წამებით აჯობებს.

ამბობენ, რომ მაღალმთიანი ფინიშების ნაკლებობა ისეთ მთისმრბოლთა შანსებს, როგორებიც ჯილბერტო სიმონი და ფრანჩესკო კასაგრანდე არიან, ძალიან შეამცირებს, სამაგიეროდ, უთუოდ შეეწევა დარიო ფრიგოსა და სტეფანო გარცელისდარ უნივერსალისტებს.

პირველ ეტაპებზე ყველა ჩაუქი სპრინტერის, მარიო ჩიპოლინის კუდრაჭობათა მოლოდინშია. „სუპერმარიო" საამეტაპებოდ თურმე განთქმული მემოდელის, რობერტო კავალის მიერ დასტურ მისთვის შეკერილი მაისურით შეიმოსება.

დღევანდელი ჩქაროსნული ეტაპის ფავორიტად კი ბელგიელი რიკ ფერბრიუგე ითვლება. შესავალი მან შარშანაც მოიგო და ბელგიაში გასამართი ეტაპისთვის ლიდერობას თურმე წელსაც დიდის ამბით გეგმავს.

**ქარლო ზოგოლი**



რაც სხვებს არა, მარკო პანტანის ეპატიება

## 85-ე ჯიროს გეზი და განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 11 მაისი. პროლოგი | 19 მაისი. მე-7 ეტაპი | 26 მაისი. მე-14 ეტაპი |
| **გრონინგენი (6,5 კმ)** | **ვერსილიის წრიული რბოლა (159)** | **ნუმანა (30,3)** |
| 12 მაისი. პირველი ეტაპი | 20 მაისი. მე-8 ეტაპი | 27 მაისი. დასვენების დღე |
| **გრონინგენი — მიუნსტერი (211)** | **კაპანორი — ორვიეტო (237 კმ)** | 28 მაისი. მე-15 ეტაპი |
| 13 მაისი. მე-2 ეტაპი | 21 მაისი. მე-9 ეტაპი | **ტერმე ეუგანეე — კონელიანო (156)** |
| **კიოლნი — ლიეჟი (209)** | **ტივოლი — კასერტა (201 კმ)** | 29 მაისი. მე-16 ეტაპი |
| 14 მაისი. მე-3 ეტაპი | 22 მაისი. მე-10 ეტაპი | **კონეალიანო — კორვარა (163)** |
| **ვერვიერსი — ეშ-სურ-ალცეტი (206)** | **მადალონი — ბენევენტო (118)** | 30 მაისი. მე-17 ეტაპი |
| 15 მაისი. მე-4 ეტაპი | 23 მაისი. მე-11 ეტაპი | **კორვარა — ფოლარია (222)** |
| **ეშ-სურ-ალცეტი — სტრასბური (232)** | **ბენევენტო — კამპიტელო (140)** | 31 მაისი. მე-18 ეტაპი |
| 16 მაისი. დასვენების დღე | 24 მაისი. მე-12 ეტაპი | **როვერეტო — ბრეშა (143)** |
| 17 მაისი. მე-5 ეტაპი | **კამპობასო — კიეტი (200)** | 1 ივნისი. მე-19 ეტაპი |
| **ფოსანო — ლიმონე პიემონტე (150)** | 25 მაისი. მე-13 ეტაპი | **კამბიაჯო — მონტიჩელო (42,9)** |
| 18 მაისი. მე-6 ეტაპი | **კიეტი — სან ჯაკომო (190)** | 2 ივნისი. მე-20 ეტაპი |
| **კუნეო — ვარაცე (191)** | | **კანტუ — მილანი (141)** |



# რუსეთის ღია ქართველებმა დახურეს

**გუშინ** ნაშუადღევს მოსკოვიდან ჩამოფრინდა და პირდაპირ „ლაგუნა-ვერესკენ" გამოეშურა საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები. მის მწვრთნელ-წევრებს საგანგებო დახვედრა მოუწყვეს. საამისო მიზეზიც იყო: ჩვენმა წყალბურთელებმა რუსეთის ღია ჩემპიონატი მოიგეს ორ ასაკობრივ ჯგუფში და თბილისში ორმაგი ოქროთი დაბრუნდნენ.

მოსკოვში ახალგაზრდული ნაკრები 1986 წელს დაბადებული 16 წყალბურთელით გაემგზავრა და 86-იანთა გარდა ორი წლით უფროსების ტურნირშიც ითამაშა. სოსო მაისურაძისა და მისი თანაშემწე ირაკლი კიკალაშვილის საშეგირდო ორივე ასაკობრივ შეჯიბრში ფინალური ეტაპიდან ჩაება, რაკი იქ თამაშის უფლება ჯერ კიდევ ზამთარში დაიბევა, როცა შესარჩევი ტურნირი მოიგო.

1984 წელს დაბადებულებში ორი წლით უმცროსი ქართველები ექვსგუნდა ჯგუფიდან იოლად გავიდნენ და ფინალში მოსკოვის „შრომითი რეზერვების" გუნდს 8:3 მოუგეს. მადა ჭამაშიო და ჩვენმა წყალბურთელებმა 86-იანთა ფინალსაც უწიეს. ფინალი ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, 9 მაისს გაიმართა. ჩვენების მეტოქე კი ვოლგოგრადის „ლუკოილი" იყო. რუსული კლუბის სახელიდანაც კარგად ჩანს, მას რომ ნავთობის ერთ-ერთი უდიდესი კომპანია პატრონობს. მიუხედავად ამისა, მთელ ზამთარს ღია აუზში მოვარჯიშე ქართველებმა რუს ნავთობმამებს სულ მოსკოვურ წყალში ჩაუყარეს ვოლგოგრადელებზე დახარჯული ფული — თანატოლებს 12 გოლი გაუტანეს, პასუხად კი 6 მიიღეს.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვამდე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელიც 15-16 წლის წყალბურთელებითაა დაკომპლექტებული, ევროპის ჩემპიონატის კიევური შესარჩევი ტურნირი წარმატებით მოილია და საევროპო საგზურს დაეუფლა. კონტინენტური პირველობა იტალიის ქალაქ ბოლონიაში აგვისტოში გაიმართება.

**ბაჩო სვანიძე**



# დიმიტრი ობოლაძე დაანიშნეს

**საქართველოს** ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელიც მხოლოდ ერთი წლისაა, ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ექსბორჯღალოსანი დიმიტრი ობოლაძე ამიერიდან ახალგაზრდა მორაგბეებს დამოძღვრავს. ნაკრები აქამდე მწვრთნელთა ტრიოს — დიმიტრი ფულარიას, დავით ჩავლეიშვილსა და რეზო ჯაფარაშვილს ებარა.

ამ სამეულმა ქართველი ახალგაზრდები შარშან მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში ათამაშა, რომელშიც ჩვენები სამგუნდა ჯგუფიდან ვერ გავიდნენ, მაგრამ მაშინ გუნდი ოდენ ათი დღის შექმნილი იყო და ვერც ნორმალური შეკრების მოწყობა მოხერხდა. ეტყობა, რაგბის კავშირის უფროსობისთვის ეს არგუმენტი ვერაფერი თავისმართლებაა და გამოსავალი სამწვრთნელო შტაბის გადახალისებაში იპოვეს.

ახალგაზრდულ ნაკრებში მოსვლამდე დიმიტრი ობოლაძე ჭაბუკთა ნაკრებში საქმიანობდა, სადაც მთავარი მწვრთნელის პაატა ნარიმანაშვილის თანაშემწე და გუნდის მენეჯერი იყო.

**ბაჩო სვანიძე**



დიმიტრი ობოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს ვისი ბაიაა?

შვედეთის პატარა პრინცესა ვილმამ ისიც კი არ იცის, სად მოხვდა. გიოტებორგში გახურებულ ჰოკეის მსოფლიოს ჩემპიონატზე შვედეთის ნაკრები ოვერტაიმში დამარცხდა სლოვაკებთან, 2:3, ვილმა კი მაინც კარგ ხასიათზეა. „სკანდინავიუმ არენას“ ხმაურიც არ სწვდება მის ყურს და საერთოდაც, ვილმა ჯერ ძალიან პატარაა.





# კორტს იქით და კორტს აქეთ...

ბერლინში გერმანიის ღია პირველობაზე საჩოგნაოდ ჩასული ქალები დროს მარტო ერთმანეთთან რკენაში როდი ატარებენ. ბევრი მათგანი ნაკორტევს ერთად იკრიბება და ჰალალად, ქალურ ქალურადაც მოულხენს ხოლმე. ამ ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ მოქეიფეთ — იტალიელ ანტონელა სერა ძანეტის, ფრანგ ნატალი დეშის, ბელგიელ ჟუსტინ ენენს, ისევ ფრანგ სანდრინ ტესტიუსა და მის მეუღლე ვიტორიო მანიელის, სულ აქეთ კი აჩელი მორესმოსა და მის მწვრთნე_ ალესია დეშომ-ბალერეს ხედავთ. სუფრაზე, თქმაც არ უნდა, ვიტორიოს უთამადია და პირველი სადღეგრძელოც ჩოგანოსნებისა უთქვამს — ჩემი სანდრას დები ხართ, მეც თქვენი ძმაო და მისთანები... აი, კიმ კლაისტერსს კი კორტიდან თავის წილ სუფრასთან მიჯდომამდე სიკეთის გაკეთებაც მოუსწრია. ბავშვთა იქაურ საავადმყოფოს სწვევია და პატარები თავისი დიდი გულით გაუტფია.





# საჭორაო მასალა

ჰიუ გრანტსა და სანდრა ბულოკს ამ გაზაფხულზე ერთად უწევთ ყოფნა, რადგან ერთად თამაშობენ ფილმში „ორკვირიანი ამბავი“. ფილმს ნიუ იორკში იღებენ და სადაც ნიუ იორკია, იქაც ბეისბოლი — „მეტსი“ სან ფრანცისკოელებს მასპინძლობს და ვარსკვლავებიც ერთად დაბრძანებულან პირველ რიგში. ეგებ, ჭორიც აგორდეს.



# კაიზერი ქაბულში

ავღანეთს ჩასულ გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერს ქაბულში ჩაჰყოლია ფრანც ბეკენბაუერი, რომელიც საერთაშორისო კონტინგენტის გერმანელ ჯარისკაცებს სწვევია ბაზაზე და ავტოგრაფებიც ჩამოურიგებია მათთვის.

# დაეხეთქება



ასეც ხდება, როცა სკეიტბორდით მფრინავი კაცი ხარ. ვანკუვერის სლემის ტურნირზე უცნობ მონაწილეს ფეხქვეშ დაფა გამოეცალა და ახლა დახეთქების ოსტატობის ამარაღაა დარჩენილი. ისე, დაფა მაინც დაუჭერია ხელში.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge